გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 4 თებერვალი, 2006 წელი.
№№ 24-25 (5362-5363)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## ნამუსიც კარგი საქონელია!..





ზის ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი და რუსი სამშვიდობოების საჯარო ბოდიშს ელის. სხვაგვარად არც „ურალს" დავაბრუნებთ და არც ინციდენტს ჩავთვლით ამოწურულადო.

ერთი გენერალ კულახმეტოვის ტვინში ჩამახედა — ნეტავ, რა საბოდიშო სიტყვებს აგროვებს...

იხ. მე-2 გვ.




## ენერგოკრიზისი ვითომ დაგვემშვიდობა?!

იხ. მე-5 გვ.

## ლინჩის სამართალი... ქართულად



რა უნდა ქნას სასამართლო ხელისუფლებამ, ის ხომ ოდითგანვე ზემდგომთა დაკრულზე და... ჯოჯოხეთის მანათობელ ქრთამზე ცეკვავდა!..

იხ. მე-3 გვ.

ელენე თევდორაძე:

## ევროპას რუსეთი არ მოსწონს, მაგრამ მისი ეშინია

იხ. მე-4 გვ.

რევაზ მიშველაძე

## ზამთარი... მარტი... მარშალ...

იხ. მე-12 გვ.

## ვაშინერს!

იხ. მე-5 გვ.

## ზაალიშვილების ტენორი



„მართალია, მე ახლახან კანადის მოქალაქეობა მივიღე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში აღარ დავბრუნდე".

იხ. მე-11 გვ.

## ღვთისგან დაღუმებული ყუმბარა



უღმერთოთა გასაკვირად, კარი თავისით გაიღო და მამა ამბროსი მოულოდნელად მათ წინ შეეგება.

იხ. მე-6 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოს ელჩმა გაეროში რუსეთი გენოციდში დაადანაშაულა

ᲒᲐᲔᲠᲝᲨᲘ საქართველოს ელჩმა რევაზ ადამიამ რუსეთი ფაშისტურ გერმანიასთან, ყოფილ იუგოსლავიასთან და რუანდასთან ერთ რიგში დააყენა. გაეროს უშიშროების საბჭოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივების განხილვის შემდეგ თბილისისთვის აშკარად არადამაკმაყოფილებელი შედეგების განმარტებისას, ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე ადამიამ რუსეთი დაადანაშაულა აფხაზეთში გენოციდსა და ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ორგანიზებაში.



იხ. მე-9 გვ.

კვირის თვალსაწიერი

# ნამუსიც კარგი საქონელია!..

მძიმე კვირა გვქონდა.

მაგალითად, იმ დღეს ტყვიავში კარიბის კრიზისივით ყველაფერი ერთ წუთში ბეწვზე დაეკიდა.

მაშინ მსოფლიომ ახალი ომი თავიდან ხრუშჩოვის იძულებითი უკანდახევის გამო აიცილა: კუბაში ჩუმად შეცოცებული საბჭოთა რაკეტების გატანის ბრძანება გასცა.

ცხინვალის ზონაში ახალი ფართომასშტაბიანი შეტაკებაც რუსების უკანდახევის შედეგად ავიცილეთ: სამშვიდობოთა სარდალმა გენერალმა კულახმეტოვმა დათმო და ყველაფრის მიზეზი – სამხედრო მანქანა „ურალი", რომელმაც ტყვიავის მკვიდრის „ჟიგულს" გვერდი გაჰკრა, ქართველებს დაუტოვა გორში საჯარიმო სადგომზე გადასაყვანად.

აქ მთავარი ის არ არის, თუ რა ზარალი, მიაყენეს რუსმა სამშვიდობოებმა ვინმე ნიკოლოზ გოგიაშვილს მძლავრი „ურალის" გახახუნებით (ისე, აშკარად ჩანდა, რომ მისი მანქანა მაინცდამაინც დიდად. არ დაზიანებულა). მთავარი ის გახლავთ, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა თანამემამულის დაჩაგვრის უფლება არ მისცეს, მათი „კოლონიზატორული ქმედება" (ასეთი შეფასებაც მისცეს) ალკვეთეს და ამ ქმედებისთვის პასუხი აგებინეს.

მოკლედ, დიდად გაისარჯნენ.

ოლონდ, ძალიან კი მერიდება ამის თქმა და, იყო კი ეს შემთხვევა სწორედ ის „ჭეშმარიტების მომენტი", როცა მთელი შენი ეროვნული მუხტი ფალიად უნდა აქციო, მუშტად უნდა შეიკრა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის ხატოვანებით თუ ვიტყვით, „პუტინის ომახიანი განცხადების შემდეგ დაუსჯელობის სინდრომით განმსჭვალულ რუს სამშვიდობოებს, რომლებიც თავხედურად და თვითნებურად განსაკუთრებით კონფლიქტების ზონაში იქცევიან", საკადრისი პასუხი გასცე?

ამ „საკადრის პასუხს" რა მუშტიკრივი და მყრალი გინებაც მოჰყვა ორივე მხრიდან, ყველამ ვიხილეთ. ქართველთა იმდღევანდელ (უფრო სწორად იმლამინდელ) რიცხობრივ უპირატესობას (მადლობა ღმერთს, იმასაც მოვესწარით, რომ მარადისობის ამ ერთ გაელვებაში რუსებზე მეტნი ვიყავით) გენერალმა კულახმეტოვმა მუხლუხა ტექნიკა დაუპირისპირა და ყველაფერი წკიპზე შედგა.

როგორც ქართული მხარე აცხადებს, საომარი სიტუაცია შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა განმუხტა, ოლონდ როგორ მოახერხა მან ეს გმირული საქმე, საგნობრივად არავინ ამბობს: რუსებს ჩვეული მჭევრმეტყველებით დაუმტკიცა, მართლები არ ხართო (ოლონდ, ნეტა რომელ ენაზე?) თუ ხელყუმბარებით დაუწვა „ბეემპეს"?

ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი მხედრული ლაკონურობით მხოლოდ ამას განგვიმარტავს: „მათ (რუს სამშვიდობოებს – ა. ა.) საკადრისი პასუხი გავეცით და, მცირე დაძაბულობისა (არადა, ეს „მცირე დაძაბულობა" კაი 8 საათი გრძელდებოდა – ა. ა.) და კონფლიქტის ესკალაციის საშიშროების მიუხედავად, მანქანა ჩამოვართვით. ჩვენმა სამხედროებმა გულისხმიერებით იმოქმედეს".

როგორც ხედავთ, კონფლიქტის განმუხტვაში მიხეილ ქარელის როლზე არაფერს ამბობს. რა თქმა უნდა, არც იმაზე, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა „ჩვენი სამხედროების გულისხმიერება" (სატელევიზიო კადრებში გინება მშობლიურ ენაზეც ხვავრიელად გვესმოდა და ბედუკულმართ „ურალზე" თავგანწირულ შეხტომებში ქართული სიკისკასეც შეინიშნებოდა).

რაც მთავარია, თავდაცვის მინისტრს, როცა „კონფლიქტის ესკალაციის საშიშროებას" ალიარებს, ის უთქვამს, რამდენად იყო ეს ვითარება იმ დღეს საქართველოსთვის გადაუდებლად საჭირო და აუცილებელი. იქნებ მართლა „გულისხმიერებით მოქმედება" სჯობდა, ან „კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება" მართლა ესკალაციაში რომ გადაზრდილიყო, მერე რას აპირებდა, როგორ წარმართავდა ამ ესკალაციას, რა პასუხს გასცემდა ქვეყანას და ხალხს? თორემ შთაბეჭდილება რჩება, სიტუაცია გუბერნატორმა ქარელმა კი არა, გენერალმა კულახმეტოვმა განმუხტა, როცა „ურალი" ჩვენს გაცხარებულ ჯარისკაცებს შეატოვა და ტყვიავიდან გაბრუნდა.

სხვისი არ ვიცი და მე პირადად ტყვიავში მომხდარ კონფლიქტზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოხმაურება, „არ ვაპირებთ რაიმე იმპულსურ, ზედმეტად რადიკალურ მოქმედებებს, რომელმაც შეიძლება ოდნავ მაინც დააზარალოს საქართველოო", სწორედ ჩვენი მხედრიონის გასაგონად თქმული მგონია.

ახლა ზის ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი და რუსი სამშვიდობოების საჯარო ბოდიშს ელის. სხვაგვარად არც „ურალს" დავაბრუნებთ და არც ინციდენტს ჩავთვლით ამოწურულადო.

ერთი გენერალ კულახმეტოვის ტვინში ჩამახედა – ნეტავ, რა საბოდიშო სიტყვებს აგროვებს...

ეს ისე, ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, თორემ რუსების მხრიდან მზაკვრობის მეტი რა ვიცით დღევანდელობიდანაც და ისტორიიდანაც.

სიტყვამ მოიტანა და მკითხველს ერთ ასეთ „ისტორიულ", თითქმის საყოველთაოდ უცნობ მაგალითს გავაცნობ.

1918 წლის ივნისში საქართველოდან კრემლში რუს გლეხთა რვაკაციანი დელეგაცია ჩავიდა, მზად ვართ, ჟორდანიას მთავრობა დავამხოთ, ოლონდ ფულით, იარაღითა და სამხედრო ძალით დაგვეხმარეთო.

არავინ იცის, ვისი სახელითა და დავალებით ჩავიდნენ ისინი საქართველოდან, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მისია უშედეგოდ დამთავრდა: მოსკოვმა მათ დახმარებაზე უარი თქვა. მაშინ ასე იყო საჭირო, ჯერ დრო არ დამდგარიყო.



ისიც სავარაუდოა, რომ ის გლეხები საბჭოთა რუსეთმა საქართველოში დასაყრდენ ძალად ვერ ალიქვა.

ესეც შენი „გლეხი ბერიკაცები". ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ, ჩვენს პურს ჭამდნენ, ჩვენს წყალს სვამდნენ და მაინც ჩვენი ღალატი ედოთ გულში. „უწყინარი მხვნელ-მთესველნი" რომ ამას იქმდნენ, სხვა რაღას გვიზამდა (თუნდაც ძვირფასი სიძის, დიდი მწერლისა და ჰუმანისტის გრიბოედოვის პროექტი გავიხსენოთ, საქართველოს რუსთა მასობრივი განსახლების ადგილად რომ მოიაზრებოდა)...

მადლობა ღმერთს, გაილია ენერგეტიკული კრიზისის მძიმე დღეები, რომელმაც ხანდაზმულთაობას ომისდროინდელი (II მსოფლიო ომზეა ლაპარაკი) ნავთის კილომეტრიანი რიგები მოაგონა. თუმცა კილომეტრიანი რიგები ამჟამად 60-თეთრიან ნავთზე იდგა, უფრო მოკლე, ნახევარკილომეტრი კი – ლარორმოცთეთრიანზე. ხელისუფლებამ შეგვაქო, ხალხმა მამაცურად გაუძლო რუსეთის კიდევ ერთ მუხანათურ დარტყმასო.

მადლობისთვის მადლობა ძვირფას მთავრობას, ოლონდ ერთი ეს გაგვაგებინონ ამ ქრონიკულად გაჭირვებაამტან ხალხს: ყოველ ცისმარე ის რომ გვესმოდა, ამ ზამთრისთვის ისე ვართ მზად, როგორც არც ერთი ქვეყნის მთავრობა არც ერთ დროში არ ყოფილაო, რატომ არ ალმოვჩნდით მზად იოლად მოსალოდნელი მოულოდნელობისთვის? ხომ იცოდნენ, რომ რუსეთი მოღალატე და ვერაგია, ნებისმიერ დროს შეიძლება გამოგდოს კვანტი, რატომ არ იყო ალტერნატიული გზები მოძიებულ-მოწესრიგებული? მთელი მოსახლეობა რომ გააბაწარეს ნავთის რიგში და თავი აგინებინეს, ხომ შეიძლებოდა, ამ ნავთის არა რამდენიმე, არამედ ათობით ბენზინგასამართ სადგურში ოპერატიულად დარიგება, ან ირანიდან გაზის შემოტანის შესახებ შეთანხმების წინასწარ გახაზირება?

ერთიც, სახელმწიფო საიდუმლოებად რომ აქციეს ამ ირანული გაზის ფასი და მთელი ქვეყანა ახლა იმაზე მარჩიელობს, მართლა 233 დოლარად ვიყიდეთ 1000 კუბური მეტრი თუ არაო, რამდენად ალემატება ირანულის ფასი რუსულის 110 დოლარსო, თუ მართლაც ორჯერ და მეტად უფრო ძვირი გვიჯდება, ირანული, ყოველ წუთს დედმამის სულს რატომ ვუტრიალებთ რუსეთსო, ან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ჩრდილო ოსეთში დივერსიის უმალ რომ მუშტები უქნია რუსეთის და „დოსტოლრივ" დაადანაშაულა დივერსიის მოწყობაში, თუ იყო ეს სწორი პოლიტიკურად, იურიდიულად და დიპლომატიურადო?

ამ მარჩიელობას უმრავლესობა იქვე უპასუხებს, რა თქმა უნდა, მეტი თავშეკავება და მოქნილობა გვმართებდაო.

ძალაუნებურად რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის იმდღევანდელი მრავალათასჟურნალისტიანი პრესკონფერენცია გაგონდება, რომლის სამნახევარი საათის მანძილზე მას ერთხელ არ შესცვლია ტონი და ერთხელ არ ულალატია კორექტულობისთვის. როდესაც საქართველოზე ილაპარაკა, ყველაფრის მიუხედავად, ხაზი გაუსვა, საქართველო და ქართველი ხალხი ჩვენთვის ახლობელი და მოკეთეაო და ჩვენს ხელისუფლებას მხოლოდ გადაკვრით მიანიშნა, ისეთი ურთიერთობა, როგორიც ჩვენს მიმართ აქვთ, სიკეთეს არ მოუტანს რიგით ქართველ კაცსო. ასევე ოდენ სინანულით თქვა, გაზი რომ დროულად მიგვეწოდებინა, ჩვენი სპეციალისტები 30-გრადუსიან ყინვაში დღედაღამ მუშაობდნენ, სამაგიეროდ კი ფურთხი მივიღეთო...

ის გვეწყინა, პრეზიდენტმა პუტინმა რომ განაცხადა, კოსოვოს შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას დავუჭერთ მხარს, როგორიც პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოდგებაო?

დიახ, საწყენიც არის და საშიშიც! მაგრამ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს და თავგზა ნუ აგვებნევა. ეს ჯერ მხოლოდ განცხადებაა. თუმცა, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ოლონდ, არა ტყვიავური ღრიანცელით, სატელევიზიო მიკროფონების დახვრით და რუსეთის წამდაუწუმ, საჭიროა თუ არა, მაინც ოთხში ამოღებით, არამედ ცივი გონებით, დიპლომატიური მოქნილობით.

თორემ ისე მოგვდის (მკითხველთან ბოდიშს ვიხდი უცენზურო „აფორიზმისთვის"): დედაბერი ქარს უშვებდა და თან წყრებოდაო.

აბა, ის გასაკეთებელი იყო დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ „დასასჯელად" რუსეთის საელჩოს გაზი რომ შეუწყვიტა (მხოლოდ 30 იანვარს აღუდგინა)? რუსულმა მხარემ თურმე „რუსეთის საწინააღმდეგო მორიგ აქციად შეაფასა ეს ქმედება (აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შეეფასებინა?), აიღო და სამაგიეროდ, 29 იანვარს საქართველოს მოსკოვის საელჩო დატოვა უშუქოდ და უწყლოდ. ოლონდ ამას შურისძიება კი არა, „ელექტროხაზის დაზიანების გამო ადგილობრივი სატრანსფორმატორო ქვესადგურისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა" დაარქვა. სხვათა შორის, ამას რომ მართლა ავარიის სახე მისცემოდა, ენერგო და თბომომარაგება არა მარტო ჩვენ საელჩოს, არამედ მის ახლომდებარე ოთხ შენობასაც შეუწყვიტა. ე. ი. რუსეთი რაღაც „გარემოებებით" მაინც შეინიღბა, ჩვენ კი პირდაპირ უგულავას ბრძანება ავაფარეთ შუბლზე.

ყოველივე, რაც უკვე ვთქვი, იმისთვის ვთქვი, რომ რუსეთი აბაშიძის აჭარა არ არის, თითის ქნევით ელაპარაკო. მოქნილობა, მოთმინება, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს", თეთრი კბილები და ენაზე ამ თეთრი კბილების დაჭერა, როცა ნაღდია, მაშინ დარტყმა ვარჩიოთ. ბოლოს და ბოლოს, მაკიაველის „მთავარს" ყავლი ჯერაც არ გასვლია.

დაბოლოს. ამ კვირაში ერთი ძალზე საინტერესო ინფორმაცია წავიკითხე, ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა საკუთარი ხელფასის ორჯერ შემცირების განკარგულება გასცა (ამ განკარგულების შემდეგ მისი ხელფასი 1800 დოლარზე ოდნავ მეტი იქნება). ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ბოლივიის სახელმწიფო მოსამსახურეების ხელფასებიც გადაისინჯება, რადგან ქვეყნის არც ერთ ჩინოსანს პრეზიდენტზე მეტი ხელფასის მიღების უფლება არა აქვს.

დაზოგილი ფული ექიმების და მასწავლებლების რიცხვის ზრდას მოხმარდება. ამასთან, ბოლივიის ლიდერმა მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა, კარგი იქნება თუ კონგრესის წევრებიც მომბაძავენო...

აი, ჩვენმა საყვარელმა პარლამენტარებმა კი თვალის დაუხამხამებლად ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ხარბად 1000 ლარით გაიზარდეს ხელფასები...

ნამუსიც კარგი საქონელია!..

**ალეკო ასლანიშვილი**

ინფორმაცია

## დახმარება ქუთაისს

ქუთაისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისიდან გუშინ ჰუმანიტარული დახმარება ჩაიტანეს.

პურის ფქვილი, მარილი, შაქარი, ზეთი და სხვადასხვა დასახელების 6 ტონა სურსათი მრავალშვილიან დედებზე, სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და დევნილებზე გადანაწილდება. დახმარებას სულ 700 ადამიანი მიიღებს.

როგორც ინტერპრესნიუსს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, პარლამენტარმა გოჩა თევდორაძემ განუცხადა, პროდუქტებს წყალწითელას მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატიც მიიღებს.

## ქართული მხარის პროტესტი





საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კომენტარს აკეთებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვისა და სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის შეხვედრასთან დაკავშირებით და იმედს გამოთქვამს, რომ რუსული მხარე, რომელიც, წლების განმავლობაში თავადვე ებრძვის საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატიზმის სენს, სეპარატისტული რეჟიმების სტიმულირების საფრთხეს გააცნობიერებს, რაც მის პოზიციაზე სათანადო ასახვას ჰპოვებს.

## არჩეული მერი გვიშველის!

„სახალხო ფორუმმა" მერის არჩევითობასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებების შესატანად საჭირო ხელმოწერებზე სამჯერ მეტი რაოდენობა მოაგროვა.

ამასთან დაკავშირებით „სახალხო ფორუმის" ლიდერი აკაკი ასათიანმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა.

ასათიანის განცხადებით, მათ უკვე 70 000 ხელმოწერა შეაგროვეს. კანონში შესატანი ცვლილების განსახილველად კი 21 000 ხელმოწერაა საჭირო.

პარლამენტმა კანონში ცვლილებების განხილვა ხელმოწერების შეტანიდან ორი კვირის ვადაში უნდა დაიწყოს.

## ქონება სახელმწიფოს გადაეცა

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ სახელმწიფოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე გოცირიძის კუთვნილ ავეჯი გადასცეს.

ვაზისუბნის ქ. №12-ში განლაგებული ავეჯი ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „საფინანსო სააგენტომ" ოფიციალურად ჩაიბარა.

აღნიშნული ავეჯი, მოსეშვილის № 10-ში მდებარე ბინა, წავკისისა და საგურამოს აგარაკები და 5 ავტომანქანა გოცირიძეს 2004 წლის 20 დეკემბერს სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოართვეს და დააყადაღეს.

აღმასრულებლებმა მოსეშვილის ქუჩაზე მდებარე ბინა „საფინანსო სააგენტოს" გუშინწინ ჩააბარეს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ კანონი და... უკანონობა

# ლინჩის სამართალი... ქართულად

თითქმის ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ სინდისი კანონთა კანონია და მას ყველა უნდა ვემორჩილებოდეთ.

დღევანდელი ცოდვილი მსოფლიო ადამიანთა კეთილდღეობას და თავისუფლებას კანონის უზენაესობაშიც ხედავს. თუ ადამიანი კანონმორჩილი არ იქნება, იგი ვერასოდეს მოიპოვებს სრულ თავისუფლებას.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, ამერიკელი პოლკოვნიკის ლინჩის გვარის მიხედვით, რომელსაც სინდისის ნატამალი არ გააჩნდა და განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა ხალხს, იურიდიულ და პოლიტიკურ ლექსიკონებში დამკვიდრდა ტერმინი – „ლინჩის სასამართლო“, „ლინჩის სამართალი“.



„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართველ ხალხს რწმენა გაუჩნდა კანონიერი სახელმწიფოს შექმნისა. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ ამ რწმენის გამართლების იმედით, მთელი საქართველო ზეიმობდა მატყუარა, უსუსური, დაძაობებული ხელისუფლების შეცვლას ახალგაზრდულით... ორიოდე წლის შემდეგ კი, სწორედ ამ ახალი ხელისუფლების წყალობით, სასამართლო ხელისუფლებაში კვლავ მომრავლდნენ ამერიკელი პოლკოვნიკის ლინჩის მსგავსი ჩინოვნიკები, რომლებმაც ხელშეუხები მოსამართლის მანტია მოირგეს და ლინჩის წესით დაიწყეს „ბრბოს“ ქუჩაში გაყრა. მათი თვალთახედვით, კანონი სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს ნორმატიული აქტი, ქვეყნის კონსტიტუციით დადგენილი წესი და რიგი კი არ არის, არამედ – ხელისუფლების სურვილი და კაპრიზი. მათ მოქმედებაში აშკარად გამოიკვეთა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მცხოვრები ძველი გერმანელი ტომების „ვანდალების“ აგრესიულობა და სისასტიკე. შედეგმაც არ დააყოვნა და ქართველმა ხალხმა თითქმის მთლიანად დაკარგა ნდობა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სამართლიანი სახელმწიფოს შექმნისადმი.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებიდან საფრანგეთში, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში იწყება სასამართლო წარმოების ახალ ფორმაზე – ინკვიზიციურზე გადასვლა, რომლის დროსაც მოსამართლეებს უფლება ჰქონდათ, საბრალმდებლო განაჩენი სრულიად დაუსაბუთებელი არგუმენტების საფუძველზე გამოეტანათ. ხშირად მოსამართლე ვერ წყვეტდა ორი შესაძლებელი კრიმინალიდან რომელი იყო ნამდვილი დამნაშავე. სასამართლო სასიკვდილოდ იმას იმეტებდა, რომლის იერსახეც უფრო „დამნაშავედ“ გამოიყურებოდა.

მოვიხმოთ კონკრეტული ფაქტი, რომლის შესახებაც ჩვენ რამდენიმე თვის წინათ ვწერდით.

თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა ი. კვაჭანტირაძემ და თ. შავერდაშვილმა კანონისადმი სრული იგნორირებით გადაწყვიტეს დედაქალაქის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა ბედი.

არადა, ინსპექციის თანამშრომლებმა კანონი იციან და მათ ასეთ დასჯას არავინ მოელოდა.

მოვუსმინოთ ერთ-ერთ დაზარალებულს, ბატონ **სოსო ხახუტაშვილს**.

– „მოსამართლე ი. კვაჭანტირაძემ შარშან, 25 მაისს შეტანილ სარჩელზე, რომელიც ჩემს სამსახურში აღდგენას შეეხებოდა, ორი თვის დაგვიანებით (კანონით დაწესებულია მხოლოდ ერთი თვე), 29 ივლისს გამოიტანა განჩინება საქმის შეჩერების შესახებ. ჩემს დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაზე, რითაც მე საქმის არსებით განხილვამდე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამსახურში აღდგენას ვითხოვდი, უარი მითხრა იმ მოტივით, რომ 15 ივლისიდან საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდაო! როგორც წესი, ამ ცვლილებებს უკუ ძალა არა აქვს და ჩემს შემთხვევაში მისი გამოყენება არ შეიძლებოდა. მივმართე იუსტიციის საბჭოს. ის, თურმე, არ ცნობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და რიგით მოქალაქეებს განცხადებებზეც კი არ პასუხობს... ამ მიზეზით ჩემი სამსახურში აღდგენის საკითხი დღემდე არ განხილულა.

> ◉ SIC!
>
> *...მოკრძალებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოში სასამართლო სისტემა კვლავ კორუმპირებულია. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები მართავენ კონსულტაციებს მთავრობის მოხელეებთან, ვიდრე გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ!!! წინაალმდეგ შემთხვევაში, მათ თავს დაატყდებათ ხელისუფლების გუნდის რისხვა.*
>
> **ჩარლზ ქუპჩანი,**
> **ამერიკელი პროფესორი.**
> **ჟურნალი „ნიუ რეპაბლიკ“.**

2005 წლის 10 ოქტომბერს თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თ. შავერდაშვილმა განიხილა ჩემი სარჩელი დედაქალაქის მერის 18 აპრილს გამოცემული (№ 13) ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, რის საფუძველზეც სამსახურიდან ქუჩაში გაგვყარეს მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის 29 თანამშრომელი. მერის ბრძანება კანონის ისეთი დარღვევით არის გამოცემული, რომ ატირდები კაცი... მოსამართლე კი, სასამართლო წესების სრული იგნორირებით, თამამად აყალიბებდა საკუთარ მოსაზრებებს გაჭირვებაში ჩავარდნილი მერიის და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების დასაცავად. მერიის მაღალჩინოსნები ადასტურებდნენ, რომ მერიაში თვენახევრის განმავლობაში ერთდროულად კანონიერების დაცვის ორი გენერალური ინსპექცია ფუნქციონირებდა (ეს სასამართლო ოქმითაც დასტურდება)! სასამართლოზე აშკარად გამოიკვეთა, რომ სცენარი წინასწარ იყო დაწერილი და პროცესიც ფორმალურად მიმდინარეობდა. „უხერხულობაში“ ჩავარდნილმა მოსამართლემ აღიარა კიდეც: რა ვუყო კონკურსს, თორემ ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდიო! სასამართლო სხდომის ოქმი, რომელიც სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის თანახმად სამ დღეში უნდა მომზადდეს, მერვე დღესაც არ იყო შედგენილი. რაც შეეხება გადაწყვეტილებას, მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, – მოსამართლე თ. შავერდაშვილმა რა იცის, რომ მერიის დებულების საფუძველზე არ შეიძლება პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმება; რომ მერიის საქალაქო სამსახურის სტრუქტურა და მერიის სტრუქტურა ერთი და იგივე არ არის; რომ მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია არის მერიის სტრუქტურული ერთეული და არა ცალკე საჯარო სამსახური“...

**პირდაპირ განვაგრძოთ დაზარალებულ სოსო ხახუტაშვილის გულისტკივილით სავსე აღსარების ანალიზი.**

განსახილველი ბრძანება, რომელიც თავისი შინაარსით ნორმატიული აქტია და უნდა გამოცემულიყო უფლებამოსილი პირის ანუ პრეზიდენტის მიერ, გამოსცა არაუფლებამოსილმა ჩინოვნიკმა, თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. სამი დღით ადრე კი (2005 წლის 15 აპრილს) ლიკვიდირებულად ჩათვალეს კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია. 18 აპრილს, ახალი ბრძანებულებით, იგივე სამსახურს დაუმტკიცეს ძველი დებულება, სამსახურიდან გაანთავისუფლეს 29 თანამშრომელი (მათ შორის დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ორი ქალბატონიც)! და სამსახურში მიიღეს ახალი თანამშრომლები. ბრძანება საერთოდ არ იყო ძალაში შესული, როცა ის რეგისტრაციაში გაატარა იუსტიციის სამინისტრომ, საქალაქო გაზეთებშიც კი არ ყოფილა გამოცხადებული და ა. შ. ამით უხეშად დაირღვა „კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“.

მსგავსი უცნაური გადაწყვეტილებებით ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მერიაში ჩამოაყალიბა სრულიად ახალი „ფილოსოფიური“ თეორია: **არ არის აუცილებელი ბრძოლის წესების ცოდნა, საჭიროა გეყოს თავხედობა და გამბედაობა, რომ შენთვის არასასურველი ხალხი ქუჩაში გაყარო... კიდევ უფრო საოცარი ის იყო, რომ მერის უკანონო ბრძანებებს არ გაუუქმებია იუსტიციის სამინისტრო და ისინი ძალაში დატოვა...**

ამ უმაღლეს იურიდიულ ინსტანციაში დღეს კი აღიარებენ, რომ ბრძანებები უკანონოა, მაგრამ... არ უკვირთ: ჩვენთან ხომ ზოგჯერ შესაძლებელია ერთი და იგივე ადამიანი ჯერ გარდაცვლილად, შემდეგ კი ბრძოლისუნარიანად გამოაცხადო. წესებს და კანონებს უნდა ემორჩილებოდე, მაგრამ უპირველესი „ვაჟკაცობა“ ის არის, დაარღვიო ნებისმიერი წესი, როცა ამას ზემდგომი ხელისუფლება მოითხოვს.

ბოლოს და ბოლოს, მაინც ვინ არის დამნაშავე? – მთავარი დამნაშავეები იყვნენ ის ძველი ბარბაროსები, რომლებიც ხალხს სასტიკად აწამებდნენ; დამნაშავე იყო რომის უზურპატორი მმართველი, ინკვიზიციის მსახური მოსამართლეები, ამერიკელი პოლკოვნიკი ლინჩი... დამნაშავეა თითოეული ჩვენთაგანი, რადგანაც გვგონია, რომ თავს ზემოთ ძალა არა გვაქვს და გაყუჩებულები ვართ.

ჰოდა, რა უნდა ქნას სასამართლო ხელისუფლებამ, ის ხომ ოდითგანვე ზემდგომთა დაკრულზე და... ჯოჯოხეთის მანქანობელ ქრთამზე ცეკვავდა...

**სპარტაკ ძოწულია**

◉ ინფორმაცია

## ორი „დღის“ მოსულმა ქრთამი აიღო?

**კონსტიტუციური** უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის ბიუროს უფროსი ნინო ეზიაშვილი და სასამართლო აღმასრულებელი დავით ფოფხაძე დააკავეს.

ნინო ეზიაშვილმა და დავით ფოფხაძემ მოქალაქეს ყადაღადადებული ბინის, აუქციონის ერთი თვით გადავადების სანაცვლოდ ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი გამოსძალეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

ნინო ეზიაშვილი იუსტიციის მინისტრმა სააღსრულებო დეპარტამენტის პირად შემადგენლობას 1 თებერვალს წარუდგინა.

* * *

**იუსტიციის** მინისტრი გია ქავთარაძე აღმასრულებლების დაკავების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

უდანაშაულობის პრეზუმპციის გათვალისწინებით, მინისტრი ამ ფაქტზე სხვა კომენტარისგან თავს იკავებს. თუმცა, აცხადებს, რომ „დრომ და ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხი, რომლის მიზანი ეფექტური საკადრო ფილტრის შექმნა უნდა იყოს“.



## ზუგდიდის ბაზრის მოვაჭრეებმა გალავანი შეამტვრიეს

**ზუგდიდის** ბაზრის მოვაჭრეებმა გუშინ ბაზრის ცენტრალური შესასვლელი გალავანი შეამტვრიეს, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაკეტილი იყო.

მოვაჭრეებმა შეამტვრიეს რკინის გალავანი და ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის შესასვლელი აღადგინეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა სამმართველოს თანამშრომლები, სპეციალური აღჭურვილობით, რომლებმაც ცენტრალური შესასვლელის ტერიტორია დაიკავეს...

**ინტერპრესნიუსი**

◉ ვინ იტაცებს ქართულ მიწებს?

# „პრიხვატიზაცია“ ელცინურად



ისე ჰგავს, მანდარინნარგავებიანი ფაზენდები აფხაზეთში რუსეთულ მოდად იქცა. იქ ამბობენ, რომ სოხუმის მახლობლად აგარაკი დასაკუთრა იური ლუჟკოვმა (ვინ არ იცის – მოსკოვის მერმა). გვიმტკიცებენ, თითქოს კრასნოდარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა გამოისყიდა ბერიას მამული, ოლიგარქმა ოლეგ დერიპასკამ და გუბერნატორმა ეგორ სტროევმა აგრეთვე „ყოფილთა“ სამფლობელოები შეიხვედრეს. ბიზნესმენი ვლადიმერ ბრინცალოვი ხომ სულაც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აქ უძრავი ქონება შეიძინა.

აფხაზეთშივე ორ სანატორიუმს გადააფარა თურმე „მფარველი“ კალთა ტატიანა დიაჩენკომ (ვინ იცის – ბორის ელცინის ქალიშვილმა, იმ ვარაუდით, რომ ბორის ელცინი იცის...).

მთავარი ავლადიდება სტალინის აგარაკი გახლავთ. გორბაჩოვის ხანაში აქ რაისა მაქსიმის ასული „პირველქალობდა“. ელცინის მმართველობის დროს აგარაკზე ვითომ ხელი აიღეს. კრემლის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ თითქოს გადაწყვიტა ყოფილი სტალინური შენობების დაბრუნება...

თბილისის ადმინისტრაცია კი სულ სხვა შენობების „დაბრუნება-გასხვისებით“ არის გართული..

*მომზადებულია „Собеседник“-ის მიხედვით.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალობა

# ელენე თევდორაძე: ევროპას რუსეთი არ მოსწონს, მაგრამ მისი ეშინია

*ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგიდან დაბრუნდა. ჩვენი დელეგაციის რამდენიმე წევრი ევროსაბჭოს წინაშე მოხსენებით გამოვიდა.*

*მთელი წყება შეუსრულებელი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების გამო დელეგაციის ოპოზიციონერი წევრები ვარაუდობდნენ, საქართველოს ხელისუფლების უქნარობის გამო ევროსაბჭო რისხვის ჯოხს ქვეყანაზე გადატეხავსო, მაგრამ მათი წინასწარმეტყველება არ ახდა და ევროსაბჭომ საქართველო, შეიძლება ითქვას, არ გაწირა.*

*იგივე ოპოზიციონერთა თქმით, ეს ლოიალობა საქართველოსთვის კარგი სულაც არ არის და ევროსაბჭოს მიერ ქართული ხელისუფლებისთვის პასუხის მოუთხოვნელობა ქვეყანას დათვურ სამსახურს გაუწევს.*

*სტრასბურგული პერიპეტიების შესახებ ქართული დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს ვესაუბრეთ.*



**— ქალბატონო ელენე, ოპოზიცია ფიქრობდა, რომ შეუსრულებელი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების გამო ევროსაბჭო მკაცრად მოგვეპყრობოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თუ ელოდით თქვენ ამგვარ ლოიალობას?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ევროსაბჭოს დამოკიდებულება ჩვენდამი ლოიალური იყო. მათ ძალიან პრინციპული პოზიცია ეჭირათ, მაგრამ თვითონ მოხსენებაში აისახა ის ბევრი დადებითი მოვლენა, რაც საქართველოში რევოლუციის შემდეგ მოხდა და ამან, პრაქტიკულად, უარყოფითიც და დადებითიც დააბალანსა.

ევროსაბჭოს წარმომადგენლები თავიანთი გამოსვლებისას ჩვენს წინსვლას აღნიშნავდნენ, მაგრამ ამბობდნენ, რომ პოზიციას არ შეცვლიან და თავიანთი რეკომენდაციების შესრულებას კვლავ მოითხოვენ.

**— ანუ საქართველო კვლავ რჩება მონიტორინგის ქვეშ. რამდენი გვაქვს დრო ვალდებულებების და რეკომენდაციების შესასრულებლად?**

— თავიდან მინდა ვთქვა, რომ შეუსრულებელი ვალდებულებები მარტო საქართველოს არ აწევს კისერზე. ვალდებულებები ევროსაბჭოსა და უკვე ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც კი არ შეუსრულებიათ. მაგალითად, საფრანგეთს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს რატიფიცირებული კონვენცია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით, ან ავიღოთ რუსეთი, რომელსაც 5 წლის წინათ აღებული 255 ვალდებულება დღემდე არ გაუნაღდებია.

საქართველოს კი მხოლოდ სამი ვალდებულება დარჩა შეუსრულებელი. აქედან მესამის, თურქი-მესხების დეპორტაციის საკითხის გადასაწყვეტად დრო 2011 წლამდე გვაქვს; რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ენების ქარტიას, ამაზე უკვე ვმუშაობთ, ტრანსასსაზღვრო ხელშეკრულებას კი ხელი უკვე მოეწერა და ეს ხელშეკრულება უკვე სამუშაო წესით შემოვა ჩვენთან. ვფიქრობ, რომ ეს ორი ვალდებულება ამ ერთი წლის მანძილზე შესრულდება.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, საქართველოს აქვს თავისი ხედვა ამ რეკომენდაციების თაობაზე.

ავიღოთ 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი. 2006 წელს ჩვენ გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები და ამიტომ ჩვენთან ჩამოვლენ დამკვირვებლები, რომლებიც შეაფასებენ, ვისი არგუმენტია მართებული — ჩვენი თუ ოპოზიციის.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ 7-პროცენტიანი ბარიერი მარტო ჩვენი ინტერესი არ უნდა იყოს, არამედ ოპოზიციისაც, რადგან ეს უბიძგებს მათ გაერთიანებისა და გაძლიერებისაკენ.

ის საარჩევნო კანონი, რომელსაც ასე აკრიტიკებს ოპოზიცია, ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად მათი დასკვნების საფუძველზე მომზადდა და ისინი თვლიან, რომ ეს დემოკრატიული კანონია.

**— მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული არ იყო და არც დღის წესრიგში გახლდათ შეტანილი, იქ გვერდს მაინც ვერავინ აუვლიდა რუსეთ-საქართველოს ბოლო დღეებში განსაკუთრებით დაძაბულ ურთიერთობას. როგორი იყო ევროსაბჭოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— გიგა ბოკერიას მოხსენებაში აქცენტი მთლიანად ამ საკითხზე იყო გაკეთებული. როცა საუბარია დემოკრატიის განვითარებასა და ქვეყნის სტაბილურობაზე, სწორედ ტერიტორიული მთლიანობა და კონფლიქტების მოწესრიგება არის ამის საკვანძო ქვაკუთხედი, რის საფუძველზეც ჩვენ სწრაფი წინსვლა შეგვეძლება.

რუსეთის მიმართ განწყობა, საერთო ჯამში, გარდა სომხეთისა, ანტიპათიურია. ყველა ევროპული ქვეყნის წარმომადგენლობა ცუდი თვალით უყურებს რუსეთს, მაგრამ ამავდროულად მისი ეშინიათ კიდეც. ამიტომაც ისინი, მართალია, მხარს გვიჭერენ, მაგრამ თავიანთ გამოსვლებში ნეიტრალურ პოზიციას იჭერენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ღიადაც იხრება საქართველოს მხარეს.

**— ქალბატონო ელენე, ცნობილი ტენდენციაა, რომ ევროსაბჭოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დერეფანში გადადგმული ნაბიჯები", ანუ კულუარებში მიღწეული შეთანხმებები არის ეფექტიანი. მიმართავს თუ არა ამ ხერხს ქართული დელეგაცია?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ძირითად დროსა და ენერგიას სწორედ კულუარებში ვხარჯავთ, ანუ პოლიტიკური ჯგუფების სხდომებზე, კომიტეტებში. ამიტომ სესიაზე ჩვენ უკვე ვიცით, რომელი ევროპული დელეგაცია დაგვიჭერს მხარს და რომელი არა. ძალიან დიდი სიმპათიებია ჩვენს მიმართ. აბსოლუტურად ეთანხმებიან არა მარტო ჩვენს პოზიციას, არამედ იმ რიტორიკასაც, რასაც ჩვენ ვირჩევთ რუსეთთან ჭიდილში.

ესაუბრა
**ჯაბა ხუბუა**

გამოკითხვა

# სოროსი – კეთილი ბიძია თუ ქვეყნის მტერი?

**საზოგადოებრივმა მოძრაობამ „მანტისოროსი", ახლახან, საკუთარი ძალებით თბილისის მასშტაბით 1500 რესპონდენტის სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. ვინ არის სოროსი, რატომ ხარჯავს ეს „კეთილი" კაცი ამდენ ფულს ჩვენს ქვეყანაში, რა გავლენა აქვს მას ჩვენს ხელისუფლებაზე? ამ და სხვა კითხვებით „ანტისოროსმა" საზოგადოებას მიმართა.**

ორგანიზაციის წევრები მიიჩნევენ, რომ რევოლუციიდან ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი: „საქართველოში განხორციელებული ფსევდორევოლუცია წარმოადგენს ერთიანი პოლიტტექნოლოგიის ჯაჭვის ნაწილს, რომლის მიზანია პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმოქმნილი დამოუკიდებელი, განვითარებადი სახელმწიფოების მცოცავი დაპყრობა პერმანენტული ფერადი რევოლუციების განხორციელებით; ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ინსტიტუტების ფინანსური მხარდაჭერით ამ ხელოვნურად დასუსტებულ ტერიტორიებზე სურთ მართვადი ქაოსის შენარჩუნება", — ამბობს „ანტისოროსის" ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი.




ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ასეთია: მხოლოდ 1,8 პროცენტი მიიჩნევს, რომ სოროსი არის ფილანტროპი, ხოლო უმრავლესობის აზრით, სოროსი არის ადამიანი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე თავისთვის მილიარდებს შოულობს. გამოკითხულთა 70 პროცენტი თვლის, რომ საქართველოს მთავრობის დაფინანსებით სოროსი ახორციელებდა საკუთარ ინტერესებს და, შესაბამისად, უარყოფითად აფასებს ამგვარ ქმედებას. მხოლოდ 17,7 პროცენტი მიიჩნევს, რომ სოროსის მიერ რევოლუციის დაფინანსება მიზანშეწონილი იყო.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა — 90 პროცენტზე მეტი, თვლის, რომ საქართველოს მთავრობა სოროსის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ ფაქტს მხოლოდ 6,6 პროცენტი უარყოფს. 81,4 პროცენტის აზრით, სოროსის გავლენა ვრცელდება საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე. ორგანიზაციის წევრების თქმით, ასეთი მაჩვენებლები აშკარად გამოხატავს მოსახლეობის ნეგატიურ განწყობას ქვეყნის „გარედან" მართვისადმი. აღსანიშნავია ის იმედგაცრუებაც, რაც ხელოვნურ რევოლუციას მოჰყვა და რამაც ზოგადად ჩვენი ღირებულებების გადაფასება გამოიწვია.

გამოკითხულთა მხოლოდ 4,4 პროცენტს მიაჩნია სოროსი საქართველოს მეგობრად. 78,8 პროცენტი მას ჩვენი ქვეყნის მტრად აფასებს.

ანტისოროსელები კმაყოფილნი არიან ასეთი შედეგებით. მათი თქმით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი სალად აფასებს სოროსის საქართველოს საგარეო და საშინაო საქმეებში ჩარევის დამანგრეველ გავლენას ქვეყნის ისტორიულ პერსპექტივაზე და მას მტრად მიიჩნევს. ეს არის საზოგადოების მზადყოფნა — აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს სოროსს და მის ქმედებებს.

**ლელა ხვადაგიანი**

გახლეჩა

# გაძლიერდნენ თუ დასუსტდნენ?

**როგორც** მოსალოდნელი იყო, „მემარჯვენე ოპოზიცია" დაიშალა. მოსალოდნელი კი იმიტომ იყო, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე ზურაბ ტყემალაძეს და დავით გამყრელიძეს თითქმის ყოველთვის განსხვავებული პოზიციები ეკავათ. იგივე წინანდლის საკითხთან დაკავშირებით „მემარჯვენეები" აცხადებდნენ, რომ არ შეიძლება წინანდლის სახლ-მუზეუმის გასხვისებაო, ტყემალაძე კი მხარს უჭერდა მის პრივატიზაციას. ასევე, გაზსადენის პრივატიზაციას „მემარჯვენეები" ეწინააღმდეგებიან, ზურაბ ტყემალაძე კი გაყიდვის მომხრეა. ანუ, ძირითად საკითხებში მათი პოზიციები განსხვავდება, რაც იმის წინაპირობა გახლდათ, რომ ადრე თუ გვიან ეს ერთობა დაიშლებოდა. „გაყრა" ყველაზე ბოლოს „მემარჯვენეებმა" დაიჯერეს. ისინი მიანიშნებენ, რომ ამით უმრავლესობის სურვილის რეალიზება მოხდა. ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ამ მიმართულებით აქტიურობდნენ მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი არველაძე და დავით კირკიტაძე.

მრეწველთა ლიდერი უმრავლესობის მხრიდან ყოველგვარ ზეწოლას უარყოფს. ტყემალაძეს მიაჩნია, რომ „მემარჯვენე ოპოზიციის" დაშლა სრულიად კანონზომიერია, ახალი ფრაქციის შექმნა კი მისი აზრით, საერთო ოპოზიციურ სპექტრს მხოლოდ წაადგება.

საპარლამენტო ფრაქციაში „მემარჯვენე ოპოზიციას" სულ 17 წევრი ჰყავდა, აქედან შვიდი — „მრეწველი". ათკაციანი ფრაქციის შესაქმნელად „მრეწველებს" სამი წევრის დამატება დასჭირდებათ. სამივე არის — „მაჟორიტართა" ფრაქციიდან რუსია, პარუნაშვილი და ქურდოვანიძე. სამივენი არჩევნებში კენჭს „მრეწველთა" სიით იყრიდნენ. კულუარული ხმებით, სწორედ ეს სამი დეპუტატი ურჩევდა ტყემალაძეს „მემარჯვენეთა" დატოვებას.

მოკლედ, რადიკალური „მემარჯვენეები" „თავდაჭერილმა" მრეწველებმა დატოვეს. დანარჩენი ნიუანსები საგაზაფხულო საპარლამენტო სესიაზე გადაწყდება.

მიუხედავად დაქუცმაცებისა, ოპოზიცია წინასაარჩევნო კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებს იწყებს.

**გიორგი ცაგარეიშვილი, „მემარჯვენე ოპოზიცია"**: „კოალიციური გაერთიანება ყველა ოპოზიციური პარტიისთვის არის ხელსაყრელი, რათა ხელისუფლებას ადგილობრივ არჩევნებზე ეფექტიანი ოპონირება გაუწიონ. ვფიქრობთ, ადგილობრივი არჩევნების წინ ოპოზიციის გაერთიანება შედეგს გამოიღებს."

ეს კი უნდა მოხდეს საქმით და არა ლაპარაკით!

**მზია გელენავა**

◉ წინ თებერვალია!

# ენერგოკრიზისი ვითომ დაგვემშვიდობა?!

კი, ვითომ დაგვემშვიდობა, ხელიც ჩამოგვართვა, მაგრამ საფიქრალი და საზრუნავი მაინც ბლომად დაგვიტოვა. ვთქვათ და შემოგვიტრიალდა – ვიღაცამ გაზსადენიააფეთქა, იმერეთში ქარმა შემოუბერა და ელექტროგადამცემი ხაზი წააქცია, – მერე რას ვშვრებით?

რა თქმა უნდა, დავფაცურდებით, აქეთ ვეცემით, იქით ვეცემით და როგორმე გამოვძვრებით. იცოცხლეთ, ამის გამოცდილება საკმარისზე მეტი დავაგროვეთ. თანაც ისეთი, მთელი მსოფლიო რომ ალაფრთოვანა – რა ხალხი ყოფილან ეს ქართველები, აწი მაგათ წამქცევი მარტო რუსეთი კი არა, მთელი დუნია რომ დაირაზმოს, წარბსაც ვერ შეახრევინებსო.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათი დახატა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც ენერგობლოკადის დღეებში გაჭირვებული ხალხის გვერდით დადგა, იქით სოციალურად დაუცველ მოსახლეობას თითო ტომარა შეშა დაურიგა, აქეთ – 60-თეთრიანი ნავთის რიგში კილომეტრიანი რიგები გამართა და ხალხის ზადლიერება დაიმსახურა.

ამ დამსახურებას მართლაც ვერ დავუკარგავთ მთავრობას, რომელმაც რუსეთიდან შეწყვეტილი გაზის ალტერნატიული მომწოდებელიც გამონახა და დროებით ამ ყინვა-ყიამეთში ქვეყანაში სითბო დაატრიალა, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ უმადური ადამიანები, რომლებმაც ხელისუფლებას ამაგი არ დაუფასეს და იქით შეუტიეს – შენ თუ ნამდვილი მზრუნველი იყავი, თავიდანვე უნდა გაგეთვალისწინებინა, საიდან რა ხაფანგს გვიგებდნენ და მასში არ გახლართულიყავითო.

ზოგმა უფრო პირდაპირ და აშკარად გამოხატა ეს აზრი: მთავრობას დღემდე ვერ შეუმუშავებია სამომავლო რეალური სტრატეგია და იგი იძულებულია, შექმნილ ფორსმაჟორულ სიტუაციაში წინასწარ გამიზნული პროგრამით კი არა, მექანიკური ხერხებითა და საშუალებებით იმოქმედოსო.

რადგან ასეთი აზრიც შეიქმნა საზოგადოებაში, გადავწყვიტე, საქართველოში ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირს ვწვეოდი და ზოგი რამ დამეზუსტებინა.

**– თქვენ როგორ ფიქრობთ, – ვეკითხები ამ კავშირის თავმჯდომარეს ვანო მთვრალიშვილს, – ისეთ მწვავე ენერგობლოკადის პირობებში, როგორშიც ამ დღეებში საქართველო აღმოჩნდა, დედაქალაქში არ უნდა ყოფილიყო რამდენიმე ავტოგასამართი სადგური მაინც, რომლებსაც ნავთის მარაგი ექნებოდათ?**

– რა თქმა უნდა, ნავთი, როგორც ყოველდღიური მოხმარების საწვავი, უნდა ყოფილიყო რეალიზაციაში, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ქვეყანა ელექტროენერგიითა და გაზით შეუფერხებლად მარაგდებოდა, იმპორტიორებმა საჭიროდ არ ცნეს მისით სტაციონარული სადგურების მომარაგება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელშიც ახლა ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ პროდუქტი, რომელზეც მოთხოვნილება არ არის, იმპორტიორებმა არ შემოიტანეს.

– მაგრამ, ჩვენ არა ვართ ის ქვეყანა, რომელსაც მდგრადი ენერგოსისტემა გააჩნია. არავინ უწყის, მას როდის შემოუბერავს პოლიტიკური თუ ენერგორყევების ქარი და მთავრობის თავდაჯერებულობას, რომ მან გარანტირებულ მდგომარეობას მიაღწია, როგორ გაანიორწყლებს.

– აკი გაანიორწყლა კიდეც, მაგრამ ასეთ მძიმე სიტუაციაშიც მთავრობამ მოახერხა (ამას ვერ დავუკარგავთ) ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, ერთი მხრივ, გაზის ალტერნატიული მომარაგების წყარო მოეძებნა და, მეორე მხრივ, დედაქალაქის ავტოგასამართ სადგურებში ნავთი გადაესროლა. ამ შემთხვევაში ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთ კომპანია „ავიასაწვავსერვისს", რომელმაც თვითმფრინავებისთვის განკუთვნილი ნავთი გაჭირვებული მოსახლეობისთვის გამოიმეტა და არც „ლუკოილსა" და „ბიპის", რომლებმაც კეთილი ნება გამოიჩინეს და 1,4 ლარად ღირებული ნავთი მოსახლეობას 60 თეთრად მიჰყიდეს.

**– მაგრამ ხომ იზარალეს? ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ მთავრობამ ისინი დაავალდებულა ამ ფასად გაეყიდათ.**

– არა, ისინი კერძო კომპანიებია და მთავრობას არ შეეძლო, ებრძანებინა – გინდათ თუ არ გინდათ, ამ ფასად გაყიდეთო. „ლუკოილი" ტრანსნაციონალური, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია გახლავთ და მან შეძლო ეს ზარალი საკუთარ თავზე აელო.

ამ საუბრიდან კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ ენერგობლოკადას, როგორც მთავრობას ჰგონია, მარტო მის კისერზე არ გადაუვლია. ბუნებრივია; მას (მთავრობას) საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ძალიანაც რომ მოინდომოს, ძალა არ შესწევს, კერძო იმპორტიორს თავს საკუთარი ნებასურვილი მოახვიოს. ასე რომ იყოს, მაშინ მას ბაზარში ხორცის გამყიდველსაც შეუძლია უბრძანოს – ხალხი გაჭირვებულია და 7 ლარის ნაცვლად კილოგრამი 2 ლარად მიეციო!

ასეა, ბაზარს თავისი კანონები აქვს და ამის მიხედვით მოქმედებს. სწორედ ამით აიხსნება მსოფლიო ბაზარზე გაჩენილი ის ხანძარი, რომელიც დღეს ნავთობპროდუქტებს ყველა დიდსა და პატარა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც უკიდია.

***მაინც რით უნდა ავხსნათ ნავთოპროდუქტებზე უკანასკნელ პერიოდში ფასების ასეთი ზრდა, კერძოდ, რა ფაქტორები მოქმედებს მასზე?***

როგორც ბატონი ვანო მთვრალაშვილი განმარტავს, ეს უპირველესად გამოწვეულია ნავთობზე მოხმარების კატასტროფული ზრდის ტენდენციით. ამჟამად მსოფლიოში ნავთობზე ყოველდღიური მოთხოვნილება 80-85 მილიონ ბარელს აღწევს, აქედან 30 მილიონი ბარელი ოპეკის ქვეყნებზე მოდის. ამ პროდუქტის გიგანტი მომხმარებელი არიან აშშ, ჩინეთი, ინდოეთი და სხვა დიდი ქვეყნები, სადაც წარმოებისა და ეკონომიკის ზრდის პარალელურად ნავთობზე მოთხოვნილება დაუსრულებლად იზრდება.




მაგრამ, როგორც არ უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, შესაბამისად არ იზრდება ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები – 1992 წლის შემდეგ არც ამერიკაში და არც ევროპაში ამ დარგში მომუშავე არც ერთი ახალი ქარხანა არ აშენებულა. ასე რომ, დღეს მსოფლიოს უფრო მეტად ნავთობის მოპოვება კი არა, მისი გადამუშავება უჭირს.

ამას ემატება არასტაბილური ვითარება, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა ისეთ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, როგორიც არიან ერაყი, ნიგერია, ვენესუელა, ირანი და სხვები, რაც კიდევ უფრო დაამძიმა სტიქიურმა უბედურებებმა. ქარიშხალმა „კატრინამ", მაგალითად, რომელმაც ამერიკას გადაუარა, საერთაშორისო ბაზარზე ერთი ტონა ბენზინის ფასი გასული წლის სექტემბერში 690 დოლარამდე ააგდო.

მომდევნო თვეებში ბენზინის ფასმა შედარებით იკლო, მაგრამ სასურველს მაინც ვერ მიუახლოვდა, წლეულს იანვრიდანაც 1 ტონა ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასმა უკვე 70-75 დოლარით მოიმატა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? აქაც იგივე ხდება, რაც მსოფლიო ბაზარზე, ჩვენთან საწვავის ფასი არაფრით ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტისას. მით უფრო, რომ ჯამჯერად შეწყვეტილია აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების შემოტანა (იქ ქარხნის რემონტი მიმდინარეობს), რომელიც ევროპულთან შედარებით გაცილებით იაფი გვიჯდებოდა.

მაგრამ ადგილზეც ხომ ვიღებთ რაღაც რაოდენობის ნავთობს, ამას რას ვუშვრებით? საზღვარგარეთ გაგვაქვს და ვყიდით, უფრო სწორად, ჩალის ფასად ვყრით. რატომ, განა ისე ვართ საწვავით გაზულუქებული, რომ უცხოელებს ჩვენი ნავთობი მისი თვითღირებულების ფასად ვაძლიოთ, ჩვენ კი იქიდან ცეცხლის ფასად შემოვიტანოთ?

აი, სად უნდა ჩაერიოს მთავრობა, რომელიც ამ დარგში საკადრო ცვლილებებით უფრო გართული, ვიდრე სამამულო ნავთობის გადასამუშავებლად ადგილობრივი საწარმოების ამოქმედებით და ხალხის დასაქმებით. **არადა, იმ ათასობით ტონა ნავთობს, რომელსაც საქართველოში დღესდღეობით მოიპოვებენ, ადგილობრივი საწარმოები რომ გადაამუშავებდნენ, მათში 800 კაცი მაინც დასაქმდებოდა, თანაც სახელმწიფო ბიუჯეტი გაცილებით მეტ შემოსავალს (30 მილიონამდე ლარს) მიიღებდა, ვიდრე ნედლი ნავთობის იმპორტით, რომ აღარაფერი ვთქვათ იაფ პროდუქციაზე.**

როგორც ჩემთან საუბარში ზემოთ ნახსენები კავშირის თანათავმჯდომარე ვახტანგ იობაშვილმა განაცხადა, ახლა ამ პრობლემას თითქოს თავი ებმება. პარლამენტში შექმნილი კომისია, რომელიც ამ საკითხზე კარგა ხანია მუშაობს, როგორც იქნა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა ამუშავდნენ ნავთობის ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ის საწარმოები, რომლებსაც აქვთ უწყვეტი ციკლი და გამართული ტექნოლოგია.

ღმერთმა ინებოს!

და ისიც, რომ ვინმემ იზრუნოს ტყიბულის ნახშირზე, რომელიც, ყველას ახსოვს, როგორი წარმატებით გამოიყენებოდა ზამთრის ყინვიან პერიოდში მოსახლეობის გასათბობად. სად დაიკარგა იგი, განა ენერგობლოკადის დღეებში რომ გვქონოდა, მთავრობას ამდენი გაწამაწია დასჭირდებოდა?

იქნებ ამაზე დღეს მაინც ვინმე დაფიქრდეს მთავრობაში, რომელიც გაჭირვების ჟამს ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროებს საზღვარგარეთ ეძებს, საკუთარი კი რატომღაც ვერ გახსენებია.

**არადა, სულაც არ არის გამორიცხული, ენერგოკრიზისმა, რომელიც დროებით დაგვემშვიდობა, ხვალ და ზეგ ისევ შემოგვიტიოს. მერე რას ვშვრებით? ალბათ კვლავაც ხალხის გამხნევება დაგვჭირდება. ჩვენ ხომ მთელ მსოფლიოში ყველაზე მაგრები და ამტანები ვართ!**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ინფორმაცია

## მცხეთაში „შავ ბუღალტერიას" არ ეშვებიან

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მცხეთის მარკეტებში საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტები აღმოჩინეს.

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ მცხეთაში მდებარე ორ მარკეტში შემოწმება დაიწყო.

პოლიციამ ინდმეწარმე „თემურ სოხაშვილის", და შპს „ჯი სერვისის" მარკეტებში ე.წ „შავი ბუღალტერია" აღმოაჩინა.

ამ ეტაპზე მარკეტებში რევიზია მიმდინარეობს. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის მუხლით აღიძრა.

## ადამიანის გატაცების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულები არიან თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე მცხოვრები, 31 წლის იანიკ სიმაევი და თბილისში მცხოვრები 23 წლის დავით ხორბალაძე, რომლებიც მოქალაქე ფარიმან ხალილოვის მძევლად ხელში ჩაგდებაში არიან ეჭვმიტანილები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ისანი-სამგორის შს სამმართველო აწარმოებს.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება საკმაოდ ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს.

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი გამოჭეს

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაადგინეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, შსს-ს პოლიციელებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაადგინეს, იგი 23 წლის პაატა ჩლაიძე აღმოჩნდა.

პოლიციის ინფორმაციით, ჩლაიძემ თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღით 23 წლის ირაკლი ბასილაია დაჭრა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველო აწარმოებს.

## ფოთის პორტის დირექტორი გადადგა

ფოთის პორტის გენერალური დირექტორის პოსტი ვაკანტურია. ფოთის პორტის სამეთვალყურეო საბჭომ პორტის გენდირექტორის თემურ მიმინოშვილის გადადგომის შესახებ განცხადება გუშინ დააკმაყოფილა.

როგორც ინტერპრესნიუსს საწარმოთა მართვის სააგენტოში განუცხადეს, თემურ მიმინოშვილმა თანამდებობიდან წასვლის პირადი მიზეზი დაასახელა.

– თემურ მიმინოშვილს პირადი მიზეზის გამო თანამდებობიდან წასვლა გასული წლის შემოდგომაზე უნდოდა, თუმცა ვთხოვეთ, რომ წელი დაემთავრებინა, დღეს კი მისი განცხადება დაკმაყოფილდა, – განაცხადეს საწარმოთა მართვის სააგენტოში.

ფოთის პორტის გენერალური დირექტორის მოვალეობას პორტის ერთ-ერთი დირექტორი თემურ ხოხობაია შეასრულებს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ვაშინერს!

# „მეგრელებო... ყოველთვის გამყიდველები იყავით!"

ქართულ მასმედიაში დღეს უდავოდ გამორჩეულია ტელეკომპანია „202". საინტერესო, საზოგადოებრივი პრობლემებით დატვირთული გადაცემების გარდა, „202"-ის პოპულარობა, ბოლო დროს, მისი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის ირგვლივ აგორებულმა სკანდალმაც განაპირობა.

მაგრამ, ეს რა ხდება, ტელეკომპანიის მესვეურნო?! მორბენალ სტრიქონზე, არცთუ იშვიათად, ვკითხულობთ ვიღაც ტვინგაყინულების, ავადმყოფურად მოაზროვნე ტიპების გზავნილებს: „რაჭველები ყველაზე მაგრები ვართ, კახელები კოჭებამდეც ვერ მოგვწდებიან", „გაუმარჯოს ნახალოვკას, ძირს ვაკე"!.. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

აგზავნონ, რას გაიგებ, რამდენი დაუკვირვებელი და უსაქმურია, მაგრამ, თქვენ რატომღა უშვებთ ამ „მარგალიტებს" ეკრანზე, ბატონებო?!

ვინ ვინ და, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა და კოლეგამ, პატრიოტმა კაცმა, „202"-ის ერთ-ერთი გადაცემის სამაგალითო წამყვანმა, ბატონმა კობა ლიკლიკაძემ ხომ ზედმიწევნით იცის, ეს ქვეყანა, ოდითგან, თანდაყოლილმა სენმა – კუთხურობამ რომ დააქცია და დააქუცმაცა?!.

გუშინწინ საღამოს მაინც ნამეტანი იყო: **„მეგრელებო, რაც ისტორია არსებობს, თქვენ ყოველთვის გამყიდველები იყავით", –** წერდა კახელი მიტუა. ამაზე დიდი მკრეხელობა, ამაზე დიდი სისულელე გაგონილა?!

ემანდ, ფრთხილად, ბატონებო!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

ეროვნული

◎ შიდა ქართლის მხარე

# კაცი თქვი, თორემ კორსაკეტივიდან რალობაკე მცირე მანძილია

## ამჟერად საკონსერვო, მომავალში ზეთის ქარხანაც

ნუ გაგიკვირდებათ, ამ ორიოდე წლის შემდეგ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალზე საუბრისას დაბა აგარაც რომ მოიხსენიონ.

აგარის შაქრის კომბინატი იყო პირველი, წინა საუკუნის 30-იან წლებში დაბაში რომ აშენდა. კომბინატს მუშა-მოსამსახურეებისთვის საცხოვრებელი სახლები მოჰყვა, დაბა კეთილმოეწყო – სკოლა, საბავშვო ბაღი, კინოთეატრი, დასასვენებელი სკვერები, მოკლედ, მეშაქრეთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა. 90-იანი წლები რომ დადგა, შაქრის კომბინატს გაუჭირდა. მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგი იყო, რომ საწარმო არ წაიქცა, როგორც ეს მეზობლად მდებარე საკონსერვო ქარხანას დაემართა. მეკონსერვეები სიძნელეებს იოლად დანებდნენ, არაფერი იღონეს ქარხნის გადასარჩენად. შედეგმაც არ დააყოვნა: საწარმო დაინგრა და გაპარტახდა.

ამასობაში შაქრის კომბინატში ახალი თავკაცი მოვიდა – ბიზნესმენი და მოღვაწე გოჩა ძასოხოვი. მეშაქრეთა მდგომარეობა თითქოს უკეთესი იყო, თუმცა ახალმოსულ ხელმძღვანელს უამრავი პრობლემა დახვდა მოსაგვარებელი. გოჩა ძასოხოვს არც ჯადოსნური ჯოხი მოუტანია, არც ცრუ დაპირებებით გაუბრუებია მუშები. უბრალოდ, შეისწავლა ვითარება, შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა და საქმეს შეუდგა.

რას წარმოადგენს დღეს სააქციო საზოგადოება „ქართული შაქარი"? ეს არის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, რომელიც, თუ ადრე 200 ტონა ნედლეულს ამუშავებდა, დღეს 500 ტონაზე მეტს ამუშავებს. მას შემდეგ, რაც კომბინატის პროდუქცია უკრაინისა და კავკასიის ბაზრებზე გავიდა, სააქციო საზოგადოება „ქართულ პროდუქტში", ვის გამგებლობაშიცაა „ქართული შაქარი", მეზობლად მდებარე ყოფილი საკონსერვო ქარხნის ბედითაც დაინტერესდნენ. გადაწყდა: მის ადგილზე ვაშლის კონცენტრატების გადამამუშავებელი საწარმო აეშენებინათ.





ეს იყო შარშან. ამ დღეებში კი ნანგრევებიდან აღდგენილ და განახლებულ თესლოვანი ხილის კონცენტრატების გადამამუშავებელ ქარხანაში ვიყავი. გამახსენდა გოჩა ძასოხოვის ჯერ კიდევ თბილისში ნათქვამი: ასეთი უახლესი ტექნოლოგიებითა და მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი მეორე საწარმო საქართველოში კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც არ მეგულებაო.

მჯერა, დაწყებული უზარმაზარი ეზოდან, მთლიანად ფერადი დეკორატიული ფილებით რომ დაუგიათ, დამთავრებული სამრეწველო დანიშნულების შენობებით, ყველაფერი ახალია, ევროსტანდარტების შესაბამისად გამართული და დამონტაჟებული. რაც შეეხება მთავარ საამქროს, მას რომ ათვალიერებ, თავი ტელეკომუნიკაციების, კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების საუფლოში გგონია.

ეს ყველაფერი ცნობილი იტალიური ფირმის „ფენკოსა" და აგარის კონცენტრატების გადამამუშავებელი კომბინატის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია.

– შარშან 15 ათას ტონამდე ვაშლი გადავამუშავეთ, ეგრეთ წოდებული „ნაქარი", რომელიც მოსახლეობას ბევრი ჰქონდა, გასაღებით კი ვერ ასაღებდა, – მითხრა საამქროს უფროსმა ნუგზარ ბაჯაძემ, – წლეულს ხარისხიან ვაშლსაც მივიღებთ და უნიკალური ტექნოლოგიების წყალობით ისეთი ხარისხის წვენებს, ჯემსა და ხილფაფებს დავამზადებთ, ევროპის ბაზარზე [illegible] რომ აგვითვისონ.

– ამჟამად სარეალიზაციოდ 800 ტონა კონცენტრატი გვაქვს გამზადებული. დღე-დღეზე იტალიიდან ჩამოსასხმელ ხაზებს ველოდებით, ჩვენს მზა პროდუქციას კი იტალიაში ელოდებიან, – თქვა ქარხნის ტექნიკურმა დირექტორმა დავით თხლაშაძემ.

საწარმოს სიამაყეა მართვის ცენტრალური ფარი – ავტომატიზებული და კომპიუტერიზებული. მისი მეოხებითაა, რომ ნედლეულის გადამუშავების სადღეღამისო წარმადობა 450 ტონას აღწევს. საამქროს ტექნოლოგიური „ტვინი" იტალიური მემბრანული ფილტრია, რომელიც სხვა ტექნიკურ მიღწევებთან ერთად აღჭურვილია სატელიტური ანტენით და ამის მეოხებით ფირმა „ფენკო" (იტალია, ქ. პარმა) სათავო ოფისიდან ყოველ წუთს მზადაა შესაბამისი მითითება ან რეკომენდაცია მისცეს აგარელ მეკონსერვეებს ამათუ იმ ტექნოლოგიური პროცესის სწრაფად წარმართვის თაობაზე, მაგრამ აქაური ინჟინერ-ტექნოლოგების ცოდნა და კვალიფიკაცია იმდენად მაღალია, რომ „ფენკო" რაიმე რეკომენდაციისთვის ჯერ არ შეუწუხებიათ.

„ქართული პროდუქტი" საკონსერვო პროდუქციის ათვისებით არ კმაყოფილდება. იქვე, უპატრონოდ მიგდებულ თავლია შენობაში ზეთის ქარხნის აშენებას აპირებენ. ჯერჯერობით ეს პერსპექტივაა, მაგრამ გოჩა ძასოხოვსაც ხომ ისეთ კაცად იცნობენ, პერსპექტივას რეალურ სინამდვილედ რომ აქცევს ხოლმე.

„ქართული პროდუქტი" უნარიანი და შორსმზირალი ადამიანების ხელშია. მისი წარმატება ქართული სოფლის ეკონომიკური ძლიერებისა და კეთილდღეობის გარანტიაა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

**სურათზე:** ასე გამოიყურებოდა ამ ერთი წლის წინათ აგარის ყოფილი საკონსერვო ქარხანა; ვაშლის კონცენტრატების გადამამუშავებელი ახალი ქარხანა შარშან შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა.

◎ მოქცევა

# ღვთისგან დალოცვილი კუთხეა

**სოფელ** თელეთის ზემოთ, ხევის აყოლებაზე, აღმართის ოდნავ შევაკებულ ადგილას ორი ძველთაძველი მართლმადიდებლური ტაძარია აღმართული – როგორც ღმერთთან ქართული სულის მარადიული ვედრების სიმბოლო. ერთი მათგანი – ხევმარჯვნივ, დამრეც კლდეს შეზრდილი ცადაწეული სამრეკლოთი – წმინდა გიორგის ეკლესიაა.

ჟამთა მუხანათობისაგან შებილწულს – საქართველოს გასაბჭოებისთანავე ხორბლის საწყობად გამოყენებულსა და მერე უცხო აღმსარებლებისაგან დაჯიჯგნილს, დღეს კვლავ დაბრუნებია პირვანდელი სიდიადე. მზის სინათლე უხილავთ ძირძველ კანკელის ვაზის ჩუქურთმიან ქვებსაც, რომლებიც გადამთიელებს თავიანთი ამბიონისთვის სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ და იქ ჩაუმარხავთ...

ტაძარს სამხრეთით ლამაზი ქვებით ნაშენი სატრაპეზო ემიჯნება, ხოლო დასავლეთის მხარეს – ორსართულიანი ქვითკირის შენობა, სადაც კელიებია განლაგებული. ეს ყველაფერი დედათა მონასტერს ეკუთვნის.

მის მეზობლად, ასიოდე მეტრის მოშორებით, სოფლიდან ხევმარცხნივ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების შედარებით მომცრო ეკლესიასთან ერთად, ორსართულიან საუკუნოვან სახლსაც დაინახავთ. აქ მხოლოდ მამათა მონასტრის მოზრდილი ეკლესია და სატრაპეზოა. მის გვერდით ახლადაშენებული ერთსართულიანი სენაკებია ჩამწკრივებული.

ძირითადად სულ ესაა, რისგანაც შედგება სოფელ თელეთის ხევზევითა მადლმოსილი და უჩვეულო სამყოფელი. უჩვეულო იმდენად, რამდენადაც შეიცნობს ადამიანის გონება აქ მომხდარ სასწაულებს. უკვე ხილულ, აშკარა ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის. სამონასტრო ცხოვრების ყოველი დღე ხომ განსხვავებულია თავისი შინაარსით – ცოდვებთან დამარცხებებითა თუ გამარჯვებებით, დაცემითა თუ წამოდგომით. აქ ბევრი ადამიანი მოქცეულა და დაუწყია ახალი, სალმრთო ცხოვრება. სწორედ ამის შესახებ მოგითხრობთ ხოლმე ჩვენი გაზეთის ახალ რუბრიკაში **„მოქცევა"**.

...ბერის კელია. უბრალო, როგორც ქრისტეს შობის ადგილი – ბაგა. კედლები – სავსე ხატებით. ხის სახელდახელოდ შეჭედილი ტახტი ლოგინით. მაგიდა, სკამი. სალვთო წიგნები. თაროზე შემოწყობილი მწირი შესამოსელი. საკმევლის ღვთიური სურნელი და ლოცვად დამდგარი ბერი – მამა ამბროსი (ჩომახაშვილი), პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე თელეთის მონასტრის წინამძღვარი. მხოლოდ ლოცვა-კურთხევით. სინამდვილეში? – ნახევრად დანგრეული, მთლიანად გაძარცვული წმინდა გიორგის და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები, რომლებიც ფულის მკეთებელ მკითხავებს ეპყრათ. იქვე, ეზოში ალუმინის სადნობი საამქრო და მისი მეპატრონენი... ყველანი ერთად აშინებდნენ, ავიწროებდნენ და სიკვდილითაც ემუქრებოდნენ დღედალამ ბერს. მრევლი? – უცხო აღმსარებლობით მონათლული ქართველნი, უკვე გაუცხოებულნი, ჭეშმარიტებასა და მამა-პაპათა სარწმუნოებას მოკლებულნი. იმედი? – ქრისტე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, წმიდა გიორგი.

ამიტომ აღმართულიყო ახლაც ლოცვა-ვედრებისაგან ცრემლდადენილი, შუბლშეკრული და წვერდანამული. გარეთ კი ღამე დაყუდებული ყურს უგდებდა მის ღვთიურ სიტყვებს, თითქოს იცოდა, რაც მოხდებოდა მის ბნელ წიაღში.



...ბევრნი იყვნენ. სამი ან ოთხნი. შეიძლება – ხუთნიც. მამა ამბროსის კელიის სარკმელთან მოიყარეს თავი. გამოდიო, უყვიროდნენ და ლანძღავდნენ ბერს. მან ლოცვა შეწყვიტა, ცრემლი სათუთად შეიმშრალა სახელოებით. ღვთისმშობლის ხატის წინ მივიდა. ეამბორა და სარკმლის წინ მორჩილად წარსდგა, ვითარცა სამსხვერპლოზე. მოსულები შეკრთნენ და დაიბნენ. სარკმლიდან ქვემოთ მომზირალი ბერი თავისი სათნო თვალებით, სახის ნაკვთებით ფრესკიდან გადმოსულს, ხორცშესხმულ ხატებას ჰგავდა. წამით სიჩუმე შეერწყა ბნელეთს, თითქოს დაეძინაო ბოროტებას. მაგრამ ერთმა ავტომატგადაკიდებულმა იარაღი შემართა. შემზარავი იყო ტყვიის ზუზუნის ხმა. შემზარავი, როგორც გულში ჩარჭობილი მახვილის შეგრძნება. წარბიც არ გატოკებია მამა ამბროსის. ისევ მშვიდად იდგა და მისჩერებოდა მათ. მერე ფანჯარას მოწყდა. გაუჩინარდა. მგონი, როგორც იქნა მოვკალითო, გაიხარეს და ურცხვად მიიჭრნენ კელიის კართან, რათა შეემტვრიათ და საკუთარი თვალით ეხილათ მოკლული ღვთისმსახური.

ულმერთოთა გასაკვირად, კარი თავისით გაიღო და მამა ამბროსი მოულოდნელად მათ წინ შეეგება.

– უყურეთ ამას, კიდევ ცოცხალიაო, – შესძახა ვილაცამ, ყუმბარა გახსნა და მღვდელს ანაფორაში ჩაუგდო. ყველანი წამიერად გვერდითა კედელს ამოეფარნენ, მიწაზე გაიშოტნენ და თითები ყურებში გაირჭვეს.

ტყუილად დაშვრნენ ეშმაკის მსახურნი: ყუმბარა არ აფეთქდა. არ აფეთქდა, რადგან ღმერთს სურდა აქაურობას დაპატრონებოდა – აღდგენილიყო სამონასტრო კომპლექსი, განახლებულიყო წირვა-ლოცვა, დაწყებულიყო სალმრთოდ მოქცევა, გაცოცხლებულიყო ქართული სული. ასეთი იყო ნება უფლისა და ვის შეეძლო ამ ნების შეცვლა!

გაოგნებულები წამოიჭრნენ ფეხზე. უნდოდათ, ისევ მივარდნოდნენ და ახლა დანებით აეკუწათ სასწაულებრივად გადარჩენილი ბერი. მაგრამ ყველას ერთმა დაასწრო. მოწიწებით დაემხო მღვდელმონაზონის ფეხთა წინაშე.

– შეგვინდე მამაო, ჩვენ, ცოდვილებსო, – პატიებას ითხოვდა და თან ქვითინებდა.

– ღმერთმა შეგვინდოთ, შვილებოო, – ჩვეული სიდინჯით წარმოთქვა მამა ამბროსიმ, მომტირალი ფეხზე წამოაყენა, მოეფერა, დაამშვიდა და კელიაში შებრუნდა.

თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, თითქოსდა ჩვეულებრივ წირვიდან დაბრუნებულიყოს...

ნანახმა წამით დაადუმა და დააშოშმინა მტარვალნი. მერე კი გონს მოეგენ. დაცინვა დაუწყეს თავის მეგობარს, თან დაემუქრნენ კიდეც: სულ ერთია, სანამ მილიციაში დაგვასმენდეს, ჯერ მაგას მოვკლავთ და მერე შენც ზედ მიგაყოლებთო.

**მათი დასმენა ფიქრადაც არ გაუვლია მამა ამბროსის. პირიქით, ყოველღამ ღმერთს ევედრებოდა, – შეუნდე უფალო, რამეთუ არ იცოდნენ, რას იქმოდნენო. ღმერთისგან კი მათგან მხოლოდ ერთს მიეტია ყოველივე. მას, ვინც წინ აღუდგა თავის თავში ჩაბუდებულ ბოროტებას, ვინც პატიება ითხოვა და მაშინვე ღვთისკენ შემობრუნება იწყო...**

**ელგუჯა გრიგალაშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა
ჭირის მორევი
№№ 24-25. შაბათი. 4 თებერვალი. 2006 წელი.


◎ მრავალცოლიანობა?

# ვალაგვარების სიჰკტობი

რუსეთი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა. ექსპერტთავარაუდით, 40-50 წლის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა განახევრდება. მამაკაცთა უდიდესი ნაწილის გალოთების, განარკომანების თუ გამათხოვრების პარალელურად, პრობლემას ამწვავებს სქესთა თანაფარდობის შემაშფოთებელი დარღვევაც. სადღეისოდ რუსეთში ყოველ 1000 კაცზე მოდის 1.175 ქალი, თუმცა არის რეგიონები, სადაც ეს მაჩვენებელი გაცილებით უარესია. პეტროზავოდსკში, მაგალითად, ყოველ 1.000 კაცზე მოდის 1267 ქალი, ტულაში – 1273, ტვერში – 1274, ივანოვოში – 1276, ნოვგოროდში – 1298...

არის უარესი მონაცემებიც: ონკოლოგიური დაავადებების, სატრანსპორტო შემთხვევების, თვითმკვლელობების შედეგად, რუსი კაცი ცოცხლობს 16 წლით ნაკლებს, ვიდრე დასავლეთ ევროპელი. ამჟამად რუსი კაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უდრის 58, ხოლო ქალის – 66 წელს. მამაკაცთა დაჩლუნგებაზე, იქნებ უფრო უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქმარი არა ჰყავს 19 წლამდე ბავშვიან ქალთა 18,8 პროცენტს, ხოლო 24 წლამდე ბავშვიან ქალთა 7,7 პროცენტს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ რუს ქალთა 29 პროცენტი ცოლად არ მიჰყვება უბინაოს, 35 პროცენტი კი – უფულოს...



და აი, ასეთ ჩიხურ სიტუაციაში გამოსავალს პოულობს ჯერ სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი, მერე კი ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი რამზან კადიროვი. მათი ინიციატივაა მრავალცოლიანობის დამკვიდრება. სწორედ ეს იხსნის რუსეთსაო. ალბათ, იკითხავთ, – ეს რუსის კაცი ერთ ცოლსაც ვერ უვლის და ბევრს როგორ მოუვლისო? რას ბრძანებთ, – სადღეისოდ რუსეთში ყოველ მეშვიდე კაცს თურმე უკვე ჰყავს ორი და მეტი ცოლი. ამასთან, ცოლების თითქმის 50-მა პროცენტმა ეს ამბავი იცის და კრინტსაც არა სძრავს. ისმება კითხვა, – რა, რუსული საზოგადოება უკვე ემზადება მრავალცოლიანობის შესახებ ოფიციალური კანონის პისალებად? ეტყობა, ემზადება...

1 და 2 თებერვალს გზაგასაყარზე, შუაღამისას ტელეარხმა ОРТ-მ გადასცა ორსაათიანი პროგრამა „მე რომ სულთანი ვიყო". თავიდან ბოლომდე მსჯელობა იყო მრავალცოლიანობაზე, მის სიკეთეზე, უწყინრობაზე და ა. შ. გამოიყვანეს კაცები, რომელთაც დღეს ჰყავს 2, 3, 4, 5 და 6 ცოლიც კი. და მსგავს პერსონათა შორის აღმოჩნდნენ ქართველებიც. ცისფერ ეკრანზე, რაც ყველაზე საინტერესოა, ყველაზე მეტი დრო თითქმის მათ დაუთმეს.

პირველი გახლდათ მომღერალი სოსო პავლიაშვილი, რომელიც ახლა მოსკოვში ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე ირინა და შვილი ლიზა. მაგრამ მას თბილისში ჰყავს პირველი ცოლიც და პირველი შვილიც. ტელევიზიით დაგვმოძღვრეს რომ თურმე ამ ორ ოჯახს შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობს, ურთიერთობა ნორმალურია. ესე იგი, ორცოლიანობა ქართველებისთვისაც მისაღებია, ჩვეულებრივი ამბავია; მეორე იყო ნოვოროსიისკში მცხოვრები დავით გორგიძე, რომელსაც ორი ცოლი ჰყავდა... ერთ ქუჩაზე. პირველს – ნატალიას სოლიდური თანხა შეაწერა, მეორეს – ვალენტინას კი ავტომანქანა აყიდინა. უჩივლეს ბოლოს და 5 წლით ციხეში ჩააყუდეს. ერთი სიტყვით, აქაც ქართველების ლტოლვა მრავალცოლიანობისკენ...

ყურანის თანხმობის მიუხედავად, 38 მუსულმანური სახელმწიფოდან მრავალცოლიანობა დაშვებულია მხოლოდ 22-ში. რას იზამს ქრისტიანული სამყარო? უპირველესად კი, – რუსეთი და მასზე გადაჯაჭვული საქართველო? საქართველოც ხომ შეტანილია 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში? სხვათა შორის, 500 ათასამდე ბერბიჭა და შინაბერა ჩვენს ქვეყანაშიც ზის. ნუთუ ქართველ ქალებსაც უწერიათ ცოცხალ რიგში დგომა საკუთარი ქმრის ლოგინში მოსახვედრად?

**ბონდო გულიაშვილი**

◎ კორუფცია

# სიხარბის ფსიქოზი

ახლახან ორგანიზაცია „ტრანსფარენს ინტერნაციონალმა გამოაქვეყნა „მსოფლიოში კორუფციის აღქმის" რეიტინგი. და აქ საქართველომ 130-ე ადგილი დაიკავა. ვინლა ჩივის ისლანდიას (პირველი ადგილი), ფინეთს (მე-3), შვეიცარიას (მე-7), დიდ ბრიტანეთს (მე-10) და აშშ-ს (მე-17); ჩვენ კაი



გვარიანად გაგვასწრეს ესტონეთმა (27-ე), ლიტვამ (44-ე), ლატვიამ (51-ე), სომხეთმა (88-ე) და უკრაინამ (107-ე ადგილი); ვაჯობეთ მხოლოდ ტაჯიკეთს (144-ე), თურქმენეთს (155-ე) და რუსეთს (სადღაც 167-ე ადგილი)...

სიმართლე გითხრათ, მაშინ მაინც ეჭვის თვალით შევხედე ამ მონაცემებს. ვიფიქრე, ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ ისე მედგრად შეუტია კორუფციას, იმდენი ჩინოვნიკი „გაუშვა" ციხეში, იმდენი ფული დააყაჭინა ბიუჯეტში, რომ დიდი და პატარა გონს მოეგებოდა, ქრთამის აღებას თითო-ოროლა ვინმე თუ გაბედავდა მეთქი. თურმე სადა ხართ! კორუფცია მიდის, – მტრისას. არაა დარგი, არაა სფერო, სადაც ფულის გაკეთება შეიძლებოდეს და იქ ხალხი თავს იკავებდეს.

სულ, 2005 წელს ქრთამის აღების ბრალდებით დაპატიმრებულია მაღალი რანგის 111 სახელმწიფო მოხელე. აქედან 21 – შინაგან საქმეთა სამინისტროს, 17 – იუსტიციის სამინისტროს, 11 – თავდაცვის სამინისტროს, 3 – ჯანდაცვის სამინისტროს, 3 – ლტოლვილთა სამინისტროს, 4 – პროკურატურის, 25 – საბაჟოს, 10 – საგადასახადოს, 1 – კონტროლის პალატის, 2 – საკრებულოს, 2 – მერიის, 3 – გამგეობის თანამშრომელია. და ბოლოს, ყველაზე უარესი: – შარშან საცოდავ ძღვენზე წაასწრეს და საკნებში გაისტუმრეს 6 მოსამართლე. ციხეში წავიდნენ ისინი, ვინც სხვებს უშვებდნენ ციხეში!

იანვარი მთელმა საქართველომ დიდი გაჭირვებით გადაიტანა. მაშინ, როცა ხალხი იყინებოდა, უშუქობით, უგაზობით, უშეშობით იტანჯებოდა, კორუფციონერი მაინც თავისას აკეთებდა. ჯერ იყო და, ქრთამის აღების ფაქტზე გააბეს ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსი ოთარ ბუტიკაშვილი, რომელმაც ერთ-ერთ მოქალაქეს ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადებაში 400 დოლარი აართვა; მერე კი, ყველას გასაოცრად თავი შეირცხვინა ორმა პატრულმა, – როსტომ ნადირაძემ და სიმონ კაპანაძემ. მათ ასევე ერთ-ერთ მოქალაქეს ავტომობილის გადაფორმებაში 280 ლარი გამოსძალეს...

რა გვჭირს, ეს კორუფცია მართლა სხეულში გვიზის? მართლა ჩვენი სისხლის შემადგენელი ნაწილია (ახალი სლოგანით – ინგრედიენტია)? აღარც შიში, აღარც ხათრი, აღარც მორიდება, აღარც პასუხისმგებლობა! სულ ესა ვართ, რაცა ვართ? ვინ იღებს ქრთამს, – მუშა? გლეხი? ელიავას ბაზრობაზე მდგარი უმუშევარი? კარგი თანამდებობები, თბილი კაბინეტები, შესაშური ხელფასები და კიდევ „ლევი-ლევი" კუპიურები? სირცხვილია, სხვა თუ არაფერი!

**ბადრი ღვინიაშვილი**

◎ ნარკომანია

# თვითმოსპობის აზარტი

პარმა ხანია საქართველოში ნარკოტიკები დიდი რაოდენობით შემოდის და მომხმარებელიც საკმაოდ ბევრი ჰყავს. ამ ფაქტს ყოველდღიური ინფორმაციაც ადასტურებს. თუმცა, როგორც ჩანს, „ბარიგებისთვის" დიდი რისკის ქვეშ მუშაობა აზარტული გახდა. დაპატიმრებების მიუხედავად, ისინი ამ „ხელობას" მაინც არ ეშვებიან და საქმის გამგრძელებლებიც, გიყვარდეთ, ბლომად ჰყავთ.

პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში, ავტომანქანების ბაზრობაზე, 34 წლის ნოდარ თანდელაშვილი დააკავეს. მას მანქანის ჩხრეკისას „სუბუტექსის" აბები აღმოაჩნდა. დაკავებულმა თანდელაშვილმა რეალიზატორის ვინაობა გაამხილა. იგი თბილისელი 30 წლის მამუკა თეთრაშვილი აღმოჩნდა.

სამართალდამცველებმა მისი ბინიდანაც სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი ოდენობით „სუბუტექსის" აბები ამოიღეს. ორივე განსასჯელი ახლა წინასწარი დაკავების იზოლატორშია და სასამართლო პროცესს ელოდება.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ალმაშენებლის გამზირზე ასევე ნარკობარონების ჯგუფი აიყვანეს. ესენი არიან: მარნეულში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 52 წლის ელბრუს იბრაგიმოვი, მეტსახელად „იბრაგიმა", თბილისელები – 34 წლის ზვიად სტეფნაძე და 53 წლის შერმადინ ტოროშელიძე. მათ დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩნდათ. იბრაგიმოვს შვიდ „ბაშად", სტეფნაძეს და ტოროშელიძეს კი სამ-სამ „ბაშად" დაფასოებული ჰეროინი უპოვეს.

ასევე, ნარკოტიკების შენახვისთვის დააკავეს: რუსთავში – 37 წლის გიორგი გვენეტაძე, ზუგდიდში – 25 წლის ირაკლი ქვარაია და თბილისში – 33 წლის ზაზა გოგოხია. მათ ჯიბეებში ჰეროინი „გადაენახათ".

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ ახლახან გიორგი ბერიძე აიყვანა, რომესაც თან – 2, შინ კი – 28 აბი „სუბუტექსი" აღმოაჩნდა. მის წინააღმდეგ საქმე ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე უკვე აღიძრა, რისთვისაც ოც წლამდე პატიმრობა ემუქრება.

მსგავსი დანაშაული ზოგჯერ სამუდამო პატიმრობითაც ისჯება. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს დანაშაული ასეთ უკიდურეს სასჯელს ყველა შემთხვევაში იმსახურებს. იგი, პირდაპირ თუ ირიბად, მკვლელობასთან და გენოციდთან ასოცირდება.

მიუხედავად ასეთი ტრაგიკული შედეგებისა, საზარელ ფაქტებს ბოლო არ უჩანს. 2 თებერვალს სკანდალურად დააკავეს სპორტსმენი ოთარ ჯაფარიძე (მან ორ სპეცრაზმელს „ჯიპი" დააჯახა), მერე კი აზერბაიჯანელი ნოფალ ბაირამოვი. მას 2 კილოგრამამდე (600 000 დოლარის) ჰეროინი აღმოაჩნდა...

**ლელა მანაგლიშვილი**



◎ ჟრუანტელი

## კანფეტი 'კი' არა, თავშესაფარი!

საახალწლოდ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა მოსკოვის ხელისუფლებამ. ეს უპირველესად იგრძნეს უპოვრებმა. დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, რუსეთის დედაქალაქში 100 ათასი უსახლკარო მაწანწალაა. უამრავ მათგანს, სადაც მიასწრეს, იქ გადასცეს საჩუქრების ყუთი, რომელშიც ეწყო ზამთრის ფეხსაცმელები, წინდები, თეთრეული, კანფეტები, ნამცხვრები. მათვე გამოუყვეს 9 შენობა ღამის გასათევად, აგრეთვე თავის მოსაწესრიგებლად, რომელთა შორის არის აბანოც.

## რისთვის დაობლდა 5 პატარა?

სრულიად შემთხვევით, დიდ ბრიტანეთში ხუთი ბავშვი ობლად დარჩა. ახალგაზრდა ქალბატონი ქარენ რასენი, რომელსაც ქმარი ავტოკატასტროფაში დაეღუპა, სიმწრით ნაყიდ საახალწლო საჩუქრებს სხვენში მალავდა. ჩამოსვლისას სხვენის სახურავი თავში დაეცა და სული განუტევა. ტრაგედია მეორე დღეს შემთხვევით შეიტყო ფინანსურმა ინსპექტორმა, რომელიც რასენის სახლში მივიდა. 6 წლის გოგონამ განუცხადა, რომ ორ პატარას თავად აჭამა, რადგან დედა გარდაიცვალა. ორი უფროსი ბავშვი ბებია-ბაბუასთან იმყოფებოდა.

## სმა სჯობია სიგარეტის წევას

კანადელ მეცნიერთა გათვლებით, მსმელი ადამიანი 10 პროცენტით უფრო მეტ ფულს შოულობს, ვიდრე არამსმელი. მწეველებში პირიქითაა, – ვინც ქაჩავს, ფულს ვერ იხვეჭს. ეს უცნაური სტატისტიკა ამერიკელებმა გადაამოწმეს და... კვერიც დაუკრეს!

## რიგაში ყველაზე ნაკლები დანაშაულია

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ყველაზე კრიმინალური ქალაქი ლიეჟი (ბელგია) აღმოჩნდა. ყოველ ათას მცხოვრებზე აქ მოდის 256 დანაშაული. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ყოველ ათას მცხოვრებზე პარიზში აღირიცხა 146 დანაშაული, ლონდონში – 61, მადრიდში – 38, ვენაში – 29, რიგაში კი ყველაზე ნაკლები – 6.

## შიშველი ფეხები არ მოსწონს

კიშინიოვის მერმა ქალაქში ჩამოხსნა ყველა ბილბორდი, რომლებზეც რეკლამას უკეთებდნენ ქალის წინდებს... ლამის ბიკინამდე გაშიშვლებული ფეხებით. მერის აზრით, ასეთი სახის რეკლამა ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდების ზნეობაზე. იგი ამორალურია და უნდა ამოიძირკვოს.

## უნივერსიტეტი სტრიპტიზსაც სჭირდება

ავსტრალიის გრიფიტის უნივერსიტეტში სტუდენტებს სთავაზობენ სტრიპტიზის ხელოვნების დაუფლებას. აქ შეასწავლიან ბოძის გარშემო ცეკვას, ხალხის წინაშე მხატვრულად გაშიშვლებას, ლამაზი ვარცხნილობის გაკეთებას და ა. შ. უნივერსიტეტის პროფესორები თვლიან, რომ სტრიპტიზი ხელოვნების დაუსრულებელი მხატვრული ფორმაა და მისი სწავლება საძრახისი სულაც არ გახლავთ!



# როგორ მივირთმევთ სალათებს?

იცით თუ არა, რომ ქლოროფილი, რომელიც მზის ენერგიას გარდაქმნის მწვანე ფოთოლში, — უვნებელი, საუცხოო და თითქმის უნივერსალური წამალია?

ცხოველებმა, ჩვენგან განსხვავებით, კარგად იციან ქლოროფილის სამკურნალო ძალა. მაგალითად, კატას რომ თვალი მიადევნოთ, შეამჩნევთ, რომ უგუნებობისას სიმწვანეს ლეჭავს, თანაც ყველაზე უბრალოსა და უსაფრთხოს ირჩევს: ჩვეულებრივ გაზონის ბალახს, ჭანგას ან შვრიას.

## ქლოროფილის წყარო

რად გვჭირდება სალათები? ვიტამინებისთვის? ცდებით. ყველასთვის საყვარელი C ვიტამინის მიღება უკეთესია ფორთოხლისა და ლიმონისგან, აგრეთვე ასკილის ნაყენისგან, სადაც ის მართლაც რომ ბევრია.

ყველაზე „მწვანე" ვიტამინი — ფოლიუმის მჟავა — პირველად ისპანახისგან გამოჰყვეს და სახელწოდება ისესხა სიტყვა „ფოლიუმისგან", რაც „ფოთოლს" ნიშნავს. ეს მჟავა საფუარსა და ღვიძლში მეტია, ვიდრე ფოთლებში. კიდევ ერთი „მწვანე" K ვიტამინის წარმოების უნარი შესწევს ჩვენს საჭმლის მომნელებელ სისტემას.

სალათები გვჭირდება, როგორც წყარო ქლოროფილისა. ამიტომაც ზედმიწევნით მწვანე უნდა იყვნენ. რაც უფრო მუქია ფერი, მით მეტია ქლოროფილი.

მუქი მწვანე ისპანახი, ხახვი და ოხრახუში — უკეთესს ვერც ინატრებ. მუქი მწვანე სალათი პირდაპირ სუპერია!

ქლოროფილი ზრდის იმუნიტეტს, ამაგრებს უჯრედოვან მემბრანებს, მონაწილეობს შემაერთებელი ქსოვილის ჩამოყალიბებაში, აჩქარებს ჭრილობების, წყლულების, ეროზიების მოშუშებას. კიდევ — ღრძილებს ჰკურნავს და პირიდან უსიამოვნო სუნს აქრობს.

## სისხლის ფორმულა

აგებულებით ქლოროფილი ჰემოგლობინს — ჩვენი სისხლის წითელ პიგმენტს წააგავს. განსხვავება ისაა, რომ ჰემოგლობინის ბირთვში რკინაა, ქლოროფილისა კი — მაგნიუმი. ქლოროფილს ძალუძს სისხლზე ჰემოგლობინის მოქმედების მსგავსი ქმედება: ჟანგბადით გაჯერება და აზოტური გაცვლის დაჩქარება.

სპეციალისტები როცა ამბობენ, რომ მწვანე დიეტა „წმენდს სისხლს", იმ სრულიად კონკრეტულ ცვლილებებს გულისხმობენ, რომელთა თვალყურის დევნება და გაზომვა შესაძლებელია. უფრო მარტივად სათქმელად, „სიმწვანიდან" წარმოებული სისხლი საუკეთესო ხარისხისაა, რაც უნდა გვახსოვდეს მთელი წელიწადი და არა მხოლოდ ზაფხულში.

**ქლოროფილი განსაკუთრებით აუცილებელია:**

* მეგაპოლისების მცხოვრებთათვის, რომლებიც დროის დიდ ნაწილს შენობაში ატარებენ.
* ბევრი წამლის მიმღებთათვის (ქლოროფილი ებრძვის წამლებით გადატვირთვის შედეგებს).
* აქტიურ და პასიურ მწეველთათვის.
* ქრონიკული ანთებითი დაავადებებით შეწუხებულთათვის.

# სულ ძილი, ძილი...

სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი ექსპერიმენტი მოეწყო ძილის ხანგრძლივობისა და სტრუქტურის, მისი შემოკლების შესაძლებლობის, სისტემატური გამოუძინებლობის შედეგების შესასწავლად.

7 საათზე ნაკლებ ძილს მივყავართ იმუნიტეტის შესუსტებამდე, ყურადღების გაფანტვამდე, ნერვული სისტემის დაზიანებამდე. უძილო ღამის შემდეგ ადამიანს



ადვილად შეეყრება მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, უფრო ხშირად ავადდება სქესობრივი გზით გადამდები სენებით, ტრავმატიზმისკენ ხდება მიდრეკილი და უბრალოდ, უარესად ასრულებს პროფესიულ მოვალეობებს.

ისტორიები ისეთ პიროვნებათა ხანმოკლე ღამის ძილის თაობაზე, როგორებიც ედისონი და ჩერჩილია, არცთუ სავსებით დასაჯერებელია — ორივე დღისით ძილის ხარჯზე შეივსებდა ხოლმე უკმარისობას.

დღესასწაულებს ნუ გაიხდით გამონაკლისად. ვთქვათ, ერთი საახალწლო ღამე უძილოდ გაატარეთ — მორჩა, იკმარეთ და სისტემად ნუ გადააქცევთ ღამის სიფხიზლეს. დღიურ საქმეებს თავისი დრო აქვს, ძილს — თავისი.

# ყველაზე პოპულარული

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ცნობილ ფიტოთერაპევტებს ყველაზე პოპულარული სამკურნალო მცენარეების დასახელება სთხოვეს. გაგაცნობთ გამოკითხვის შედეგებს.

**ექინაცეა** ლიდერობს, ყველა გამოკითხულმა პირველ ნომრად დაასახელა. ის ორგანიზმში ალადგენს და იცავს იმუნურ ბალანსს, ამაღლებს სტრესებისადმი მდგრადობას, მძლავრი ვირუსსაწინააღმდეგო აქტივობით გამოირჩევა.

ექინაცეის პრეპარატები აუცილებელია არა მარტო გრიპის ეპიდემიისას, არამედ მოგზაურობაშიც, როცა ყველა ჩვენს დაცვით სისტემას სხვადასხვაგვარი გამოცდა ელის.

**ნიორი** — პოპულარობით მეორე სამკურნალო მცენარეა მსოფლიოში. ის მძლავრ წინააღმდეგობას უწევს სულ სხვადასხვა პათოგენს, სოკოვანი ინფექციების ჩათვლით. ნიორი ათხიერებს სისხლს, რითაც თრომბების წარმოქმნას აფერხებს, ხელს უწყობს არტერიული წნევის ნორმალიზებას. ზოგიერთმა ექსპერტმა აღიარა, რომ გზას არ დაადგება 1-2 თავი ახალი ნივრის გარეშე.

**კოჭა** — ყველაზე ეფექტიანი საშუალება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით მოგზაურობისას ცუდად გახდომის დროს (დარწევა) — ავტომობილით დაწყებული, საოკეანო ლაინერით დამთავრებული. კოჭა აგრეთვე კარგი დამხმარეა კუჭის შეკრულობისას.

**პალმეტის (სერენოას პალმის) წვენი** — პროსტატიტისაგან დასაცავი ჩინებული მცენარეული საშუალება. რამდენადაც ეს პრობლემა მამაკაცთა მნიშვნელოვან ნაწილს ეხება, მისი დასაძლევი ხერხი ყველაზე გასავლიანთა რიცხვში მოხვდა. მით უფრო, რომ „მებალახე" ექსპერტთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ.

**კაპსაიცინი** — სწორედ ის ნივთიერებაა, რომელიც სიცხარეს აძლევს წითელ წიწაკას. გარე გამოყენებისას ანთებულ სახსრებს ამშვიდებს, შიგასი — ხელს უწყობს თავის ტკივილისგან დახსნას. ის სტიმულსაც მატებს ენდორფინების პროდუქციას ჩვენს ორგანიზმში. ამიტომ არიან ცხარე საჭმლის მოყვარულნი ენერგიულები და ცხოვრებით კმაყოფილები.

... ყველაზე ფასეული, ეფექტიანი მცენარეები დიდი ხანია კაცობრიობის საკუთრებად იქცნენ და ყველგან აკეთებენ თავიანთ სასარგებლო საქმეს — ახალი მიწიდან ქეიფთაუნამდე. ბევრი მათგანი მშობლიური ადგილებიდან შორსაც მოჰყავთ, ზოგიერთმა კი მინდვრებიდან ლაბორატორიებში გადაინაცვლა და სკალპელებისა და მიკროსკოპების დახმარებით მრავლდება...



# მაისის მზის იმედით

ჩვენს სინამდვილეში, როცა უმუშევრობამ ასეთი მასშტაბები მიიღო, თითქოს არც დგას საკითხი — გიყვარს თუ არა შენი სამუშაო. ოღონდ კი მქონდეს სამსახური და სიყვარულს ვინლა ჩივისო... მაინც ვიცოდეთ, რომ მოძულებული სამუშაო თურმე ზურგში ხშირი ტკივილის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ავიაკომპანია „ბ[illegible]ინგმა" გაბედა მსგავსი გამო[illegible]ვლევის ჩატარება. 30 ათასზე მეტი მოსამსახურის საანკეტო გამოკითხვამ უჩვენა, რომ ისინი, ვინც „თითქმის არასოდეს" [illegible]ღებდნენ სიამოვნებას თავიანთი შრომისაგან, ორნახევარჯერ უფრო ხშირად აკითხავდნენ ექიმებს ზურგში ტკივილის მიზეზით, ვიდრე მუშაობისგან „თითქმის ყოველთვის" სიხარულის შემგრძნობნი; და კიდევ, ხერხემლის პრობლემები აღენიშნათ იმათ, ვისი შრომაც იაფად ფასდებოდა ბოლო 6 თვის მანძილზე და ვისაც არ გამოსდიოდა ურთიერთობები უფროსობასთან.



გინეკოლოგები ირწმუნებიან, რომ ათვალწუნებულ ქმართან არ ეგების ცხოვრება. ასეთი კომპრომისის გამო ქალის ბუნებისათვის მიყენებული ზ[illegible]ანი ბევრად აღემატება „ჯანმრთელობისათვის სექსის" სადაკო სარგებლობას. ასევე საზიანოა ვერაგი საგზაო ინსპექტორებისა თუ მოსაწყენი ბიუროკრატების საძულველობა. ვერც კი შენიშნავ, თუ როგორ დახარჯავ ამდენ ძალღონეს, დროსა და ნერვებს სიძულვილის სრულიად უსარგებლო შემოტევისას.

ასეთი „არასიყვარული" ძალიან ბევრი გროვდება ზამთრობით, მაგრამ მაისის მზე რომ მობრძანდება, ის იმდენ ავადმყოფობას ჰკურნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილის გამკლავებაც არ გაუჭირდება...

# ქრონოგრაფი

## 6 თებერვალი, 1886 წელი

გერმანელმა ქიმიკოსმა კლემენს ვინკლერმა აღმოაჩინა ქიმიური ელემენტი გერმანიუმი. მასზე დაფუძნებით შეიქმნა თანამედროვე ნახევარგამტა-



რული ელექტრონიკა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასასრულს ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ელექტრონული მეცნიერება. აღმოჩენამდე თხუთმეტი წლით ადრე პერიოდული სისტემის შედგენისას ამ ელემენტის არსებობა იწინასწარმეტყველა ცნობილმა ქიმიკოსმა დიმიტრი მენდელეევმა. მან მიახლოებით აღწერა ამ ელემენტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. მენდელეევმა გერმანიუმს თავდაპირველად სავარაუდო სახელი „ეკასილიციუმი" უწოდა („ეკა" — სანსკრიტულ ენაზე „პირველს" ნიშნავს, ხოლო „სილიციუმი" კი — „კაჟბადს". ესე იგი მისი სახელწოდება მენდელეევის მიხედვით იყო „კაჟბადის პირველი ანალოგი"). ვინკლერმა და მენდელეევმა ერთმანეთს შორის მიმოწერა გააჩაღეს და ახალი ქიმიური ელემენტის აღმოჩენით დამეგობრდნენ კიდეც.

## 7 თებერვალი, 1568 წელი

ესპანელი ზღვაოსანი ალვარო მენდანია დე ნეირა, რომელიც პერუს საზღვაო პორტ კალიაოდან ორი ხომალდით დასავლეთის მიმართულებით გაემგზავრა, სამი თვის მოგზაურობის შემდეგ დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში ახალი გვინეის აღმოსავლეთ ნაწილში კუნძულთა ჯგუფს წააწყდა. დე ნეირამ წარმოსახვით იწინასწარმეტყველა, რომ ექვსი დიდი და რამდენიმე პატარა, ტროპიკული ტყეებით ამწვანებული და მუქკანიანი აბორიგენებით დასახლებული კუნძული ბიბლიური ოფირიუსის ქვეყანა იყო, საიდანაც ლეგენდარულმა მეფე სოლომონმა ოქროულობა წამოიღო, რათა შეემკო იერუსალიმის დიდებული ტაძარი. ზღვაოსანმა კუნძულთა ჯგუფს, ლეგენდის სინამდვილეში დარწმუნებულმა, ბიბლიური მეფის საპატივცემულოდ სოლომონის კუნძულები უწოდა.



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოს ელჩმა გაეროში რუსეთი გენოციდში დაადანაშაულა

(პირველი გვერდიდან)

გაიხსენა რა, 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური ომი, ადამიამ განაცხადა: „ამ კონფლიქტის დროს მოკლეს დაახლოებით 10 ათასი ქართველი, 300 ათასზე მეტი ეთნიკური ქართველი კი განდევნეს აფხაზეთიდან". „ეს იყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა", — თქვა ადამიამ. „რუსეთი მონაწილეობდა ამაში თავისი სამხედროებით და დაქირავებულებით". როგორც ქართველმა დიპლომატმა აღნიშნა, მაშინ „რუსი სამხედროები დადგნენ აფხაზი სეპარატისტების მხარეზე, და ახლაც იგივეს აკეთებენ რუსი სამშვიდობოებიც".



ადამიას გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მონაწილეებმა ძალზე თავშეკავებული პოზიცია დაიჭირეს და მხოლოდ ცნობად მიიღეს საქართველოს მხარის მოსაზრება თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის მორიგი გამწვავების შესახებ. მან, ახლა ძირითადი იერიში მიიტანა რუსეთის პოლიტიკური ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე. ადამიას აზრით, მოსკოვმა, ფაქტობრივად, უარი თქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პრინციპზე და დაადგა აფხაზეთის ანექსიის კურსს. ამიტომ, მიაჩნია საქართველოს წარმომადგენელს გაეროში, დადგა იმის დრო, რომ აფხაზეთში რუს სამშვიდობოებს ჩაენაცვლონ გაეროს ეგიდით მოქმედი საერთაშორისო ძალები, „რომლებიც შეძლებენ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისთვის გამიზნული რეალური ოპერაციის განხორციელებას".

რევაზ ადამიამ ასეთი სკანდალური განცხადება გააკეთა გერმანიაში გაფრენის წინ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძალზე ნიშანდობლივი გამონათქვამის შემდეგ, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია კიდევ ერთხელ გაეკეთებინა კომენტარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შექმნილი ვითარებისთვის. „ჩვენი პოზიციაა ის, რომ ყოველთვის დავიცავთ ჩვენს ინტერესებს, და, აქედან გამომდინარე, მზად ვართ გადავდგათ ნებისმიერი ნაბიჯები", — განაცხადა მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა. პრინციპში, ადამიამ ასეთი ნაბიჯი გადადგა კიდეც.

ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გენოციდში რუსეთის დადანაშაულება აბსოლუტურად უსაფუძვლოა და ამიტომაც ზედმეტია ლაპარაკი ამ განცხადების რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი შედეგების შესახებ.

როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხების ექსპერტმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის ხმელთაშუა- და შავიზღვისპირეთის ცენტრის ხელმძღვანელმა ალა იაზიკოვამ თქვა, „რუსეთის დადანაშაულება გენოციდში ძალზე გადამეტებულია". „რა თქმა უნდა, რუსეთი ნაწილობრივ მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ ეს ხდებოდა ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩასული მოხალისეების დონეზე. კერძოდ, ცნობილია, რომ აფხაზეთში იბრძოდა შამილ ბასაევი. რა თქმა უნდა, ეს რუსეთს ღირსებას არ მატებს. მით უმეტეს, რომ მოგვიანებით ბასაევმა იარაღი თვით რუსეთის წინააღმდეგ შემოაბრუნა. დიახ, 1992-1993 წლების ომის დროს ნამდვილად მოხდა ქართველი მოსახლეობის განდევნა აფხაზეთიდან, მაგრამ ამ რეგიონიდან მარტო ქართველები ხომ არ გამოუდევნიათ?! საქართველოს წარმომადგენელმა თავისი განცხადების გაკეთების დროს, ძალზე არასწორი და არაკორექტული ფორმულა გამოიყენა", — აღნიშნა მან. ამავე დროს, ალა იაზიკოვა არ უარყოფს, რომ „რუსეთს ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა და ბრალიც კი მიუძღვის იმაში, რაც მოხდა აფხაზეთში 1992-1993 წლებში. რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, 1994 წელს თბილისში ყოფნის დროს, ბოდიში მოიხადა აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის პოზიციის გამო. ეს ყველგან დაფიქსირდა", — აღნიშნა მან.

ოფიციალურ დონეზე მოსკოვში ქართველი დიპლომატის ასეთ დემარშზე, ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. სხვათა შორის, ისევე როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში — იქ ისე იქცევიან, თითქოს, რევაზ ადამიას მსგავსი განცხადება საერთოდ არ გაუკეთებია.

**ანატოლი გორდიენკო,**
**ანდრეი ტერეხოვი,**
**3 თებერვალი.**

НЕЗАВИСИМАЯ

# რუსულ-ქართული დაპირისპირება





**რუსეთ-საქართველოს** ამჟამინდელი დაპირისპირება ძალზე წააგავს ახალი წლის წინ რუსეთსა და უკრაინას შორის მომხდარ გაზის კონფლიქტს. მაშინ კიევი, ახლა კი თბილისი აღმოჩნდნენ თითქმის ერთნაირ სიტუაციაში და ერთნაირი დილემის წინაშე. ყოველივე ამის არსი ძალზე მარტივია: საკმარისია ერთი პოლიტიკური რევერანსი რუსეთის მხარეს და სასწრაფოდ მოგვარდება ენერგოშემცველებით მომარაგების ყველა პრობლემა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ მოსკოვის მიმართ მკაცრ პოზიციას დაიკავებ, ამით შეიძლება გაყინვისთვის გაწირო შენი ქვეყნის მოსახლეობა სუსხიანი ზამთრის პირობებში.

ფსონი ორივე შემთხვევაში ძალზე დიდია — ყოველი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და მისი შიდა სტაბილურობა.

თბილისის და კიევის მიერ გაკეთებული არჩევანი სხვადასხვაგვარი იყო. უკრაინამ უპირატესობა მიანიჭა რუსეთთან მორიგების მიღწევას და ბუნებრივი აირის სავსებით მისაღებ ფასებში მიღებას, რომელიც ერთიორად ნაკლებია იმასთან შედარებით, თავდაპირველად რომ ითხოვდა „გაზპრომი". საქართველო კი მკვეთრი დაპირისპირების გზას დაადგა.

ყოველივე ამის შედეგად უკრაინას მოეხსნა ენერგოშემცველებით მომარაგების პრობლემა (ყოველ შემთხვევაში, ნახევარი წლით მაინც), მაგრამ დაიმსახურა საყვედურები ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის მხრიდან, რადგან კიევი გარკვეულ დათმობაზე წავიდა აღმოსავლელ მეზობელთან ურთიერთობაში. და ახლა ცხადი ხდება, რომ კიევის მოძრაობა ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით უფრო შენელდება, ვიდრე ეს უკრაინაში სურდათ.

საქართველოს მოუწია ირანში გაორმაგებულ ფასად შეესყიდა გაზი, დაეხარჯა ათობით მილიონი დოლარი, მაგრამ, სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილს უახლოეს დღეებში მიიღებს მრავალი გავლენიანი დასავლელი პოლიტიკოსი. და საქართველოს პრეზიდენტიც, ალბათ, დაუყოვნებლივ ისარგებლებს შექმნილი ვითარებით იმისთვის, რომ მიიღოს დასავლეთისგან დახმარება და თავისი ქვეყანა გადაიყვანოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მთავარ კანდიდატთა რიგებში.

ერთი სიტყვით, როგორც უკრაინა, ისე საქართველო, ჩავიდნენ ფსონებს და მათი დივიდენდების ან დანაკარგების ოდენობა საკმაოდ მალე გახდება ცნობილი. ახლა ყველაზე საინტერესოა ის, თუ, ამ დაპირისპირებით რას მოიგებს ან რას დაკარგავს რუსეთი.

ერთი შეხედვით, მოსკოვი მომგებიან პოზიციაშია. მან უჩვენა მეზობლებს, რომ უკეთესია რუსეთთან მეგობრობა და მორიგების მიღწევა, ვიდრე ჩხუბი და კონფლიქტი.

რუსეთისთვის პოტენციური დანაკარგები ასე აშკარად არ ჩანს. მაგრამ, ესეც შეიძლება საკმაოდ საგრძნობი იყოს.

ჯერ ერთი, ახლა თბილისი, ალბათ, ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ საბოლოოდ დააღწიოს თავი რუსეთის გავლენას. საქართველოს დაკარგვა კი სერიოზულად გაართულებს რუსეთის გეოპოლიტიკურ თამაშს ამიერკავკასიაში. თანაც, კიევსა და მოსკოვს შორის მიღწეული მორიგება, რომელიც „გაზის პისტოლეტით" დამუქრებას უფრო წააგავდა, ალბათ, არ გადაიზრდება რუსეთის მიმართ დიდ სიყვარულში.

და მეორეც (ალბათ, ეს უმთავრესიცაა), კიევთან და თბილისთან ურთიერთობაში მოსკოვმა აამოქმედა ის იარაღი, რომელსაც იგი, როგორც ჩანს, მიიჩნევს უმთავრესად მსოფლიო არენაზე წამოწყებულ ამ დიდ თამაშში — ენერგეტიკული იარაღი. პროფესიონალთა ენით რომ ვთქვათ, ეს იარაღი ახლა ყველამ დაინახა, და, ალბათ, უკვე ეძებენ მის საპირისპირო ძალას. სხვა ეფექტიანი იარაღი კი რუსეთის არსენალში, სადღეისოდ არ მოიძებნება.

**გენადი სისოევი,**
3 თებერვალი.

Коммерсантъ



## სერგეი ბაღაფში:

# „აფხაზეთის ბედზე გავლენას მოახდენს კოსოვოს საკითხის გადაწყვეტა"



**თვითაღიარებული** აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა „ვრემია ნოვოსტეის" კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან ინტერვიუში გაუკეთა კომენტარი თბილისის წინადადებას სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლის შესახებ.

— ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით რუსი მშვიდობისმყოფლების მანდატის შეცვლას და მათ გაყვანას. თუ საქართველო მიიღებს გადაწყვეტილებას სამშვიდობო ჯარების გაყვანის შესახებ, მათ ადგილზე ჩვენი სამხედროები დადგებიან. თუ რას გამოიწვევს ეს, დაე, ამას ჩაუფიქრდნენ ისინი, ვინც წყვეტს სამშვიდობოების ბედს. რა თქმა უნდა, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

**— მზადდებოდა თქვენი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან. კვლავ ძალაშია ასეთი გეგმები?**

— შეხვედრა გადაიდო. მხარეები მუშაობდნენ ომის განუახლებლობის შესახებ დოკუმენტზე. შეათანხმეს იგი, თუმცა, შემდეგ, თბილისმა მასში შეიტანა ისეთი ცვლილებები, რომლებიც ჩვენ არ გვაძლევდა ხელს. უნდა დავუბრუნდეთ შეთანხმებულ ვარიანტს. მე მზად ვარ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრად. მაგრამ უმჯობესი იქნება, შეხვედრა გაიმართოს ისე, რომ მოვაწეროთ ხელი ამ დოკუმენტს. მაშინ ნამდვილად იქნება წინსვლა.

**— თუ აღიარებენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, მოახდენს ეს გავლენას აფხაზეთის ბედზე?**

— აუცილებლად მოახდენს, და არა მარტო აფხაზეთის, არამედ სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის ბედზეც.

**3 თებერვალი.**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ქრონოგრაფი

## 8 თებერვალი, 1816 წელი



შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთში ინგლისის საგრაფო აბერდინშირში, ვისკის კონტრაბანდით დასაქმებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან პირველად იქნა გამოყენებული ძაღლი. პოლიციელ მალკოლმ გილესლის დახმარება გაუწია მომხვდური მხედრის წინააღმდეგ გაწვრთნილმა ბულტერიერმა. თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, 30 ივლისს, პოლიციელთა მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს დამნაშავეებმა პირველი „ძაღლი-პოლიციელი" დაცხრილეს. პოლიციურ პრაქტიკაში გაწვრთნილი ძაღლების რეგულარული გამოყენება 1899 წელს დაიწყეს ბელგიის ქალაქ გენტში.

## 9 თებერვალი, 772 წელი



რომის პაპად არჩეულ იქნა ადრიანე I, რომელმაც თავისი ხანგრძლივი პონტიფიკაციის დროს (795 წლის ბოლომდე) კარლოს დიდის დახმარებით მნიშვნელოვნად გაამტკიცა პაპის სახელმწიფოს სუვერენიტეტი და მისი მბრძანებლობის სფეროები. უნდა აღინიშნოს, რომ კარლოს დიდი 800 წელს იმპერატორად გამოაცხადეს. ადრიანემ რომის პაპთაგან პირველმა დაიწყო თავისი საკუთარი მონეტების მოჭრა. ეს იყო ვერცხლის დინარი, რომელსაც წრიული წარწერა – "Victoria Domini nostri" („გამარჯვება უფლისა ჩვენისა") ამშვენებდა. მან თავის სიგელებს პირველად დაასვა არა ბიზანტიის იმპერატორის მმართველობის თარიღი, არამედ თავისი პონტიფიკაციის საწყისი დრო.

## 10 თებერვალი, 1935 წელი



შორეულ აღმოსავლეთში დაარსდა სიხოტე-ალინსკის სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალი. აქ მცენარეთა ენდემურ ჯიშებთან ერთად დღემდე დაცულია აღმოსავლეთის სარტყელისათვის გადაშენების პირას მისული ფლორისა და ფაუნის უნიკალური ჯიშები. მათ შორის რუსეთის აღმოსავლეთ ზღვისპირეთის ზონაში გავრცელებული ვეფხვები.

## 11 თებერვალი, 1650 წელი



სტოკჰოლმში, არნახული ყინვებისა და სუსხიანი ზამთრის პერიოდში, 54 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა დიდი ფრანგი მოაზროვნე რენე დეკარტი. შვედეთის დედაქალაქში იგი რამდენიმე თვით ადრე 19 წლის დედოფალ ქრისტინას მიწვევით ჩავიდა. უნივერსალურმა გენიოსმა და ნოვატორმა მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა მათემატიკას, მექანიკას, ოპტიკას, კოსმოლოგიას, ბიოლოგიასა და მედიცინას. „ახალი ფილოსოფიის მამამთავარმა" დეკარტემ პირველმა გადალახა შუასაუკუნეების ფილოსოფიაში გამეფებული სქოლასტიკური მიმდინარეობა და რაციონალიზმის პრინციპები დააფუძნა.

## 12 თებერვალი, 1908 წელი

ნიუ-იორკში დღის 11 საათზე ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ავტომრბოლელებმა ექვსი ავტომობილით სტარტი აიღეს ნიუ-იორკი-პარიზის რალში. სენსაციური რალის მონაწილეებს უნდა გაევლოთ გზა აშშ-დან ალიასკის, ციმბირის, აღმოსავლეთ ევროპის გავლით და საფრანგეთის დედაქალაქში უნდა ჩასულიყვნენ. გამარჯვებულად ცნეს ამერიკელები, რომლებმაც პარიზში ფინიშის ხაზი 30 ივლისს გადაკვეთეს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ფინიშის სწორს 4 დღით ადრე მიაღწიეს. აღმოჩნდა, რომ გერმანელებმა ვაშინგტონის შტატში მანქანები რკინიგზით გადაიტანეს და ამის გამო ისინი დაჯარიმდნენ. ორი კვირის შემდეგ იტალიელებმაც მიაღწიეს ფინიშს. გამარჯვებულები ამერიკაში გმირებად გამოაცხადეს. მათ ზეიმით შეხვდა მთელი ნიუ-იორკი, ხოლო თეთრ სახლში ისინი თავად აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა მიიღო.



# მსოფლიოში რუსეთისადმი დამოკიდებულება გაუარესდა

ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურის შეკვეთით 33 ქვეყანაში განხორციელებული გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ გასული წლის განმავლობაში მსოფლიოში გაუარესდა დამოკიდებულება რუსეთის მიმართ.

2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში GlobeScan სოციოლოგიურმა კომპანიამ და მერილენდის უნივერსიტეტმა მთელი მსოფლიოს გასშტაბით გამოკითხეს 39.405 კაცი. მათ დ..უსვეს ასეთი კითხვა: როგორ ა..კასებთ მსოფლიოში შექმნი.. ვითარებაზე პლანეტის წამყვანი სახელმწიფოების, მათ შორის, რუსეთის, შეერთებული შტატ..ის, საფრანგეთის, იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთის, აგრეთვე, ევროპის კავშირის ქვეყნებისა და ირანის გავლენას?

2004 წლის განმავლობაში განხორციელებულ ანალოგიურ გამოკითხვასთან შედარებით, რესპონდენტთა დიდმა რაოდენობამ განაცხადა, რომ ისინი უფრო ნეგატიურად, ვიდრე პოზიტიურად ეკიდებიან რუსეთის როლს მსოფლიოში.

იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა პოლიტიკა რესპონდენტებმა უარყოფითად შეაფასეს, რუსეთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ყველაზე მეტი „ნეგატიური" ხმა მიიღო ირანმა – გამოკითხულთა 47 პროცენტი უარ..ოფითად გამოეხმაურა მის რ.ოლს მსოფლიოში (18 პროცენტი – დადებითად). ნეგატიური რეიტინგის მეორე ადგილი შეერთებულ შტატებს ერგო.

გამოკითხვაში მონაწილე 33 ქვეყნიდან, 13 სახელმწიფოში რესპონდენტთა უმეტესობამ თავისი დამოკიდებულება რუსეთისადმი, პრინციპში, პოზიტიურად შეაფასა. 16 ქვეყანაში გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ნეგატიურად ეკიდება რუსეთს, ერთ ქვეყანაში კი, გამოკითხვის მონაწილეთა აზრები შუაზე გაიყო. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 37 პროცენტს გაუჭირდა კონკრეტული პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.

ევროპის მრავალ ქვეყანაში, რომელთა მცხოვრებლებიც მონაწილეობდნენ გამოკითხვაში, იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც ნეგატიურად შეაფასეს რუსეთის გავლენა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, გამოკითხვის თანახმად, დიდ ბრიტანეთში 2004 წლის რუსეთის დადებითი რეიტინგი 38 პროცენტიდან წელს 27 პროცენტამდე დაეცა, ნეგატიური კი – 46 პროცენტიდან 50 პროცენტამდე გაიზარდა. საფრანგეთშიც იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც პოზიტიურად აფასებდნენ რუსეთის როლს 30 პროცენტიდან 21 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან, იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც უარყოფითად ეკიდებიან რუსეთს, 57 პროცენტიდან 67 პროცენტამდე გაიზარდა.



მსოფლიოში რუსეთის შესახებ რესპონდენტები ყველაზე ნეგატიურად არიან განწყობილი ფინეთში – 65 პროცენტი. მის შემდეგ მოდიან საფრანგეთი (62%), პოლონეთი (56%), დიდი ბრიტანეთი (50%) და სამხრეთ კორეა (48%).

ამავე დროს, გერმანიაში ასეთ რესპონდენტთა რიცხვი 2004 წლის 57 პროცენტიდან 2005 წელს 45 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, იქ კვლავ არ არის რუსეთის მიმართ კეთილად განწყობილ რესპონდენტთა დიდი რაოდენობა – 27 პროცენტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვა განხორციელდა მანამ, სანამ მოხდებოდა შეფერხებები ევროპაში რუსული გაზის მიწოდების საქმეში, რაც გამოიწვია მიმდინარე წლის იანვრის დამდეგს რუსეთსა და უკრაინას შორის მომხდარმა უთანხმოებამ.

თუ ვერწმუნებით გამოკითხვის მონაცემებს, რუსეთის როლის მიმართ დამოკიდებულება აზიის ქვეყნებშიც რამდენადმე გაუარესდა, თუმცა, რეგიონის დიდი ქვეყნები მის როლს დადებითად აფასებენ.

2004 წლის მონაცემებით, ინდოეთში რუსეთის მსოფლიო როლის მომხრეთა რაოდენობა 67 პროცენტს აღწევდა, თუმცა, მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი 43 პროცენტამდე შემცირდა. მსგავსი ძვრები მოხდა ჩინეთშიც, სადაც რუსეთის პოზიტიურმა რეიტინგმა 64 პროცენტიდან 56 პროცენტამდე იკლო.

ნიგერიაში ყველაზე მეტმა რესპონდენტმა – 55 პროცენტმა – დადებითად შეაფასა რუსეთის როლი. ირანში ასეთი 50 პროცენტი იყო.

# ჰოლანდია ავღანეთში ჯარებს გზავნის

ნიდერლანდის პარლამენტმა გადაწყვიტა მნიშვნელოვნად გაზარდოს ამ ქვეყნის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში, სადაც დამატებით 1400 სამხედროს გაგზავნას აპირებენ.

იმის მიუხედავად, რომ მმართველ კოალიციაში შემავალმა ერთ-ერთმა პარტიამ გამოთქვა პროტესტი ამის თაობაზე, დეპუტატები მაინც დაეთანხმნენ მთავრობის წინადადებას. ამასთან, ავღანეთში ჯარების გაგზავნას მხარი დაუჭირა ნიდერლანდის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ.

როგორც ვარაუდობენ, ჰოლანდიელთა მიერ გაგზავნილი დამატებითი ჯარები განლაგდებიან ავღანეთის სამხრეთ ნაწილში.

ნატო, შეერთებული შტატები და გაერო მოუწოდებდნენ ჰოლანდიის ხელისუფლებას გაეფართოებინა თავისი საჯარისო კონტინგენტი ავღანეთში. ახლა იქ იმყოფება 600-მდე ჰოლანდიელი ჯარისკაცი, რომლებიც დაბანაკებული არიან ქაბულში და მოქმედებენ ნატოს ჯარების შემადგენლობაში.

ამ საკითხის განხილვის დროს მრავალი დეპუტატი მოითხოვდა იმის გარანტიებს, რომ ჰოლანდიელი ჯარისკაცები არ იმოქმედებენ ამერიკელთა ძალების სარდლობით.

ჰოლანდიის თავდაცვის სამინისტრო არ მალავს, რომ მუშაობა ავღანეთში რთული იქნება. „ეს სახიფათო მისიაა – ყველაზე საშიში სრებრენიცის შემდეგ", – თქვა პარლამენტში ნიდერლანდის თავდაცვის მინისტრმა ჰენკ კამპმა.

იუგოსლავიაში ომის დროს ჰოლანდიელმა სამშვიდობოებმა ვერ შეძლეს აღეკვეთათ ქალაქ სრებრენიცში ბოსნიელი მუსლიმანების მასობრივი მკვლელობა. ავღანეთში ჯარების გაგზავნის მოწინააღმდეგეები ძალზე ხშირად იმიზეზებენ ბოსნიაში სამშვიდობო ოპერაციის ჩაშლას.

# ომის დაწყება ერაყში „წინასწარ იყო გადაწყვეტილი"

ბრიტანეთის პრ..იერ-მინისტრი ტონი ბლერი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერაყი შეჭრის დეტალებზე ჯერ კიდევ ..003 წლის იანვარში მსჯელობდნენ, ხაზგასმულია ცნობილი სამართალდამცველი-იურისტის ფილიპ სენდსის ახალ წიგნში, რომელსაც ეწოდება „უკანონობის სამყარო".

სენდსის მტკიცებით, ორი ქვეყნის ლიდერი განიხილავდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ საომარი ოპერაციის დაწყებას იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნებოდა ამის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება.

სენდსის მონაცემებით, ამ ორსაათიან შეხვედრაში მონაწილეობდნენ არა მარტო ბუში და ბლერი, არამედ მათი ექვსი თანაშემწეც. სამართალქომაგს წიგნში მოაქვს ჩანაწერების ციტატა, რომლებიც, როგორც იგი ამტკიცებს, თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ გააკეთა.

დოკუმენტის თანახმად, ბუშს უთქვამს ბლერისთვის, რომ ერაყში ომის დაწყება დანიშნული იყო მარტისთვის. ამის პასუხად ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ იგი „მთლიანად უჭერს მხარს პრეზიდენტს და მზად არის გააკეთოს ყველაფერი სადამის განიარაღებისთვის".

წიგნში აღნიშნულია, რომ ამასთან ბლერმა მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს მეორე რეზოლუციის მიღებას, რომლის შედეგადაც გაადვილდა პოლიტიკური ბრძოლა ერაყის რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ პუბლიკაციის პასუხად, დაუნინგ-სტრიტის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა არანაირ კომენტარს არ უკეთებს საუბარს, რომელიც „მიმდინარეობდა, ან არ მიმდინარეობდა" ორი სახელმწიფოს ლიდერებს შორის. გარდა ამისა, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრმა ბრიტანეთის ჯარები საომრად გაგზავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარლამენტი ამას დათანხმდა.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №43

# ზაალიშვილების ტენორი

## მამა

მომცრო, შინდისფერი რადიომიმღები, მართლაც „ჯადოსნური ყუთი" იყო ჩემთვის. რა არ ილვრებოდა ამ ყუთიდან, აბა, ქართული ხალხური სიმღერებიო, საესტრადო მუსიკაო, ჩვენი სათაყვანო პოეტებისა და მსახიობების გამოსვლებიო, ეროსი მანჯგალაძის საფეხბურთო რეპორტაჟებიო. და, ძალიან ხშირად, რადიოდადგმები, რომელთაგან დღემდე მახსოვს „ვანო სარაჯიშვილი" და კასკასა ტენორი თენგიზ ზაალიშვილისა, რადიოდადგმაში ლეგენდარულ ვანო სარაჯიშვილს რომ ახმოვანებდა...

უკან დარჩა სოფელი, სიყმაწვილე, ის შინდისფერი რადიომიმღებიც და ჩემმა პროფესიამ, უკვე თბილისში, საშუალება მომცა, „უჩინარი" თენგიზ ზაალიშვილი პირადად გამეცნო, მისი ხმა არა მარტო საოპერო თეატრის სცენაზე მომესმინა, არამედ, კარგ ქართულ პურ-მარილზეც. დიახ, პურ-მარილზე, რადგან თენგიზ ზაალიშვილის ყველასგან გამორჩეული ლირიკული ტენორი არ არის ოდენ საოპერო რეპერტუარით „დაშტამპული". როდესაც ის მღერის „დაისში", „ევგენი ონეგინში", „ტრავიატაში", „ქეთო და კოტეში" და ძერწავს მრავალ, ასე სათაყვანო, კლასიკურ სახეს, ხშირად კამერულ ჟანრსაც გადასწვდება, ანდა, ქართულ ხალხურ სიმღერას თავისებურად „ჩაახვევს" და ჩამოქნის.

და ეს ერთ რამედ ღირს: კვარტეტ „ფიროსმანის" მამამთავრების, აწ განსვენებული მაესტროების – გურამ ბაქრაძისა და მამია ხატელიშვილის, აგრეთვე ომარ ჩიტაიას, მიშა მცურავიშვილის და სხვათა გვერდით, თენგიზ ზაალიშვილი ქართული სიმღერის უკიდეგანობას გვაზიარებს, მის მრავალფეროვნებას კვლავაც ახალ-ახალ ფერებს მატებს. თუმცა, რაღა თქმა უნდა, მუსიკის თაყვანისმცემელთათვის თენგიზ ზაალიშვილი, უპირველესად, შესანიშნავი საოპერო მომღერალია.

კასპში (იქ ცხოვრობდა იმხანად ოჯახი) მიაგნეს ნიჭიერ ყმაწვილს, თბილისში დაეუფლა მუსიკის ანბანს, ხოლო შემდეგ კონსერვატორიაში შედის და დიდ წარმატებას აღწევს სადიპლომო სპექტაკლ „ტრავიატაში". მისი გამოსვლით აღტაცებული სანდრო ინაშვილი იტყვის: „ამ ჭაბუკის ხმა რაღაცით ვანო სარაჯიშვილის ხმას მაგონებს".

მოგვიანებით ისინი დამეგობრდნენ და ამ მეგობრობამ, ქართული საოპერო ხელოვნების დიდოსტატთან, ბევრი რამ შესძინა ახალგაზრდა მომღერალს.

1958 წელს იგი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი ხდება, რასაც, დღეს უკვე 78 წლის თენგიზ ზაალიშვილი, ასე იგონებს:

**„კონსერვატორია რომ დავამთავრე, უკვე საკმაო სახელი მქონდა. ხშირად ვმღეროდი რადიოში ქართულ რომანსებს და ხალხურ სიმღერებს, თუმცა ოპერისადმი მაინც დიდი კრძალვა მქონდა და როდესაც მოსმენა დაინიშნა, ისე ვნერვიულობდი, რომ ვერ გამოვიჩინე თავი. დამიწუნეს, არ მიმიღეს. ცხადია, გული დამწყდა და, ერთი ხანობა, იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ოპერის მომღერლობა ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ ყველაფერი შეცვალა ვენის ოპერის თეატრის სოლისტის ლია ხუბიკის თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლამ. მან ვერდის „ტრავიატაში" ვიოლეტა იმღერა, მაგრამ მეორე სპექტაკლისთვის პარტნიორის შეცვლა მოითხოვა. დაფაცურდნენ თეატრია ხელმძღვანელები და „შემთხვევით" მე გამიხსენეს. ვიუარე. რა საქმეა, პირველად გამოხვიდე ოპერის სცენაზე და თანაც ასეთ ცნობილ მომღერალთან ერთად. დამიბარა თეატრის დირექტორმა დიმიტრი მჭედლიძემ და მითხრა:**

**– იცოდე, თუ ამ სპექტაკლს ღირსეულად ჩაატარებ და არ შეგვარცხვენ, ყოველგვარი სტაჟირების გარეშე, პირდაპირ სოლისტად მიგიღებ, თუ თავის გამოჩენა გინდა და ჭკუა გაქვს, ამაზე უკეთეს მომენტს ვერ იპოვიო. დავფიქრდი, რისკზე წავედი და ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ლია ხუბიკმა სპექტაკლის შემდეგ „ტალანტი-ვოკალისტი" მიწოდა, ხოლო დიმიტრი მჭედლიძემ თავისი სიტყვა შეასრულა. აი, ასეთმა უნიკალურმა „შემთხვევამ" ოპერის თეატრის სოლისტად მაქცია".**

საინტერესოა თავად ლია ხუბიკის აზრი ამ სპექტაკლის შემდეგ:

**„ბედნიერი ვარ, რომ თბილისის საოპერო თეატრში ჩემს გამოსვლას „ტრავიატაში" მოჰყვა ახალი, შესანიშნავი ალფრედის დაბადება. თ. ზაალიშვილმა ღირსეული პარტნიორობა გამიწია. მას ჩინებული მომავალი აქვს".**

აქედან მოყოლებული თენგიზ ზაალიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება სულ მაღლა და მაღლა იწევს. საეტაპოა მისი მალხაზი ოპერა „დაისში", დიდია მისი დამსახურება ამ უკვდავი ოპერის ჩაწერისა ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტაზე, რომელიც „ოქროს ფონდშია" შესული. ორმოცამდე მთავარი პარტია ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, ვ. დოლიძის, დ. თორაძის, პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვის, ჯ. როსინის, ჯ. პუჩინის, ჯ. ვერდის, შ. გუნოს და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა ოპერებში თენგიზ ზაალიშვილს ერთ-ერთ უსაყვარლეს მომღერლად აქცევს და ჰორიზონტზე ახალ-ახალი გეგმებიც ჩნდება, მაგრამ შინაგანი მოკრძალება, ღირსების გრძნობა, მაინც „ჩრდილში" აქცევს მის ნიჭსა და გაქანებას. სტაჟირება იტალიაში, გამოსვლები მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრის სცენაზე, ცხადია, ახალ წახნაგებს შემატებდა თენგიზ ზაალიშვილის ტალანტს, მაგრამ რაც გააკეთა, მომღერალი ამითაც კმაყოფილია და დღეს, 78 წლის ასაკში, მისი ფიქრი დასტრიალებს ზაზა ზაალიშვილს – სახელოვანი მამის კვალზე შემდგარ ნიჭიერ მომღერალს, ულამაზეს ტენორს.

## შვილი

სამწუხაროდ, მე არ მომისმენია ზაზა ზაალიშვილისთვის. ამას თავისი მიზეზი აქვს, რაც თავად ზაზა ზაალიშვილის, როგორც მომღერლის ბიოგრაფიიდან მოდის: იგი [illegible] ბის დასაწყისში [illegible] ანდღ[illegible] რამდენიმე რთულ პარტიას მღერის საოპერო სტუდიის სცენაზე.

მოვუსმინოთ პროფესორ ნოდარ ანდღულაძეს:

– წარუშლელი კვალი დატოვა მამა – ზაალიშვილმა, მაგრამ ასევე წარუშლელი ინდივიდუალობისაა სხვა მხრივ მისი შვილი – ზაზა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გატაცება ჯაზური მუსიკით. მას დიდი იმპროვიზაციული უნარი აქვს ასევე კომპოზიციისაც. ხმის ტემბრის სიძლიერე ზაზამ დედისგან მიიღო, ხოლო სილამაზე მამისგან. თუ ამას დავუმატებთ განსაკუთრებულ მუსიკალურ განსწავლულობას, ეს საკმაოდ მდიდარი ფენომენია მუსიკალურ კულტურაში.

ზაზა ზაალიშვილი 1993 წლიდან კანადაში ცხოვრობს, მოღვაწეობს და მონრეალის საოპერო თეატრის „პრიმა ტენორად" ითვლება. იგი არის მონრეალის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ბევრს მოგზაურობს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში და წამყვან პარტიებს მღერის სხვადასხვა საოპერო სპექტაკლებში.

აი, ამონარიდი ერთ-ერთი კანადური გაზეთიდან: **„ტენორი ზაზა ზაალიშვილი ღირსეული არტისტია. მისი ხმის დიაპაზონი თამამი და მიმზიდველია. მისი მკვეთრი და ფართო ბგერა უკიდურესად ემოციური და დინამიურია, ფლობს რა მეტად დიდ და მკაფიო ხმას, იგი, მიუხედავად ამისა, არ ერიდება მის გამოყენებას ემოციური და დინამიური შესაძლებლობების უკიდურეს სიმაღლეებზე.**

როგორც მიმდინარე გალა-კონცერტებმა გვიჩვენა, ისეთი მომღერალი, როგორიც ზაზა ზაალიშვილია, რელიე-ოპერას ჯერ არ მოუწვევია. ასეთ სახელებს ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან მათ დიდი მომავალი აქვთ".

ერთ-ერთ ინტერვიუში ზაზა ზაალიშვილი ამბობს: „მართალია, მე ახლახან კანადის მოქალაქეობა მივიღე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში აღარ დავბრუნდე. უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ უფრო მეტად გამიმძაფრა პატრიოტული გრძნობა, მთელი არსებით წარმოაჩინა და დამანახა ყველა ის ღირსება, რაც ნამდვილად გაგვაჩნია და რითაც გამოვირჩევით სხვებისგან".

გაზაფხულზე, ვარდობისთვეში, მშობლიურ თბილისში ზაზას გასტროლებია დაგეგმილი. როგორც ბატონმა თენგიზმა მითხრა, 31 მაისს იგი „აიდაში" იმღერებს და მოუთმენლად ველოდები ამ დღესო.

რა გასაკვირია!

**ვილენ მარდალეიშვილი**





**სურათებზე:** მამა-შვილი თენგიზ და ზაზა ზაალიშვილები; თენგიზ ზაალიშვილი მღერის ლამარა ჭყონიასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ მიშველაძე

# ზამთარია... გათოვს... გაწვიმს...

**რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის ეს ახალი ნოველა ჩვენებური ზამთრის სადაგ დღეებს ავტორისთვის ჩვეული ირონიით ასახავს.**

* * *

ნოემბრის გრილი საღამო იყო.

ქარი ქალაქში არ იგრძნობოდა, მაგრამ ცას თუ ახედავდი, შეამჩნევდი, რომ იქ, ზემოთ, კარგა გვარიანად უბერავდა.

სხვადასხვა მხრიდან ქროდა ქარი და ტყვიისფერ ღრუბლებს სწორედ აქ, უდავითალმაშენებლო პოსტამენტის და ჩონჩხადქცეული „ივერიის" თავზე აქუჩებდა.

ზუსტად რვა საათზე სამთავრობო ტელევიზიით ჯანმრთელობის მინისტრი გამოვიდა და მოწყენილი სახით გამოაცხადა: უახლოეს თვეებში ქათმის გრიპისაგან ყოველი მესამე დაილუპებითო.

მინისტრის ამ განცხადებას ტელევიზიამ ჯომარდ-სატირიკოსის სამხიარულო შოუ მოაყოლა. „შოუში" სასაცილო მხოლოდ ის იყო, რომ მამაკაც მსახიობს ბატისფუკისფერი პარიკი ეხურა, ტუჩები წითლად, ვნებიანად შეეღება და აქაოდა ქალი ვარო, უკანასკნელს, როგორ დავუკარგავ, ენერგიულად ათამაშებდა.

რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში რომ გამოეცხადებინათ, მალე ყოველი მესამე აღარ იქნებითო, ქუჩებს სასოწარკვეთილი ადამიანების გნიასი წალეკავდა, საქართველოში კი (როგორც არ უნდა გაუკვირდეს ამ ნოველის საზღვარგარეთელ მკითხველს) შემაძრწუნებელ ცნობას პანიკა არ გამოუწვევია.

მოქალაქეებმა მშვიდად მოისმინეს ქათმის გრიპისაგან მოსალოდნელი კატასტროფის მაუწყებელი ცნობა და ტელევიზორები რომელიღაც შეიდასერიან არგენტინულ ფილმზე გადართეს. მეორე დილით კი ისე ჩვეულებრივი მასლაათით მიიჩქაროდნენ სამსახურიანები სამსახურში, ხოლო მოწაფეები ისეთი მხიარული ყიჟინით მიისროდ-მიიბურთავებდნენ სულელური სახელმძღვანელოებით სავსე ხელჩანთებს სკოლისაკენ, თითქოსდა წუხელის ყოველი მესამის დაღუპვაზე ამ ქვეყნის კი არა, ანტარქტიდის მოზამთრე-ესკიმოსების შესახებ ეთქვას ტელევიზორს.

რა მოხდა? რა ასეთი უნაღვლო და ფეხზემკიდია ხალხი ცხოვრობდა საქართველოში, რომ ნერვსაც კი არ უტოკებდა გაგება იმისა, რომ ექვსწევრიანი ოჯახიდან მალე, სულ მცირე, ორი კუბო იქნებოდა გასატანი?

ჯერ ერთი, ადამიანი, მოგეხსენებათ, იმედს ებღაუჭება და ფიქრობს: ეპიდემია ასე ზუსტად ხომ არ გაანაწილებს სიკვდილს. ხომ შეიძლება, მეზობელ ბინაში გრიპის ეპიდემიამ ექვსიდან ექვსივე იმსხვერპლოს და ჩემს ოჯახში — არც ერთიო.

მეორეც; თუ მაინცდამაინც ყოველ მესამეს დაგვერია, რაღა მაინცდამაინც მე ვიქნები მესამეო.

მესამეც; ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს, რა მნიშვნელობა აქვს, ქათმის გრიპი მოგიღებს ბოლოს, თუ შიმშილიო.

მეოთხეც; ორი წელიწადია ამ მთავრობას სხვა სიმართლე არაფერი უთქვამს და რაღა ეს აღმოჩნდება მართალიო.

კარგია თუ ცუდი შიშის გრძნობის ასე მასობრივი დაძლევა სამმილიონიან ქვეყანაში, ამაზე ფსიქოლოგებმა და ისტორიკოსებმა იმსჯელონ, მე კი, ზემოთთქმულისადმი მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, ჩემის მხრივ დავძენ — ჯანმრთელობის მინისტრს რომ გამოეცხადებინა ქათმის გრიპისაგან უახლოეს ხანებში ყოველი მეორე დაილუპებითო, არც ამ განცხადებას მოჰყვებოდა დიდი ვაივიში და პირხოკვობა.

უცნაურ ადამიანს რა დალევს დუნიაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქში იყო კაცი, რომელსაც გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც ისედაც გამესამედებული ხალხის კიდევ ერთხელ დაჩქარებული მოსრვა-ამოწყვეტა ქათმის გრიპის მიერ.

ეს კაცი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბენიამინ არჩვაძე.

„თუ ეს მართალი აღმოჩნდა, ღმერთს ხსნა მოუვლენია ქათმის გრიპის სახით და ეგ არის. მორჩება, დამთავრდება ყოველდღიური წამება-დამცირება, აბუჩად აგდება, იდიოტური კონკურსობია, ქუჩაში გაგდების შიში, „რეფორმისტთა" ზიზღით სავსე, უტიფარი თვალების დანახვა და შეშინებული კოლეგავირთხების გაუთავებელი წუწუნის მოსმენა", — ფიქრობდა პროფესორი არჩვაძე, როცა მეორე დღეს გამოხუნებული პლაშით, ლანჩებგაცვეთილი „შიბლეტებით" და გაცრეცილი პორტფელით კეკელიძის აღმართს მიუყვებოდა.

ფიქრის გორასთან ფილოსოფოსი კალისტრატე წევაძე აემგზავრა. ახალგაზრდობაშიც ერთობ შეუხედავი ვინმე იყო ბატონი კალისტრატე და სიბერეში მთლად წასულიყო ხელიდან მისი გარეგნობა.

გორილასავით დადიოდა.

გრძელ ხელებს სხვა პროფესორებივით კი არ მიიქნევდა, ორივე ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული. კაჭა ფეხებს აჩა-ბაჩა დგამდა და სიარულის დროს აქეთ-იქით ირწეოდა. შესახედავადაც გორილას ჰგავდა; ვიწრო შუბლით, გაჭყლეტილი ცხვირით, ლოჯებიანი, დიდი პირით და ღრმად ჩამჯდარი, კვართისლილისოდენა, პატარა, მრგვალი თვალებით.

— ახალი ხომ არაფერი გაგიგია? — მისალმებას მოაყოლა კალემ თანამედროვე საქართველოში ეს ყველაზე გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, მოსაწყენი კითხვა.

— წუხანდელს მერე არაფერი.

— გრიპზე ამბობ?

— ქე მაინც დროზე შემოვიდოდეს და მოგვისვამდეს ხელს დიდიან-პატარიანად.

— ჩვენ დაგვერევა საწყალ ხალხს, თვარა ამგენს არ დაემართება ქათმის გრიპი. ტყვილად გაქვს იმედი. ხომ უყურებ ტელევიზორში, რა საშიშრად ჯანმრთელები არიან. რავა დასაბმელი გიჟებივით დაშლიგინებენ იქეთ-აქეთ.

— ბარე ორი დაშლიგინებდა, მარა ქე ჩახვეტა მტკვარმა. გამოჩნდება მაგენის დამბმელიც, ნუ გეშინია.

— როდის? ჩვენ რო არ ვიქნებით?

— ჩვენი საქმე მოთავებულია, უნდა შევეგუოთ, — ამოიოხრა ბენომ — ჩვენს გაგდება-დამხობას ქე ასწრებენ.

— ვითომ ფილოსოფოსი მერქვა და სინამდვილეში აბდალი ვყოფილვარ. ისე მაგდებენ ქუჩაში, რომ ვერ გამიგია; რა შემეშალა, რა დავაშავე.

— მეცინება, ამას რომ იტყვით ხოლმე. ჯერ ერთი, ჩემო კალე, რად უნდათ ამათ ფილოსოფია. დალაპარაკებიხარ რომელიმეს? თვალებს არ გისწორებს არც ერთი. თუ მაინცდამაინც შემოგხედა, ზიზღი ჩაჰხატვია თვალებში, — შენ კიდევ ცოცხალი ხარ? კიდევ დალოლავ ამ დუნიაზეო? გეუბნება თვალებით.

— ამ კონკურსსაც აღარ დაადგა საშველი.

— ნელ ცეცხლზე გვწვავენ, ძალად აჭიანურებენ, რომ ეგება დავიხოცოთ ნერვიულობისგან.

— შრომა რამდენი გიგროვდება?

— ასამდე.

— ასპირანტი?

— დაცული ოცდათოთხმეტი.

— აბა შენ კარგად გქონია საქმე.

— რა გულუბრყვილო კაცი ხარ, კალისტრატე. შენ გგონია, ჩვენს შრომებს დათვლის ვინმე? გუშინ დამირეკეს, ვერ გეტყვი, ჭორია თუ მართალი, საპროფესორო კონკურსის პირობებისთვის ფიზიკური გამძლეობის შემოწმება დაუმატებიათ.

— რაი?!

— რა და პროფესორმა ბაგირზე ცოცვა, ას მეტრზე სირბილი და ბატუტზე ხტომა უნდა ჩააბაროს.

— მოსულა, აბა, ყვარყვარეს დრო, — ჩაიხითხითა კალისტრატემ — თურმე ყველა რევოლუცია ერთნაირად იდიოტურია. „სუსტი გულის პატრონი რათ უნდა პროლეტარიატს".

— კი მასეა ნამდვილად. გენიოსია პოლიკარპე.

— ერთს ვიტყვი მე. თუ მართლა ასე გიჟურად გააგრძელეს, გამოვაცხადოთ გაფიცვა. აღარ მოვიდეთ უნივერსიტეტში, აღარ წავიკითხოთ ლექცია, — ნახევრადჩურჩულით უთხრა კალემ კოლეგას და ყოველ შემთხვევისთვის მიმოიხედა, არავინ გვისმენდესო.

— რად უნდა მაგას ჩურჩული. ეგ უნდათ მაგათაც. უკვირთ კიდეც, ალბათ. გულში ამბობენ; ვინაა ეს უთავმოყვარეო ხალხი. რაც ამათ ვლანძღავთ და ვამცირებთ ყოველდღე, მაინც რომ დადიან უნივერსიტეტშიო.

ახალი, რაც იმ დღეს უნივერსიტეტში შეიტყო პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ, ის გახლდათ, რომ განათლების სამინისტროს მაცნე-შემტყობინებელი სანდუხაძე გამოეგზავნა; ძველი სახეებიდან, ვინც თავის ძველ, დამჭკნარ სახეს არ დაგვანახვებს და თავისი ნებით მოშორდება უნივერსიტეტს, ორ წელიწადს სტიპენდიას მიიღებს, ხოლო ვინც გაჯიუტდება, კონკურსზე გავაშავებთ და მერე მოსჭრია პატრონიო. ოცდაორი ფაკულტეტი ხომ დავიყვანეთ ექვს ფაკულტეტზე, ახლა ეს ექვსი ფაკულტეტიც უნდა გავამსხვილოთ და ორზე დავიყვანოთ. რაკი პროფესორებიდან



100 მეტრზე სირბილის ნორმატივს მეტ-ნაკლებად ყველა მეცნიერი ჩააბარებს, საკონკურსო პირობებს პარაშუტით გადმოხტომა დაემატებაო.

„დავხუჭავდი თვალს და გადმოვხტებოდი — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი ბენიამინ არჩვაძე — მაგრამ ამათი იმედი არა მაქვს. ჩვენ, ალბათ, გაფუჭებულ პარაშუტებს დაგვირიგებენ. მერე იტყვიან, არ გაიშალა. მე შენ გეტყვი, სირცხვილის გრძნობა აწუხებთ, ან ღმერთის ეშინიათ".

ოცდახუთ იანვარს თბილისში თოვლი მოვიდა.

„მოულოდნელად მოთოვაო", ამტკიცებდა სამთავრობო ტელევიზია, მაგრამ ხალხს ვერა და ვერ გაეგო, რატომ იყო 25 იანვარს მოსული თოვლი მოულოდნელი. აბა „მოსალოდნელი" რომელი თვის რომელ რიცხვში უნდა ყოფილიყო თოვლის მოსვლა.

ქალაქის მერიას, რაკილა „მოულოდნელად მოთოვა", გზებზე დასაყრელი მარილის მარაგი არ აღმოაჩნდა, რამაც ერთობ უხერხულ დღეში ჩააყენა ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება.

მოგეხსენებათ, თბილისი ოღროჩოღრო, აღმართ-დაღმართიანი ქალაქია და თოვლ-ყინულმა სახსრებში მოშალა.

თავდაღმართში მწუხარე სახეებით მოცურავდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, სანოვაგეზე გაგზავნილი, კისრის მოსატეხად განწირული სიდედრები, უბნის ინსპექტორები და კანონიერი ქურდებიც კი.

მხოლოდ ჩანთებზე შემომჯდარ მოსწავლეებს და ეროვნულგამოცდებჩაბარებულ პირველკურსელებს ჰქონდათ ერთნაირად მხიარული და, ცოტა არ იყოს, ბრიყვული სახეები.

თოვლმა ერთბაშად შეცვალა ქალაქი.

ისმოდა სვეტაფორიან სამარშრუტო ტაქსებს მიჯახებული ძალიან მსუბუქი მანქანების ხათქახუთქი.

საგრძნობლად შემცირდა მუდმივი საპროტესტო მიტინგების მონაწილეთა რაოდენობა.

ხელისუფლების გადადგომის მსურველნი ძირითადად ფანჯრებზე გადმომდგარნი უერთებდნენ ხმას გათოშილ მომიტინგეებს.

მაჩაბლის ქუჩაზე მშვილდ-ისრით და კაჟიანი თოფებით შეიარაღებული, ფაფახ-ნაბდიანი სამი ცნობილი მწერალი ერთგულად იცავდა მწერალთა სასახლეს გოკა გაბაშვილის მიერ გამოგზავნილი სპეცრაზმელებისაგან.

რუსმა დრო იხელთა და ყინვისაგან ისედაც სასოწარკვეთილ საქართველოს გაზი და ელექტროენერგია ერთბაშად შეუწყვიტა.

„დრო იხელთა-მეთქი" იმიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტი შვეიცარიაში სასრიალოდ იყო წასული და საქართველოში ისეთი არავინ იყო, რომ რუსს შეშინებოდა.

ერთ საათში ტელევიზის ეკრანებზე შემკრთალი პრეზიდენტი გამოჩნდა. იგი დავოსელ ჟურნალისტებს ელაპარაკებოდა.

სად მიდიხარო — ეკითხებოდა ჟურნალისტი.

თბილისში ვბრუნდებიო, ცრემლის ყლაპვით აუწყებდა პრეზიდენტი.

ან ჩამოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არის. დარჩენილიყავი, კარგი ამინდებია, გესრიალა, შე კაი კაცოვო, — გულით ურჩევდა შვეიცარიელი ტელეჟურნალისტი.

ეჰ, იცოცხლე, სრიალი კარგი იყოს, მაგრამ რომ არ წავიდე არ შეიძლება, რუსმა შორს რომ დამიგულა, თავი აიშვა და ამ გასაჭირში ჩემს ხალხს ვერ მივატოვებო, — წასვლას არ იშლიდა პრეზიდენტი.

დიახ, პრეზიდენტი არც ისე მიამიტი გახლდათ, რომ არ სცოდნოდა, ხალხი მომთმენია მხოლოდ მოთმინების ფიალის ავსებამდე. საკმარისია ზამთარში ერთ თვეს დარჩეს ქვეყანა უპურ-უგაზ-უშუქოდ, რომ რაც უნდა საყვარელი იყოს სახელმწიფოს მეთაური, რა ახალგაზრდა და ლამაზიც იყოს და როგორც არ უნდა ამოსდიოდეს ერს თავის რჩეულზე მზე და მთვარე, ერთ თვეში დამთავრდება მისი მეთაურობა-პრეზიდენტობა.

გამძვინვარებულ ხალხს ვინ მოსთვლის, რამდენი მეფის სასახლე დაურბევია და რამდენი პრეზიდენტის სავარძელი დაუწვავს.

ჰოდა, დაიწყო თბილისში ხალხის გვერდით მდგომი ხელისუფლების თეატრალური სანახაობა-ჩალიჩი.

პრეზიდენტმა რუსეთს თითი დაუქნია და სკოლებში ერთკვირიანი არდადეგები გამოაცხადა.

განათლების მინისტრმა პრეზიდენტის ბრძანებაში შესწორება შეიტანა და სრიალის ჟინით ათრთოლებული ბავშვების სიხარულს წყალი გადაასხა.

სწავლა შეწყდეს მხოლოდ იმ სკოლებში, რომლებიც გაზით თბებოდნენ, ხოლო დიზელგათბობიანმა სკოლებმა სწავლა განაგრძონო.

მედიზელე სკოლების პროტესტმაც არ დააყოვნა.

რატომ ჰგონია, მინისტრს, რომ ჩვენ გამთბარ-გალულუნებულები ვართ. ორი თვეა დიზელის საწვავი თვალით არ გვინახავს. ესეც არ იყოს, რა უპირატესობა აქვთ გაზშეწყვეტილ სკოლებს. დაგვასვენონ ჩვენც. ჩვენს ბავშვებსაც არ აწყენს ციგაობაო.

სწორია ეს ხალხიო, პრეზიდენტმა, და განათლების მინისტრს დაურეკა; დიზელის საწვავი მაინც არ ჰქონიათ, დაისვენონ ამათაც. რას ისწავლიან ახლა ამნაირს, კაცმა რომ თქვას, ამ ერთ კვირაშიო.

დაღონდა პრეზიდენტი. რა დროს მიყელა რუსმაო. მე ვასწავლი რუსეთს ჭკუას, ვანანებ ამ საქციელს, თუ ვყოფილვარ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტიო.

არა და საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. კვირაში საშუალოდ ორ უფასო სასადილოს ხსნიდა და სატელევიზიოდ ყურებამდე გაღიმებული ისე მადიანად შეექცეოდა წყალწყალა სუპს, გეგონებოდათ, ამ კვირაში არაფერი უჭამიაო. უფასო სასადილოში სერობა-ტრაპეზის დროს პრეზიდენტს გვერდს ქალაქის მერი უმშვენებდა. აშკარად ჩანდა, მერს ტყუილი სუპი არ უყვარდა და კოვზს ზოგჯერ მოსაჩვენებლად, გადმობრუნებულად იდებდა პირში. თანაც ხანდახან ზიზღით გახედავდა ქათმის გალურჯებულ ბარკალს. აშკარად ჩანდა, მერს არ სურდა ქათმის გრიპის პირველ მსხვერპლთა შორის ყოფილიყო.

დიდთოვლობამ და უშუქ-უგაზობამ გამოაცოცხლა ქალაქი.

ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

სასრიალოდ შვეიცარიაში წასული პრეზიდენტის ასე სწრაფად დაბრუნებას არ ელოდა პუტინი. რუსთხელმწიფის კარი შეშფოთებამ მოიცვა. რუსეთის მხარე აშკარად მაშინ შეძრწუნდა, როცა ნაციონალური მოძრაობის ხუთმა აქტივისტმა რუსეთის საელჩოს წინ, თოვლზე ერთი ტომარა შეშა და კილონახევარი მანდარინი დაყარა.

ეს ამბავი ელვისსისწრაფით მოედო რუსეთს.

ძიუდოისტი პრეზიდენტი საგონებელში ჩავარდა.

თბილისში კი ამ დროს თეატრბერიკაობა სრულ სვლას განაგრძობდა.

ნავთის ხუთასბიდონიან რიგში მდგომი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალი ტელეჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა: „დილის 4 საათიდან ვდგავარ ნავთის რიგში და ძალიანაც მომწონს ეს ამბავიო. სახლში ვიყავი გამოკეტილი. ძლივს ქუჩაში გამოვედი და ხალხს დაველაპარაკე. თუ არ მოიტანეს ნავთი, არა უშავს. მოვიცდი. აქ მოწყენილი სულ არა ვარ. ღამეც აქ ვაპირებ დარჩენას, თუ გამაჩერა ჩემმა ქმარმაო".

სიცივისაგან სახსრებდამზრალი პროფესორი ბენიამინ არჩვაძე თავისი ერთოთახიანი ბინის ფანჯრიდან ჩასცქეროდა ქალაქს. ქუჩაში გასვლის თავიც აღარ ჰქონდა.

ხუთი დღის პურით და ყოველსაათიანი ტელეტყუილით იკვებებოდა; „სარემონტო სამუშაოები დამთავრდა, გაზი უკვე გამოშვებულიაო". მიეჭრჩიდებოდა გაზქურასთან პროფესორი, გადასწევდა ონკანს, მაგრამ გაზის სანატრელი შიშინი არა და არ ისმოდა.

სამს ალარაფერი უკლდა, კარებზე რომ მიუკაკუნეს.

გააღო.

ქალაქის მერს ორი პური ეჭირა. პრემიერს — ერთი ტომარა შეშა. უკან ტელემიკროფონების მუშტები და იუპიტერები ირწეოდნენ.

ქალაქის თავნი ცალი თვალით ტელეკამერებისაკენ იყურებოდნენ და თან გაბადრული სახით აწვდიდნენ პროფესორს ხუთსაათიან შველას — ორ პურს და ტომარა შეშას.

— მომწყდით თავიდან! — იყვირა აცახცახებულმა ბენიამინ არჩვაძემ და სტუმრებს კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

* * *

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა.

პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიასთან, დერეფანში, პალტოს ჯიბიდან ნახევარბოთლიანი ამოიღო, ნავთი გადაისხა, ფანჯარასთან მივიდა და ასანთს გაჰკრა.

ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, მაგრამ სანამ სახეზე და ხელებზე მოედებოდა, აუდიტორიიდან გამოსულმა სტუდენტმა გოგონამ შენიშნა, პალტო გაიხადა, პროფესორს თავზე ჩამოამხო და კივილი ატეხა.

საღამოს სამთავრობო ტელევიზიამ სხვა ახალ ამბავთა შორის გამოაცხადა: „დღეს უნივერსიტეტში თავის დაწვა სცადა პენსიონერმა ბენიამინ არჩვაძემ, რომელიც სტუდენტებმა გადაარჩინეს.

როგორც ექიმები ირწმუნებიან, ბატონი ბენიამინი უკანასკნელ ხანს ნევროზით იყო შეპყრობილი, რასაც თან დაერთო ასაკობრივი ცვლილებებით გამოწვეული კლიმაქსური მოვლენები.

ამჟამად პროფესორის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება".

12.II.2006 წ.
თბილისი

# გაბრიელ გარსია მარკესი



# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისა



„მარტის იდების" კითხვისას წავაწყდი ფრაზას, რომელსაც ავტორი სწერდა იულიუს კეისარს: „შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს არ გახდე ის, რადაც სხვები მიგიჩნევენ". მე ვერსად მოვიძიე ამ სიტყვების ავტორზე თუნდაც რაიმე პატარა ცნობა ვერც თავად იულიუს კეისრისა და ვერც მისი ბიოგრაფების შრომებში, დაწყებული სვეტონიუსიდან დამთავრებული კარკოპინოთი, მაგრამ ცოდნა ამ სიტყვების მნიშვნელობისა, ნამდვილად ღირს, და რომ ეს ასეა, ჩემი ცხოვრების შემდგომ თვეებში ჩავწვდი უფრო ღრმად. სინათლე, გარკვეულობა, რომელიც ყოველთვის მაკლდა, სწორედ ამ სიტყვებმა მომიტანეს და არა მხოლოდ დამაწერინეს ეს მოგონებები, არამედ დელგადინას სიყვარულიც გამომაფენინეს ყოველგვარი მორცხვობისა და უხერხულობის გარეშე.

ერთი წუთითაც არ მქონდა სიმშვიდე, სადაც დამეკარგა, ბუტერბროდებზე „გადავდიოდი". ისე გავხდი, შარვალი მძვრებოდა, ძვლებში ტკივილი მიფუთფუთებდა, უმიზეზოდ ვღიზიანდებოდი, ღამეებს თეთრად ვათენებდი ციებ-ცხელებიანივით, აღარც კითხვა შემეძლო, აღარც მუსიკის მოსმენა. დღისით კი, პირიქით, თვლემაში წასული თავს ვაკანტურებდი, ძილითაც ვერ ვიძინებდი.

შვება სრულიად მოულოდნელად მეწვია. ერთ დღეს ხალხით სავსე ავტობუსში გვერდით მჯდომმა ქალმა – ვერ შევამჩნიე როდის ამოვიდა ავტობუსში – ყურში ჩამჩურჩულა: „კიდევ შეგიძლია?" ეს იყო კასილდა და არმენტა, ძველი სიყვარული, რომელიც როგორც კლიენტს მიღებდა და მითმენდა იმ დროიდან, როცა ამაყი და ახალგაზრდა იყო. იმ საქმეს რომ შეეშვა, ჯანგატეხილი და ღარიბი ცოლად გაჰყვა ერთ ჩინელ მებოსტნეს, რომელმაც მას მისცა თავისი გვარი, თანადგომა და შეიძლება, პატარა სიყვარულიც კი, სამოცდაცამეტი წლის კასილდას ძველი აღნაგობა, სილამაზე, ძლიერი ხასიათი და მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი თავისუფალი ქცევები აქამდე შერჩენოდა.

სახლში მიმიპატიჟა. სახლი ჩინურ ბოსტანში იდგა ბორცვზე, ზღვისკენ გაჭრილ გზატკეცილთან ახლოს. დაჩრდილულ ტერასაზე შეზლონგებზე მოვკალათდით. ჩარდახქვეშ დაკიდულ გალიებში ჩიტები ფრთხიალებდნენ, ბორცვის კალთებზე შეფენილ ბოსტნებში კონუსის ფორმის ქუდებიანი ჩინელები ფუსფუსებდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ. ქვემოთ გართხმულიყო ბოკას დე სენისას ნაცრისფერი სივრცე ორი კლდოვანი დამბით, რომელთა შორის, – როგორც არხში, – გასვლიდან რამდენიმე ლიგის მერე ზღვაში ჩადიოდა. ვიდრე ჩვენ ვმასლაათობდით, თეთრი საოკეანო გემი შესართავისკენ გაემართა. ჩვენ მდუმარედ შევცქეროდით მას მანამ, სანამ სამდინარო პორტის მხრიდან არ მოგვესმა გემის ნაღვლიანი ხარივით ბღავილი. კასილდამ ამოიოხრა: „წარმოგიდგენია", ნახევარი საუკუნის მერე პირველად გმასპინძლობ ულოგინოდ". „ჩვენი დრო წავიდა, ის აღარ ვართ". ქალი არ მისმენდა: „ყოველთვის, როცა კი რადიოში შენს წერილებს კითხულობენ, როცა გაქებენ, როგორ უყვარხარ ყველას, როცა სიყვარულის მასწავლებლად გიხსენიებენ, ჩემთვის გავიფიქრებ ხოლმე, მას ხომ ჩემსავით არავინ იცნობს, ჩემსავით ხომ არავინ იცის, რა გულუხვი და მარჯვეა სიყვარულში-მეთქი. მართალს გეუბნები, არავის შეეძლო ჩემზე უკეთ შენთან ყოფნა".

კასილდამ იგრძნო, როგორ ავღელდი, დაინახა ჩემი ნამიანი თვალები და მიხვდა, რომ მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი ოდესღაც. გმირულად გავუძელი მის მზერას, თუმცა არ მეგონა თუ ამას შევძლებდი. „ვბერდები", – ვაღიარე მე. „ჩვენ უკვე ვართ ბებრები, – ამოიოხრა მან, – უბრალოდ, ამას ვერ ვგრძნობთ შიგნიდან, მხოლოდ გარეშე თვალისთვის არის შესამჩნევი სხვისი სიბერე".

გადავწყვიტე, მისთვის გული გადამეშალა. ვუამბე ყველაფერი, რაც მწვავს და მდაგავს, დაწყებული როსა კაბარკასთან პირველი სატელეფონო საუბრიდან დამთავრებული იმ ტრაგიკულ ღამემდე, როდესაც ოთახში ყველაფერი მივლეწ-მოვლეწე და მეტად იქ აღარც მივსულვარ. ისე უსმენდა ჩემს გადაშლილ სულს, თითქოს საკუთარ თავზე განეცადოს ეს ყველაფერი. ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ღიმილით მითხრა:

– რა თქმა უნდა, შენი ნებაა როგორ მოიქცევი, მაგრამ მე თუ მკითხავ... ერთი სიტყვით, ნუ დაკარგავ ამ ქმნილებას. ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება მარტოობაში სიკვდილია.

პუერტო-კოლომბიაში გავემგზავრეთ სათამაშოსავით პატარა მატარებლით, რომელიც ცხენშებმულ ეკიპაჟივით მიიზლაზნებოდა. ვისადილეთ ძველი, დახრული ხის ჯებირის მოპირდაპირე მხარეს. ამ ჯებირიდან შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში დანარჩენი სამყარო, სანამ მდინარის ფსკერს ამოასუფთავებდნენ. პალმის ტოტებს ჩარდახქვეშ დავსხედით. ზორბა ზანგ მატრონებს მიჰქონდ-მოჰქონდათ მაგიდებთან შემწვარი თევზი, ქოქოსიანი ბრინჯი და მწვანე ბანანის ნაჭრები. ორი საათი წავუთვლიმეთ კიდეც დახუთულ პაპანებაში, მერე მანამდე ვსაუბრობდით, ვიდრე უზარმაზარი ცეცხლმოკიდებული მზე არ ჩაიძირა ზღვაში. სიცოცხლე ფანტასტიკური მეჩვენებოდა. „ხედავ, ცხოვრება როგორ მოგვექცა, თაფლობის თვე გვაჩუქა, – იხუმრა კასილდამ. – უკან ვიხედები ახლა და ვხედავ ჩემს ლოგინში გამოვლილ ათასამდე მამაკაცს, მაგრამ სულს მივცემდი, ოღონდ ერთი იმათგანი – ყველაზე გუდამშიერი და დაჩიავებული – დარჩენილიყო ჩემთან. მადლობა ღმერთს, დროზე გავთხოვდი ვიღაც ჩინელზე. ეს იგივეა, ცოლად გავყოლოდი ნეკა თითს, მაგრამ სამაგიეროდ ვიცი, რომ ის მხოლოდ ჩემია".

თვალებში შემომხედა, რა გავლენა მოახდინა ჩემმა სიტყვებმაო, და მტკიცედ დაამატა: „ასე რომ, წადი, ახლავე მოძებნე ის საბრალო არსება და რაც არ უნდა ჩაგჩურჩულოს ყურში შენმა ეჭვიანობამ და რაც არ უნდა მართალი გამოდგეს იგი, სულერთია, მაინც წადი და მოძებნე, როგორც იტყვიან, ჩაიფიქრე? აასრულე კიდეც! და კიდევ: თუ ღმერთი გწამს, ეგ შენი ბებრული რომანტიზმი გვერდზე გადადევი. გაალვიძე ის საბრალო და ყურებამდე შეუდე შენი ხელნა, რითაც დაგაჯილდოვა დემონმა შენი სიმხდალისა და სიმდაბლისათვის. ხუმრობა იქით იყოს და... – დაამთავრა თავისი სიტყვა გულითადად, – ისე ნუ მოკვდები, ცხოვრებაში რომ არ გამოსცადო ერთი საოცრება – დაწვე იმასთან, ვინც გიყვარს".

მეორე დღეს ტელეფონს რომ მივადექი როსა კაბარკასთან დასარეკად და დელგადინასთან შეხვედრაც რომ წარმოვიდგინე, პულსი ისე ამიჩქარდა, მეგონა, სადაცაა ძარღვები დამისკდება-მეთქი. თან არც ის ვიცოდი, როსა რას მიპასუხებდა. ჩვენ ხომ სერიოზულად წავკამათდით, როცა მან ოთახის დარბევისათვის თავის სასარგებლოდ ორჯერ გაზრდილი ანგარიში გამომიგზავნა. სწორედ მაშინ გავყიდე ერთ-ერთი ჩემი საყვარელი სურათი, რომელიც დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არ გაამართლა ჩემი ილუზიების მეათედიც კი. დაგროვილი თანხა რაც გამაჩნდა, ისიც დავუმატე სურათში აღებულ ფულს და როსა კაბარკასს წავუღე. წინასწარვე გავაფრთხილე მტკიცედ და შეუვალად: „ან ამას აიღებ, ან არაფერს". ეს ნაბიჯი ნამდვილად თვითმკვლელობის ტოლფასი იყო: საკმარისი იყო როსას ჩემი მხოლოდ ერთი საიდუმლო გაეყიდა, რომ სამუდამოდ დაესამარებინა ჩემი სახელი. მაგრამ ის არ გაჯიუტებულა, რადგან შეთანხმების დროს გირაოში დატოვებული სურათები კვლავ მასთან რჩებოდა. ერთი ხელის მოსმით დავკარგე ყველაფერი: დელგადინაც, როსა კაბარკასიც და უკანასკნელი დანაზოგიც.. და უცებ ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. ერთი, ორი, სამი, და ყურმილში მისი ხმა გავიგონე: „როგორ ხარ?" ხმამ მიმტყუნა, ყურმილი დავდე, ჰამაკში ჩავწექი და ვცადე დასამშვიდებლად სატის ასეპტიკური ლირიკა წამეკითხა, მაგრამ ისე გავოფლიანდი, ჰამაკის ტილოც კი დასველდა, მხოლოდ მეორე დღეს შევძელი მომეკრიბა ძალა და დამერეკა:

– კარგი, – ვთქვი გადაწყვეტილად, – დღეს – კი.

სხვანაირად როგორ იქნებოდა! როსა კაბარკასი, ვითომც არაფერიო, გამომელაპარაკა: „აჰ, ჩემო ნაღვლიანო ბრძენო კაცო, – და ამოიოხრა თავის უძლეველობაში დარწმუნებულმა, – ორი თვე გადაიკარგები, მერე უცებ გამოჩნდები და შეუძლებელსა მთხოვ". თვეზე მეტია დელგადინა არ მინახავსო, ეტყობა, იმ შიშისაგან განთავისუფლდა, ოთახის დარბევის დროს რომ განიცადა და ისე გამოკეთდა, იმ ღლისა და შენი გახსენებაც არ უნდაო. საერთოდ, კმაყოფილია თავისი ახალი სამსახურით, გალამაზდა კიდეც და კლიენტებიც მეტს უხდიან, ვიდრე იმ თავის ღილების დაკერებაში ილებდაო. ცეცხლი მომეკიდა: „მაშასადამე, ქუჩის ქალი გახდა", – ვთქვი მე. როსა გაჯიუტდა, არ დამეთანხმა: „ასე რომ იყოს, აქ იქნებოდა, კიდევ სად იქნებოდა ამაზე უკეთ?" – სწრაფად გამოიტანა თვითონ ლოგიკური დასკვნა, რამაც უფრო გამიღრმავა ეჭვები. „საიდან უნდა ვიცოდე, რომ მანდ არ არის?" „მაშინ სჯობს არაფერი იცოდე, ასე არ არის?" როსას მიმართ კვლავ ვიგრძენი სიძულვილი, მაგრამ ერთი-ორი მაგარ-მაგარი სიტყვის მერე დამპირდა, მოვძებნიო, თუმცა დიდი იმედი არ მაქვსო. მეზობლის ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც იგი უკავშირდებოდა გოგოს, გამორთული იყო, სახლის მისამართი კი ნამდვილად არ იცოდა. „კარგი, – თქვა მან. – ნუ გეშინია, რაღაცას მოვახერხებ, დაგირეკავ ერთ საათში".

ერთი საათი სამ დღეს გაგრძელდა, მაგრამ როსამ გოგონას მაინც მიაგნო. მიაგნო საღ-სალამათს და თავისუფალს... ჰოდა, მეც დავბრუნდი დამორცხვებული, თავით ფეხამდე დავკოცნე, ვინანიებდი ყველაფერს, ვკოცნიდი შუაღამიდან მამლის ყივილამდე. ეს იყო პირობა ხანგრძლივი, სამარადისო მონანიებისა. და თითქოს ყველაფერი დაიწყო ისევ თავიდან. ცარიელი ოთახი უკაცრიელი ჩანდა. ყველაფერი, რაც აქ მოვზიდე, აღარაფრად ვარგოდა. როსამ ეგრევე გატიალებული დამახვედრა ოთახი. მითხრა, თუ აქაურობის გალამაზება გინდა, კეთილი ინებე და შენი ხარჯით გაალამაზე, რადგან ჩემი ვალი გაქვსო. მაგრამ ჩემი ეკონომიური მდგომარეობა ნულამდე იყო დასული. პენსია აღარ მყოფნიდა. სახლში რაც შემორჩა გასაყიდი – გარდა ფიდა – ჩემის ძვირფასეულობისა, რომელიც წმიდათაწმიდას წარმოადგენდა ჩემთვის – გროშიც არ ღირდა ბაზარზე, რადგან არც ერთი იყო საკმარისად ძველი, ანტიკვარად რომ ჩაეთვალათ. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებში გუბერნატორი მთავაზობდა მომხიბლველ წინადადებას – დეპარტამენტის ბიბლიოთეკისათვის მეყიდა ბერძენ, ლათინურ, ესპანელ კლასიკოსთა წიგნები, მაგრამ მაშინ დიდად არ მიზიდავდა ეს საქმე, შემდეგ კი იმდენი პოლიტიკური ცვლილება მოხდა და, საერთოდ, ქვეყანაც ისე აირია, რომ მთავრობას უკვე აღარც ხელოვნება აღარდებდა და აღარც ლიტერატურა. მეც ღირსეული გზის ძებნაში დავიღალე, ჯიბეში ჩავიტენე ძვირფასეულობა, რომელიც დელგადინამ დამიბრუნა და გავემართე ქალაქის ბაზრისკენ, ერთ მიყრუებულ ქუჩისკენ. სახეზე დაბნეული, ჭკვიანი კაცის ნიღაბი ავიფარე, რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე ხალხმრავალ ღარიბულ სასაუზმეებს, ბუკინისტების ჯიხურებს და ლომბარდებს, მაგრამ ფლორინა დიოსის ღირსეულმა სახელმა გზა გადამილობა: შემრცხვა, ლომბარდში ჩამებარებინა და გადავწყვიტე ამაყად თავაწეულს მიმეყიდა ძველი და სანდო საიუველირო მაღაზიისთვის.

გამყიდველი გამადიდებელი შუშით ათვალიერებდა სამკაულებს და შეკითხვებს მაძლევდა. ექიმის მანერები ჰქონდა და ექიმის წინაშე მდგომი პაციენტის შიშს გინერგავდა. ვუამბე, რომ ეს სამკაულები დედაჩემისგან მერგო მემკვიდრეობად. ყოველ ჩემს ახსნა-განმარტებაზე ხან მეთანხმებოდა, ხანაც გაურკვევლად ბურტყუნებდა რაღაცას. ბოლოს, როგორც იქნა, გადადო თავისი მონოკლი:

– დიდად ვწუხვარ, – მითხრა მან. – მაგრამ ეს ყველაფერი ბოთლის ძირის ნატეხებია.

ჩემს გაკვირვებას შერბილებული თანაგრძნობით უპასუხა: „კიდევ კარგი რომ ოქრო ოქროა და პლატინა-პლატინა". ჯიბე მოვიქექე, სამკაულების შესყიდვის ძველი ქვითარი ხომ წამოვიღე-მეთქი თან და სრულიად წყნარად ვთქვი:

– კი მაგრამ, ეს სამკაულები ხომ ამ მაღაზიაშია ნაყიდი ასი წლის წინათ?

გამყიდველს წარბიც არ შეუხრია: „ხდება ხოლმე ასე. საგვარეულო ძვირფასეულობას დროთა განმავლობაში აკლდება მეტნაკლებად ძვირფასი ქვები. ცარიელ ადგილებს ან ოჯახშივე ავსებენ რაიმე შუშის ნატეხით ან იუველირთან მიაქვთ გასაკეთებლად. ზოგიერთი ქურდი იუველირი თავის მხრივ ძვირფასი ქვის ნაცვლად უბრალოს სვამს, სიყალბე კი მაშინ ვლინდება, როცა ამ ნივთის გაყიდვა სურთ... მაგრამ თუ შეიძლება ერთი წუთით დამელოდეთ", – იგი კარს უკან მაღაზიის სიღრმეში შევიდა და მალევე დაბრუნდა. არაფერი უთქვამს, სკამზე მანიშნა დავმჯდარიყავი და დაველოდებოდი, თვითონ კი კვლავ განაგრძო კირკიტი.

მაღაზია მოვათვალიერე. რამდენჯერ მოვსულვარ აქ დედასთან ერთად. რატომღაც მისი სიტყვები გამახსენდა, აქ მოსვლისას ხომ მიჩურჩულა ერთხელ: „მამას არ უთხრა". უცებ თითქოს თავში რაღაცამ დამარტყაო, ადგილზე შევხტი: ხომ შეიძლება, როსამ და დელგადინამ მოილაპარაკეს, ნამდვილი ქვები გაყიდეს, მე კი ყალბთვლიანები დამიბრუნეს?

ეჭვი ცეცხლივით მომედო. ამასობაში თანაშემწე ქალმა მანიშნა, გავყოლოდი. იმ კარს უკან, სიღრმეში, პატარა კაბინეტში თაროებზე სქელ-სქელი დავთრები ელაგა. საწერ მაგიდასთან უზარმაზარი არაბი იჯდა. ჩემს შესახვედრად წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ძველი მეგობარივით შენობით მომმართა: „ჩვენ ერთად ვსწავლობდით საბაკალავროზე". გოლიათი ადვილად გავიხსენე, საუკეთესო ფეხბურთელი იყო სკოლაში და ასევე ჩემპიონი ჩვენს პირველ ლაშქრობებში ბორდელებში. მერე დავკარგე თვალთახედვიდან. ამან კი დამინახა თუ არა ასეთი მოფამფალებული, ეტყობა, რომელიმე თავის თანაჯგუფელში ავერიე.

იხ. მე-14 გვ.

დასასრული. დასაწყისი

იხ. „სრ" № 298-299, 304-305, 2005 წ, № 4-5, 10-11, 14-15. 2006 წ.

**(მესამეზე გვერდიდან)**

შუშაგადაფარებულ საწერ მაგიდაზე იდო არქივიდან ამოღებული გადაშლილი დავთარი, რომელშიც დედაჩემის ძვირფასეულობაც იყო აღნიშნული. აქვე ეწერა ზუსტი თარიღი, სამკაულების აღწერილობა და ისიც, რომ კარგამანტოსების გვარის ორი თაობის ლამაზი და ღირსეული ქალბატონების სამკაულებიდან ორი ძვირფასი ქვა პირადად დედაჩემს ამოუღია და მიუყიდია ამ მაღაზიისთვის. ეს მოხდა მაშინ, როცა აქაურობას განაგებდა ამჟამინდელი მფლობელის მამა, ვისთან ერთადაც მე ვსწავლობდი სკოლაში, არაბმა დამამშვიდა: ასეთი ხრიკები ჩვეულებრივი ამბავისა სიღარიბეში ჩავარდნილი ოდესღაც ცნობილი ოჯახებისთვის, სახელი და ღირსება რომ არ შეებღალათ, ძვირფასეულობას ყიდიან და ამ გზით ცდილობენ გაჭირვების დამალვას. სასტიკი რეალობის პირისპირ მდგარმა გადავწყვიტე, ყველაფერი, რაც აქ გავიგონე, ყოველთვის მხსომებოდა როგორც ხსოვნა სხვა ფლორინა დე დიოსზე, ვისაც მე ვიცნობდი.

ივლისის თვეში აშკარად ვიგრძენი ის მანძილი, რომელიც სიკვდილსა და ჩემს შორის ჩამდგარიყო. გულისცემა შემისუსტდა, ყველგან ვგრძნობდი და ვხედავდი დასასრულის უშეცდომო ნიშნებს. ყველაზე მკვეთრად გამოხატული შეგრძნება დამეუფლა ნატიფი ხელოვნების საზოგადოებაში გამართულ კონცერტზე. დარბაზში კონდიციონერი გამოირთო, ჰაერი ჩამოიხუთა, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაღები საზოგადოება ლამის ამომხვრჩვალიყო ორთქლის აბანოში — ხალხით გადაჭედილ დარბაზში, მაგრამ მუსიკის მაგიური ძალა ზეცისკენ გვეწეოდა და უცბად მივხვდი, რომ მე ვუსმენდი უკანასკნელ კონცერტს. არც ტკივილს ვგრძნობდი, არც შიშს, მხოლოდ ყოვლისწამლეკავი გრძნობა დამეუფლა იმისა, რომ მე ეს განვიცადე, მე ეს ვიგრძენი.

როდესაც ბოლოს და ბოლოს ოფლში გაწუწულმა როგორც იქნა მოვახერხე ხვევნა-კოცნა და ფოტოგრაფებს დავსხლტომოდი, პირისპირ შევეჩეხე ხიმენა ორტისს, ბორბლებიან სავარძელში დაბრძანებულს ასი წლის ქალღმერთივით. ამ ქალბატონის თავად აქ ყოფნა სიკვდილის ცოდვად შევიგრძენი. სპილოსძვლისფერი აბრეშუმის ტუნიკა ეცვა, თავისი კანივით გლუვი, მარგალიტის მძივი სამმაგად შემოეხვია ყელზე, სადაფისფერი თმა ოციანი წლების მოდაზე შეეკრიჭა: ლოყაზე მერცხლის ფრთასავით მოერკალა; დიდი ყვითელი თვალები ანათებდნენ. მისი შემხედვარე ვერავინ დაიჯერებდა ხალხში გავრცელებულ ხმებს, თითქოსდა მისი გონება დღითი დღე ემსგავსებოდა სუფთა ქაღალდს, მეხსიერების გარდაუვალი ეროზიის გამო. უღონოდ გავჩერდი მის წინაშე. სახეში შემოფრქვეული სულის შემხუთავი ბუღი დავძლიე და უსიტყვოდ მივესალმე დიდის ამბით. მან დედოფლის ღიმილით გაიღიმა და ხელში ჩამეჭიდა. მივხვდი, ეს ბედის წყალობა იყო, შემთხვევით ვისარგებლე, რათა ამომეღო ხიჭვი, რომელიც კარგა ხანია მაწუხებს. „ამ წამზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი", — ვუთხარი მე. „კარგი ერთი, — გავიგონე პასუხად. — კი მაგრამ, შენ ვინ ხარ?" მაინც ვერ გავიგე, მართლა ყველაფერი დაავიწყდა თუ ეს მისი უკანასკნელი შურისძიება იყო?

იმის გაფიქრებამ, რომ მე მოკვდავი ვარ, ორმოცდაათისა რომ ვხვდებოდი, მაშინ გამაკვირვა. დაახლოებით ასეთივე ვითარებაში ღამით კარნავალზე ტანგო-აპაჩის ვცეკვავდი გასაგიჟებელ ქალთან ერთად. მის სახეს ვერ ვხედავდი, ჩემზე მძიმე იყო ორმოცი ფუნტით და მაღალი — ორი მტკაველით, მაგრამ ცეკვავდა ისე მსუბუქად, როგორც ბუმბული დაფარფატებს ქარში. ვცეკვავდით თითქმის ჩახვეულები, სისხლის დენი იგრძნობოდა ძარღვებში. მისი დაღლილი სუნთქვით, ოფლის მძაფრი სუნით, მისი ასტრონომიული ზომის მკერდით მოთენთილს ლამის მეძინა. უცებ ისე მაგრად შემანჯღრია, კინაღამ წავიქეცი. სიკვდილის ძახილი, თითქოს უჩინარმა ორაკულმა ჩამირაკრაკა ყურში: „შენ რაც გინდა თქვი და ან ამ წელს მოკვდები სამუდამოდ, ან ასი წლის შემდეგ". ქალი შეშინებული შედგა: „რა მოგდით?" „არაფერი", — ვუპასუხე მე, ვცდილობდი დავშოშმინებულიყავი:

— ეს თქვენ მაიძულებთ ვიკანკალო.

მას შემდეგ დავიწყე ჩემი ცხოვრების გადათვლა წლებით კი არა, ათწლეულებით. მეხუთე ათეული წელი გადამწყვეტი იყო: ყველანი ჩემზე ახალგაზრდები მეჩვენებოდნენ. მეექვსე ათეული ყველაზე დატვირთული იყო, შეცდომის დრო აღარ მქონდა. მეშვიდე — საშინელი იყო, რადგან ეს ათწლეული შეიძლებოდა უკანასკნელი აღმოჩენილიყო, თუმცა ოთხმოცდაათი წლისა რომ შევსრულდი და იმ დილით ცოცხალმა გავიღვიძე დელგადინას ბედნიერ საწოლში, მოკრძალებულად გავიფიქრე, ცხოვრება მაინცდამაინც ის კი არ არის, ბობოქარ მდინარესავით მიედინებოდეს, არამედ ცხოვრება უნიკალურ შანსსაც გაძლევს ცეცხლზე ცალი გვერდის შებრაწვის შემდეგ, გადაბრუნდე და ახლა მეორე გვერდი — კიდევ ოთხმოცდაათი წელი — მიუფიცხო შესაწვავად.



ახლა ცრემლი სულ ახლოს მაქვს მომდგარი თვალზე. საკმარისია სინაზის ერთი წვეთი, რომ ყელში ბურთივით გამეჩხიროს რაღაც ისეთი, რომელსაც ყოველთვის ვერ იმორჩილებ, ამიტომაც გადავწყვიტე, აღარ ვუდარაჯო დელგადინას ძილს არც საკუთარი ტკბობისათვის და არც გაურკვევლობის გამო — სიკვდილამდე რამდენი მაქვს დარჩენილი-თქო, უბრალოდ, გული მტკივა, უჩემოდ როგორ უნდა გაატაროს დარჩენილი სიცოცხლე. ერთ ასეთ გრძნობებით დატვირთულ დღეს ნოტარიუსების კეთილშობილ ქუჩაზე წავედი გულის გადასაყოლებლად და გამიკვირდა, როცა ძველი სასტუმროს შეხვედრების ადგილას ნანგრევებილა დავინახე. ამ სასტუმროსთან ძალის გამოყენებით დამაკავშირეს სიყვარულის ხელოვნების სასწავლებლად ჯერ კიდევ თორმეტი წლის ბიჭი. შორეულ დროს ეს შენობა გემების მფლობელებს ეკუთვნოდათ და დიდებულიც იყო. ასეთი შენობა ძალზე ცოტაა ქალაქში ალებასტრით მოპირკეთებული სვეტები, მოოქროვილი ფრიზები, ცენტრში კი შიდა ეზო შვიდფერი მინის გუმბათით, რომელიც ორანჟერეას ცისარტყელას ფერებს აფრქვევდა. ქვემო სართულზე, გოთიკური პორტალის უკან, ქუჩაში რომ გადიოდა, საუკუნეზე მეტხანს განთავსებული იყო კოლონიური სანოტარო კანტორები, სადაც წარმატებულად მუშაობდა, ხოლო შემდეგ კი გაკოტრდა მამაჩემი, რომელიც მთელი ცხოვრება ღრუბლებში დაფრინავდა. ნელ-ნელა ცნობილმა მდიდარმა ოჯახებმა დატოვეს ზემო სართულები და ბოლოს იქაურობა აავსეს გაუბედურებულმა, ღამით მომუშავე ქალთა ურდოებმა, რომლებიც ერთნახევარი პესოს გულისთვის განთიადამდე ადი-ჩადიოდნენ კლიენტებთან ერთად, კლიენტები კი ნავმისადგომის მახლობელ დუქნებიდან მოჰყავდათ.

თორმეტი წლის ბიჭმა, ჯერ კიდევ მოკლე შარვალი და სასკოლო ფეხსაცმელი რომ მეცვა, ვერ გავუძელი ცდუნებას და ზემო სართულების დათვალიერება მოვინდომე. სანამ მამაჩემი მორიგ დაუმთავრებელ კრებაზე ძალას არ ზოგავდა, მე მივშტერებოდი ღვთიურ სანახაობას. ქალები, განთიადამდე რომ ვაჭრობდნენ საკუთარი სხეულით, დილის თერთმეტიდან იწყებდნენ ოჯახური ცხოვრებით ცხოვრებას. სიცხე მინის გუმბათის ქვეშ აუტანელი იყო და დედიშობილები დადიოდნენ მთელ სახლში, ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებდნენ ღამეულ თავგადასავლებს. შემეშინდა, პირველი, რაც მომაფიქრდა, გაქცევა იყო, საიდანაც შემოვედი, იქიდან უნდა გავიდე. მაგრამ ერთმა ბრგე, ჩასუქებულმა შიშველმა ქალმა, მთის საპნის სუნი რომ ასდიოდა, ზურგიდან შემომხვია ხელი ისე, რომ მის სახეს ვერ ვხედავდი, და თავის მუყაოს საკუჭნაოში წამათრია შიშველი ქალების ტაშისა და მხიარული ხორხოცის თანხლებით.

ქალმა პირქვე დამაგდო ფართო საწოლზე, ოსტატურად ჩამხადა შარვალი და დამიმორჩილა, მაგრამ ცივმა საშინელებამ, რომელმაც სხეული შემიბოჭა, ვერ შეძლო მიმეღო ის, რაც უნდა მიიღოს მამაკაცმა. სახლში მისულს ღამით სირცხვილი მტანჯა და გადატანილი თავდასხმის გამო. წუთითაც არ მომიხუჭავს თვალი, სურვილი მკლავდა კვლავაც მენახა ის ქალი. მეორე დილას, როცა ღამის ქალებს ჯერ კიდევ ეძინათ, მთლად აკანკალებული შევედი იმ სოროში და სიყვარულისგან გაგიჟებულმა და ატირებულმა გავაღვიძე ქალი. სიყვარული გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი არ წაშალა რეალობის ულმობელმა გრიგალმა. ქალს კასტორინა ერქვა და იმ სახლის დედოფალი იყო. პატარ-პატარა ოთახები ხანმოკლე სიყვარულს ემსახურებოდნენ ერთ პესოდ, ამდენივე ღირდა მომსახურებაც დღე-ღამეში. კასტორინამ შემიყვანა თავის უკულმართ, ნაღვლიან სამყაროში, სადაც ქალები იწვევდნენ ჯიბეგახვრეტილ კლიენტებს, სთავაზობდნენ მათ ღარიბულ საუზმეს, საპონს, უყუჩებდნენ კბილის ტკივილს და ჩუქნიდნენ თავიანთ მოწყალე სიყვარულს.

მაგრამ ჩემი ღრმა სიბერის ჟამს უკვე აღარავის ახსოვდა ერთ დროს უკვდავი კასტორინა. არავინ იცის, როდის მოკვდა ან როდის მოასწრო მან მდინარის დაფახფახებული ხის ჯებირის მიდამოებიდან მთავარი დედა-სანის წმინდათაწმიდა ტახტზე აღზევება. რომელიღაც დუქანში ჩხუბისას დაკარგა მან ცალი თვალი და მეკობრესავით ცალთვალახვეული კარგა ხანს იჯდა ის თავის ტახტზე. კასტორინას ბოლო სიყვარული იყო კამაგუეიელი ზანგი სახელად ხონას-კატორლელი, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთ საუკეთესო კორნეტისტად ითვლებოდა ჰავანაში და რომელსაც ერთ-ერთ სარკინიგზო კატასტროფისას სახეზე შეაცივდა თავისი ფართო ღიმილი.

ეს რამდენიმე ხანია გულმა დამიწყო ჩხვლეტა. შინაურულმა წამლებმა და დაზელვებმა ვერ მომიტანეს შვება. აუცილებლობის გამო მივაკითხე ექიმს, რომელიც ცნობილი ოჯახის შვილი და იმ ექიმის შვილიშვილი იყო, მე რომ გამსინჯა ორმოცდაორი წლისა. შემეშინდა, ისე ჰგავდა ეს ექიმი ბაბუამისს. ისეთივე ბებერი იყო, როგორც ის სამოცდაათი წლისა: ნაადრევი სიქაჩლე, უიმედოდ ახლომხედველი კაცის სათვალე და უნუგეშო სევდა თვალებში — ბაბუამისივით. დროდადრო, სანამ ტახტზე მხარს მაცვლევინებდა, ისეთ გაუგებარს შეკითხვებს მისვამდა და თანაც ის სწრაფად, რომ პასუხის მოფიქრებას ვერ ვასწრებდი. ერთი საათის შემდეგ ბედნიერი ღიმილით მითხრა: „მაშ ასე, ჩემი აზრით, მე აქ არაფერი მესაქმება", „ეს რას ნიშნავს?" „ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ასაკთან შედარებით შესანიშნავი ჯანმრთელობის პატრონი ბრძანდებით". „რა საოცარია, — ვთქვი მე. — ზუსტად ასე მითხრა ბაბუათქვენმაც, როცა ორმოცდაორისა ვიყავი. თითქოს დრო ერთ ადგილას დგას". „ზუსტად ასე შეიძლება გითხრან ყოველთვის, — შენიშნა შვილიშვილმა. — რამეთუ ასაკი ასაკია". „და მაინც ყველაფერი მთავრდება სიკვდილით". „დიახ, — დამეთანხმა ის. — მაგრამ არც ისე ადვილია სიკვდილთან მისვლა ისეთი ჯანმრთელი კაცისთვის, როგორიც თქვენ ხართ". გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვერ მოგემსახურებით".

ეს მოგონებები კარგია, მაგრამ ოცდაცხრა აგვისტოს წინა დღეს, როცა თუჯივით დამძიმებული ფეხებით ავდიოდი ჩემი სახლის კიბეზე, ვიგრძენი იმ ასი წლის წარმოუდგენელი სიმძიმე, გულგრილად რომ მელოდებოდა წინ. და მე კვლავ დავინახე ფლორინა დე დიასი, დედაჩემი, რომელიც იწვა სიკვდილამდე თავის საწოლში. მან კვლავაც ისე დამლოცა, როგორც უკანასკნელად, სიკვდილამდე ორი საათით ადრე. ეს იყო ბოლო მინიშნება და მეც მაშინვე დავურეკე როსა კაბარკასს, დღეს საღამოსვე მომიყვანე გოგონა, რადგან ჩემი ოცნება — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გამელია ცხოვრების მეცხრე ათეული, აუხდენელი რჩება-მეთქი. მერე კიდევ დავურეკე რვა საათზე და კვლავაც უარი მითხრა, შეუძლებელიაო. „არ ვიცი მე, შეუძლებელი, უნდა გააკეთო!" — ვუყვირე შეშინებულმა. როსამ ყურმილი დადო, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ დამირეკა.

— [illegible]

როსასთან თერთმეტის ოც წუთზე მივედი და ჩავაბარე ჩემი ცხოვრების უკანასკნელი კარტები. გოგონას მომავალ ცხოვრებაზეც ვიზრუნე ჩემი საშინელი სიკვდილის მერე-მეთქი. როსამ იფიქრა, მის დაწესებულებაში ამას წინათ მომხდარმა მკვლელობამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, და შემომიტია: „თუ სიკვდილს აპირებ, ძალიან გთხოვ, აქ ნუ მოკვდები". „თუ მოკვდები და იტყვი, პუერტო-კოლომბიაზე მატარებელი დაეჯახა-თქო, თუმცა ეს საცოდავი თუნუქის კოლოფი კოლოსაც ვერაფერს დაუშავებს".

ყველაფრისთვის მომზადებული იმ ღამეს დავწექი პირაღმა უკანასკნელი ტკივილის მოლოდინში, ჩემი ოთხმოცდამეთერთმეტე წლის დასაწყისში ზარების შორეული გუგუნი რომ მომესმა, ვიგრძენი გვერდით მწოლ დელგადინას სუნთქვის სურნელი, ჩემს ყურთასმენას მოწვდა ვიღაცის ძახილი ჰორიზონტიდან და ქვითინი იმისა, ვინც შესაძლოა ამ ოთახში მოკვდა ასი წლის წინათ. ბოლო ამოსუნთქვასთან ერთად ჩავაქრე შუქი, ჩემი თითები მის თითებში ჩავხლართე, რათა ასე ხელჩაჭიდებული წამეყოლა თან, სამრეკლოზე შუაღამის ზარებისა და ჩემი უკანასკნელი ცრემლების თანხლებით შევგებებოდი გამთენიის მამლების ყივილს და მაშინ მიდამოს მოეფინა ზარების ხაზეიმო გუგუნი, ცაში აიტყორცნა ფერად-ფერადი შუშხუნები იმის სადიდებლად და აღსანიშნავად, რომ მე ცოცხალი და საღ-სალამათი ვარ ჩემს ოთხმოცდაათ წელთან ერთად.

პირველი, რაც ვუთხარი როსა კაბარკასს, იყო: „სახლს გიყიდი მაღაზიითა და ბაღით". მან მიპასუხა: „მოდი, დავდოთ ბებრების პირობა: ვინც ცოცხალი დარჩება, მის ხელში გადავიდეს მეორის ქონება, და ნოტარიუსთანაც დავამოწმოთ". „არა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი რაც გამაჩნია დარჩება მას". „რა განსხვავებაა. გოგოზე მე ვიზრუნებ. შემდეგ კი ყველაფერს მას დავუტოვებ, შენსასაც და ჩემსასაც. მე ხომ არავინა მყავს ამქვეყნად, მანამდე კი შენს ოთახში დავაყენოთ კონდიციონერი, გავმართოთ კარგი სააბაზანო, შენი წიგნებიც აქ გადმოვიტანოთ და შენი მუსიკაც".

— შენი აზრით, ის თანახმა იქნება?

— აჰ, ჩემო ნაღვლიანო ბრძენო კაცო, შენ ბებერი კი ხარ, მაგრამ იდიოტი ხომ არ ხარ, — როსამ გადაიხარხარა, — ის საბრალო გოგო ჭკუას კარგავს შენი სიყვარულით.

ერთიანად გაბრწყინებული ქუჩაში გავედი და პირველად ცხოვრებაში შევიცანი საკუთარი თავი ჩემი პირველი ასწლეულის ჰორიზონტთან. ჩემი სახლი, მყუდრო და დალაგებული, დილის თხუთმეტ წუთზე იწყებს ბედნიერი განთიადის ფერად-ფერადი შუქით ავსებას. სამზარეულოში დამიანა მღეროდა მთელ ხმაზე. კატაც ცოცხალი და ჯანმრთელია როგორც არასდროს. ფეხზე კუდი შემომხვია და საწერ მაგიდასთან მიმაცილა. მაგიდის დალაგებას შევუდექი, თავ-თავისი ადგილი მივუჩინე გაყვითლებულ ფურცლებს, სამელნეს, ბატის ფრთის კალამს, ამასობაში მზემ ნუშის ხეები გაარღვია პარკში, საფოსტო-სამდინარო გემიც, მთელი კვირა გვალვის გამო შეყოვნებული, გუგუნით შემოვიდა საპორტო არხში. როგორც იქნა, დადგა ჭეშმარიტი ცხოვრება, გული ჩემი გადარჩენილია, ის მოკვდება მხოლოდ დიდი სიყვარულით, მოკვდება ბედნიერ აგონიაში, მოკვდება ერთ მშვენიერ დღეს, მას შემდეგ, რაც ვიცოცხლებ ას წელიწადს.

**მაისი, 2004 წ.**

**ჩანართზე მუშაობდნენ:** ნინო ხოფერია, მამუკა ვამაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი. **მხატვარი** კარლო ფაჩულია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ"

### საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე

*1. საორგანიზაციო დეპარტამენტი*

ა) გასამრავლებელი ტექნიკით მომსახურების ჯგუფი

– უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ჯგუფის მუშაობის სპეციფიკის ცოდნა, სახელმწიფო ენის ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო 220-275 ლარი.

ბ) სტენოგრაფიული განყოფილება

– უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სტილისტად ან კორექტორად მუშაობის გამოცდილება, სახელმწიფო ენის ნორმების სრულყოფილი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 220-275 ლარი.

გ) მთარგმნელობითი განყოფილება

– წამყვანი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, მთარგმნელობითი მუშაობის გამოცდილება, სახელმწიფო ენისა და უცხოური ენის (ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) საფუძვლიანი ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 230-300 ლარი.

– უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, მთარგმნელობითი მუშაობის გამოცდილება, სახელმწიფო ენისა და უცხოური ენის (რუსულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო - 220-275 ლარი.

*2. იურიდიული დეპარტამენტი*

ა) კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ვიზირების განყოფილება

– განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი იურიდიული განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 4 წლის სტაჟი, სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, სასურველია უცხოური ენების (ინგლისურის, რუსულის) ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 290-340 ლარი.

– წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი იურიდიული განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, სასურველია უცხოური ენის (ინგლისურის) ცოდნა, სავალდებულოა კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 230-300 ლარი.

– უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი იურიდიული განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, სასურველია უცხოური ენის (ინგლისურის) ცოდნა, სავალდებულოა კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო - 220-275 ლარი.

ბ) სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილება

– წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი იურიდიული განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, სასურველია უცხოური ენის (ინგლისურის) ცოდნა, სავალდებულოა კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო - 230-300 ლარი.

გ) სარედაქციო განყოფილება

– უფროსი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სტილისტად ან კორექტორად მუშაობის გამოცდილება, სახელმწიფო ენის ნორმების სრულყოფილი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 220-275 ლარი.

დ) სარედაქციო განყოფილების ნორმატიული აქტების მომზადების კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფი

– წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ჯგუფის მუშაობის სპეციფიკის საფუძვლიანი ცოდნა, სახელმწიფო ენისა და კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) საფუძვლიანი ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო - 230-300 ლარი.

*3. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი*

ა) საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განყოფილება

– წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება ინგლისური და ფრანგული ენების ან საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სახელმწიფო დაწესებულებების პროტოკოლის ან საერთაშორისო ურთიერთობის სტრუქტურულ ერთეულში მუშაობის გამოცდილება, სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, უცხოური ენის (ინგლისურის, რუსულის ან ფრანგულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 230-300 ლარი.

ბ) პროტოკოლის განყოფილება

– წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი სამედიცინო განათლება, საჯარო სამსახურში ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სახელმწიფო ენისა და უცხოური ენის (ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (**WINDOWS, WORD, EXCEL, INTERNET**) საფუძვლიანი ცოდნა.
თანამდებობრივი სარგო – 220-275 ლარი.

**კონკურსის ჩატარების წესი და პირობები**

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ან სხვა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში პარლამენტის აპარატის უფროსის წინადადებით აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) აქვს უმაღლესი განათლება;
ბ) არის 21 ან მეტი წლის, მაგრამ არა უმეტეს 65 წლისა;
გ) ფლობს სახელმწიფო ენას;
დ) შეესაბამება თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კონკურსის გამოცხადების დღიდან ორი კვირის ვადაში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე უნდა წარადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) ავტობიოგრაფია;
გ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი (მოწმობასთან ასლის შედარების შემდეგ ასლი რჩება სამდივნოში);
დ) შრომის წიგნაკი და მისი ასლი (შრომის წიგნაკთან ასლის შედარების შემდეგ ასლი რჩება სამდივნოში);
ე) დახასიათება ბოლო სამუშაო ადგილიდან ან სასწავლო დაწესებულებიდან;
ვ) მოქალაქის პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
ზ) ანკეტა (განათლებისა და მუშაობის გამოცდილების აღწერა);
თ) ერთი ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

4. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის პირველი სხდომა ტარდება საჯარო კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის ორგანიზებას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო.

6. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:
ა) I ეტაპზე:
ა.ა) მოწმდება სახელმწიფო ენის ცოდნა პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებით: მოცემულ ტექსტში უნდა გასწორდეს შეცდომები. შედეგი შეფასდება იმის მიხედვით, თუ შეცდომების რამდენი პროცენტი გასწორდა:

| შეფასება | პროცენტული მაჩვენებლი |
|---|---|
| ცუდი | 55%-ზე ნაკლები |
| საშუალო | 55%-74% |
| კარგი | 75%-89% |
| ფრიადი | 90% და მეტი |

ა.ბ) მოწმდება შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების ცოდნა სპეციალიზებული ტესტების მეშვეობით: პასუხი უნდა გაეცეს 100 შეკითხვას. შედეგი შეფასდება იმის მიხედვით, თუ შეკითხვათა რამდენ პროცენტს გაეცა სწორი პასუხი:

| შეფასება | პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---|
| ცუდი | 75%-ზე ნაკლები |
| საშუალო | 75%-84% |
| კარგი | 85%-94% |
| ფრიადი | 95% და მეტი |

ა.გ) ქართული ენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესასრულებლად და საკანონმდებლო აქტების სპეციალიზებულ ტესტებზე პასუხის გასაცემად გათვალისწინებულია 3 საათი. კონკურსანტი, რომელიც პრაქტიკულ სავარჯიშოში ან ტესტირებაში მიიღებს შეფასებას „ცუდი“, II ეტაპზე არ დაიშვება;
ბ) II ეტაპზე მოწმდება შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციაში მითითებული კომპიუტერული პროგრამებისა და უცხოური ენის ცოდნა:
ბ.ა) კომპიუტერული სამომხმარებლო პროგრამების ცოდნა მოწმდება ტესტირების საშუალებით, რომელიც სპეციალური კომპიუტერული პროგრამით უტარდება კონკურსანტს. კონკურსანტის სურვილით დასაშვებია აღნიშნული ტურის გავლა პრაქტიკულად. ტესტირების კომპიუტერულ პროგრამას ეკრანზე მიმდევრობით გამოაქვს ტესტის კითხვები ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. გათვალისწინებულია ათი კითხვა იმ სამომხმარებლო პროგრამებიდან, რომელთა ცოდნა კონკურსანტს ევალება თანამდებობრივი ინსტრუქციით. კონკურსანტის მიერ პასუხის გაცემა და სწორი პასუხების რაოდენობის დათვლა ხდება იმავე კომპიუტერული პროგრამით. თითოეულ კითხვაზე პასუხის გასაცემად პროგრამით გათვალისწინებულია 1 წუთი. ამ დროის გადაცილების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კითხვაზე გაცემულია არასწორი პასუხი, და ეკრანზე ავტომატურად გამოჩნდება შემდეგი კითხვა ოთხი სავარაუდო პასუხით. შედეგი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენ ტესტს (ტესტების რამდენ პროცენტს) გაეცა სწორი პასუხი:

| შეფასება | პროცენტული მაჩვენებელი | ტესტების რაოდენობა Windows, Word, Internet | ტესტების რაოდენობა Windows, Word, Internet, Excel |
|---|---|---|---|
| | | 30 | 40 |
| ცუდი | 55%-ზე ნაკლები | 0-16 | 0-21 |
| საშუალო | 55%-74% | 17-22 | 22-29 |
| კარგი | 75%-89% | 23-26 | 30-35 |
| ფრიადი | 90% და მეტი | 27-30 | 36-40 |

ბ.ბ) უცხოური ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის რუსულის) ცოდნა მოწმდება ტესტირების საშუალებით, რომლის დროსაც ლექსიკონით სარგებლობა დასაშვებია:
ბ.ბ.ა) ტესტირება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში ტარდება ტესტების საშუალებით, რომლებშიც მოცემულია სირთულის მიხედვით დალაგებული 10-10 საკითხი. მე-10 საკითხი არის საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა კანონის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც უმაღლესი შეფასების მსურველმა უხეში შეცდომების გარეშე უნდა თარგმნოს ქართულიდან შესაბამის ენაზე. შედეგი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენ საკითხს გაეცა სწორი პასუხი:

| შეფასება | სწორი პასუხების რაოდენობა |
|---|---|
| ცუდი | 6 ან ნაკლები |
| საშუალო | 7 ან 8 |
| კარგი | 9 |
| ფრიადი | 10 |

ბ.ბ.ბ) ტესტირება რუსულ ენაში ტარდება ტესტის საშუალებით, რომელშიც მოცემულია სირთულის მიხედვით დალაგებული 10 საკითხი. მე-10 საკითხი არის საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა კანონის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც უმაღლესი შეფასების მსურველმა უხეში შეცდომების გარეშე უნდა თარგმნოს ქართულიდან რუსულ ენაზე. ჯამური მაქსიმალური მაჩვენებელია 100 ქულა. შედეგი შეფასდება ოთხბალიანი სისტემით:

| შეფასება | ქულათა რაოდენობა |
|---|---|
| ცუდი | 25 ქულამდე |
| საშუალო | 26-50 ქულა |
| კარგი | 51-79 ქულა |
| ფრიადი | 80-100 ქულა |

გ) III ეტაპზე ტარდება გასაუბრება. კომისია ეცნობა კონკურსანტის ანკეტურ მონაცემებს და მის მიერ პირველ და მეორე ეტაპებზე მიღებული შეფასებების შედეგებს. კონკურსანტი უპასუხებს კომისიის წევრების შეკითხვებს დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

7. კონკურსის ყოველი ეტაპის შემდეგ, მიღებული ცუდი შეფასების მიხედვით, კონკურსის მონაწილეს კომისია უარს ეუბნება კონკურსში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ყოველი ეტაპის შემდეგ, 3 დღის ვადაში კომისია ადგენს მომდევნო ეტაპზე გასულ კანდიდატთა სიას და განსაზღვრავს მორიგი ეტაპის ჩატარების თარიღს.

8. კომისია კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ თავის სხდომაზე, მათ დაუსწრებლად აფასებს ყოველი კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან.

9. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია ატარებს ღია კენჭისყრას.

10. კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე ყოველ კანდიდატს კენჭი ცალკე ეყრება.

11. კონკურსანტს, რომლისთვისაც თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად უცხოური ენის ცოდნა სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო, უცხოურ ენაში ტესტირების გავლის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტთან შედარებით, რომელსაც ასეთი ტესტირება არ გაუვლია.

12. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კომისია წარადგენს კანდიდატს ან უარს აცხადებს მის წარდგენაზე, ასევე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის თანხმობის შემთხვევაში მისი მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის თაობაზე.

13. კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 დღისა წერილობით აცნობებს ყველა კანდიდატს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს კი – კომისიის მიერ კანდიდატის წარდგენის შესახებ ან მის წარდგენაზე უარის განცხადების თაობაზე.

14. კონკურსი ჩაშლილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

<u>შენიშვნა:</u>
1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მოხელეებს თანამდებობის კონკურსის წესის დაცვების შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეცემათ კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატები და პრემია;
2. საბუთების მიღებას აწარმოებს პარლამენტის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნო.

**მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №8, საქართველოს პარლამენტის სასახლე, „C“ კორპუსი, ოთახი №126.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 93-10-21; 99-62-13.**
**ვებ-გვერდი: www.Parliament.ge**

**საჯარო სამსახურის ბიურო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**◎ ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

# გზა შამონიდან — ტურინამდე

მეთერთმეტე ზამთრის ოლიმპიური თამაშები 1972 წლის 3-13 თებერვალს საპოროში (იაპონია) გაიმართა. საასპარეზოდ თავი მოიყარა 35 ქვეყნის 1012-მა წარმომადგენელმა (მათ შორის – 204 ქალი), რომლებიც ჯილდოებს 35 სახეობაში ეცილებოდნენ. ყველაზე დიდი სენსაცია თამაშებზე მასპინძლებმა მოახდინეს: ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენებმა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სამივე სინჯის მედალი დაიმსახურეს. საგულისხმოა, რომ ამ პაექრობაში მეცხრე იყო ცნობილი ბაკურიანელი „მფრინავი ტორპედო" კობა წაქაძე (დაიბადა 1934 წელს), საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი (1953, 1956, 1960, 1962, 1969, 1972 წ.წ.), ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებული, საკავშირო თასის სამგზის მფლობელი, რვა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. კ. წაქაძემ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში იასპარეზა, სადაც XXX ადგილი დაიკავა. ოთხი წლის შემდეგ სკვო-ველიში IX ადგილზე გავიდა. 1964 წელს ინსბრუკში 27-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

მართალია, ქართველმა მოთხილამურემ საწადელი ვერც საპოროში აისრულა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა – საბჭოთა ნაკრების წევრებმა 16 მედლით (8 „ოქრო", 5 „ვერცხლი", 3 „ბრინჯაო") საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს. 14 მედლით (4, 3, 7) მეორე ადგილი გდრ-ის სპორტსმენებს ხვდათ, მესამე ადგილზე 12 მედლით (2, 5, 5) ნორვეგიელები გავიდნენ.

ავსტრიის ქალაქი ინსბრუკი ერთხელ უკვე იყო ზამთრის თამაშების დედაქალაქი. მეორედ ოლიმპიადის მასპინძლობა კი სრულიად შემთხვევით მოუწია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მეთორმეტე ზამთრის თამაშები 1976 წელს ამერიკის ქალაქ დენვერში უნდა გამართულიყო. მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობამ 1972 წელს კოლორადოს შტატში მოწყობილი რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით უარი თქვა ოლიმპიადის მასპინძლობაზე. მაშინ სოკ-მა ინსბრუკი აირჩია, რადგან კარგად ახსოვდა ამ ქალაქში 1964 წლის ოლიმპიადის ჩინებული ორგანიზაცია.

შეჯიბრებაში 37 ქვეყნის 1064 სპორტსმენი (მათ შორის – 215 ქალი) ჩაება. თამაშებზე მედლების 37 კომპლექტი გათამაშდა. მათგან 27 მედალი (13, 6, 8) და გუნდური პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილები გდრ-ისა (19 მედალი – 7, 5, 7) და აშშ-ს (10 მედალი – 3, 3, 4) სპორტსმენებმა გაინაწილეს.



კობა წაქაძე



ერიკ ჰეიდენი

მეცამეტე ზამთრის ოლიმპიადამ ისევ ოკეანის გაღმა გადაინაცვლა. თამაშების მასპინძლობა ამჯერადაც ლეიქ პლესიდმა იტვირთა. ამერიკის მთავრობა არ დაეხმარა ქალაქის ხელმძღვანელობას შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად, ამიტომ ბევრი სპორტული ნაგებობის რეკონსტრუქცია ვერ მოესწრო, ოლიმპიურ სოფელში კი სპორტსმენთა საცხოვრებლად ციხის ახალი შენობა გამოიყენეს.

ყოველივეს მიუხედავად, ორთაბრძოლებში, რომლებიც 1980 წლის 13-24 თებერვალს გაიმართა, 37 ქვეყნის 1077 ათლეტი (მათ შორის – 236 ქალი) მონაწილეობდა.

სენსაციური გახლდათ ციგურებით სწრაფრბენაში ამერიკელი ერიკ ჰეიდენის გამოსვლა, რომელმაც ერთბაშად ხუთ დისტანციაზე გაიმარჯვა. საგულისხმოა, რომ ჰეიდენმა 1985 წელს ამერიკის ჩემპიონობა მოიპოვა პროფესიონალებს შორის, მომდევნო წელს კი ტურ დე ფრანსშიც მონაწილეობდა. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ სახელოვანმა ათლეტმა ექიმის პროფესია აირჩია.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი გდრ-ის ნაკრებმა დაიმსახურა – 24 მედალი (10, 7, 7). საბჭოთა სპორტსმენები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ – 22 მედალი (10, 6, 6), ამერიკელებს 12 მედლით (6, 4, 2) მესამე ადგილი ხვდათ.

**ვაჟა დანელია**

**◎ რაგბი**

## საქართველო — რუსეთი

**დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში საქართველოს ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. პრინციპული შეხვედრა 15 საათზე დაიწყება. უამინდობის მიუხედავად, იმედია, გულშემატკივრები სტადიონზე მოსვლას და ბორჯღალოსნების გამხნევებას არ დაიზარებენ. ჩვენს გუნდს ეს გამარჯვება ძალიან სჭირდება, რადგან, მოგეხსენებათ, ხუთი ტურის შემდეგ საქართველოს, პორტუგალიისა და რუმინეთის მორაგბეებს 8-8 ქულა აქვთ.**

**◎ ძიუდო**

## ახალ ტატამზე იჭიდავებენ

**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე 4-5 თებერვალს ძიუდოში მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ამ ტურნირისთვის მერიამ სასახლეში კოსმეტიკური რემონტიც ჩაატარა, კერძოდ, მოწესრიგდა გასახდელები, სველი წერტილები, საშხაპეები, სავარჯიშო დარბაზი. ფედერაციამ დაამზადა ახალი კვარცხლბეკი, რომელზეც პრიზიორთა ფეხის შედგმისთანავე სათანადო ნომერი აინთება. საფრანგეთში შეიძინეს ულტრათანამედროვე ტაბლო, რომელიც ძალიან ძვირი დაჯდა.**

ევროპის ძიუდოს კავშირმა წლეულს ტატამის დიზაინი შეცვალა – საფრანგეთიდან ჩამოტანილ ახალ ტატამს წითელი ზოლი აღარ აქვს. რადგანაც თბილისის ტურნირი ძიუდოისტთა პირველი ევროპული შეჯიბრებაა, ახალ სარბიელსაც აქ მოსინჯავენ ფალავნები.

გუშინ საღამოსთვის 16 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ თბილისში ჩამოსული. დღეს შეჯიბრებაში მასპინძლები ოთხი ნაკრებით ჩაებმებიან. ორ-ორი გუნდი ეყოლებათ რუსებს, ფრანგებს, ბერძნებსა და უკრაინელებს. რაც შეეხებათ იაპონელებს, მათს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორები – ტაკაში ონო და იოშეი ტაკაი. ასევე, ძიგარო კანოს წლევანდელი ტურნირის გამარჯვებულები – ჰიროიუკი აკიმოტო და ტაკამასა ანაი. სხვა ბევრსაც ვიხილავთ სახელოვან მოჭიდავეებს. შეხვედრები 10 საათზე დაიწყება. ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონიალი 17 საათზეა დანიშნული. ბილეთები 1 ლარი ღირს.

**გიორგი გაგუა**

**◎ დარბაზის ფეხბურთი**

## „იბერიას" ბრაზილიელი წვრთნის

**ძალიან** დასანანია, რომ საქართველოს ფუტსალის (დარბაზის ფეხბურთი) XII ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც ტრადიციულად „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში იმართება, მაყურებელთა თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა ესწრება. არადა, ნებისმიერი მატჩი საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ცხრავე



კლუბის მწვრთნელი ერთხმად აღიარებს, რომ 2005-2006 წლების ჩემპიონატს აშკარად აკლია რეკლამა და მის მსვლელობას თითო-ოროლა გაზეთი თუ აშუქებს.

სენსაცია მოხდა მესამე წრის მეორე ტურის კალენდარულ მატჩში, როცა ოქროს მედლებისათვის მებრძოლმა „საბურთალომ" – 4:10 წააგო „ბერმუხას" (აგრარული უნივერსიტეტი) კლუბთან. ამით ჩინებულად ისარგებლეს გათამაშების ლიდერის – „ცენტრპოინტის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით – 12:2 სძლიეს „ქართლს" და კიდევ უფრო განიმტკიცეს წამყვანი პოზიცია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს „იბერია-2003", როგორც იქნა, სათავეში ჩაუდგა 35 წლის ბრაზილიელი, ფუტსალის უდავოდ გამოცდილი სპეციალისტი მარსელო ამარალი. მისი დებიუტი ახალ თანამდებობაზე წარმატებული გამოდგა – ჩემპიონმა დიდი ანგარიშით – 7:2 მოუგო „იმედს". ამავე ტურში „ნიკორამ" 8:2 სძლია „ბერმუხას".

მესამე წრის IV ტურში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის „ცენტრპოინტისა" (მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი) და მისი მთავარი მეტოქის – „საბურთალოს" პაექრობამ. ეს გახლდათ XII ჩემპიონატის უმშვენიერესი მატჩი, რომელიც უკომპრომისო, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ანგარიში „საბურთალოს" თავდამსხმელმა ლევან ზუმბაძემ გახსნა. მალე ბექა ნეფარიძემ დუბლი შეასრულა – 2:1 და წინ გაიყვანა „ცენტრპოინტი". პირველი ნახევრის მიწურულს საბურთალოელმა ბაჩანა კობიძემ მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა ანგარიშში – 2:3.

მეორე 20 წუთის დასაწყისში შოთა კუბლაშვილმა მეოთხედ აილო მეტოქეთა კარი – 4:2. „საბურთალოს" მოთამაშეები შეუპოვრად უტევდნენ ლიდერის კარს და იმავე ლევან ზუმბაძემ კვლავ შეამცირა სხვაობა ანგარიშში – 3:4. ამ დროს არასპორტული საქციელისათვის მსაჯებმა მოედანი დაატოვებინეს საბურთალოელ გოგა გუნიას. „ცენტრპოინტმა" არა მარტო შეინარჩუნა სასურველი ანგარიში, არამედ მეხუთე ბურთიც მოათავსა მეტოქეთა კარში და 5:3 მოიგო შეხვედრა. ბრაზილიელმა სპეციალისტმა მარსელო ამარალმა მაღალი შეფასება მისცა განვლილ ასპარეზობას და აღნიშნა ორივე კლუბის მოთამაშეთა მაღალი ტექნიკა. მისმა დამოძღვრილმა „იბერიამ" კი 11:3 დაამარცხა „აჭარის" გუნდი.

XII ეროვნულ ჩემპიონატს 52 ქულით ლიდერობს „ცენტრპოინტი". მესამე ადგილიდან, მეორე საფეხურზე აინაცვლა „იბერია-2003"-მა, რომელსაც 47 ქულა აქვს. 42-42 ქულით III-IV ადგილებს იყოფენ „საბურთალო" და „ნიკორა". თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა კვარტეტმა უკვე გაინაღდა საჩემპიონო პლეი-ოფებში გამოსვლის უფლება.

**შალვა ძირია**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

**◎ მსოფლიო ჩემპიონატი – 2006**

## განვაგრძობთ მომავალი მუნდიალის ფინალისტთა წარდგენას

## 10. ჩეხეთი

**ჩეხეთის (მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის) ნაკრები ორჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე: 1934 და 1962 წლებში. ბუკმეკერების ფსონი – 21.00.**

მას შემდეგ, რაც ჩეხეთის ნაკრები ზედიზედ ორჯერ ვერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში, იოზეფ ხოვანეცი გაათავისუფლეს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მის ნაცვლად მიიწვიეს კარელ ბრიუკნერი, რომელიც მანამდე ხოვანეცის თანაშემწედ მუშაობდა. ჯერ იყო და ჩეხეთის ნაკრები ბრიუკნერის ხელმძღვანელობით ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, რაც მის წარმატებად ჩაითვალა. და აი მეორე აღმავლობაც: მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში თამაშის უფლების მოპოვება.

ნაკრების უდავო ლიდერია „იუვენტუსის" განთქმული ნახევარმცველი პაველ ნედვედი. თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელს არასოდეს უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატში. 2004 წლის ევროპის პირველობის შემდეგ ნედვედი გამოეთხოვა ნაკრებს, მაგრამ ჩეხეთის ფეხბურთის მესვეურების (და გულშემატკივრების) დაჟინებული თხოვნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა, რამაც დადებითად უნდა იმოქმედოს გუნდის შემდგომ გამოსვლებზე. დაუმატეთ მას როსიცკი, კოლერი, ბაროში და მეკარე ჩეხი და მიხვდებით, როგორ ძალას წარმოადგენენ ჩეხები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ენციკლოპედია

# მთელი სპორტი ერთ წიგნში

ასეთი შანსი ადამიანს მთელ ცხოვრებაში შეიძლება არც კი მიეცეს. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს მიეცა და მანაც თანამოაზრეთა დახმარებით დიდებულად გამოიყენა იგი.

„სპორტის ენციკლოპედიაზე“ მოგახსენებთ, რომელიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თავისი მასშტაბურობითა და პროფესიულობით უნიკალური გამოცემაა და, ვიმედოვნებთ, მუდმივ ადგილს



დაიკავებს წიგნიერი საზოგადოებრიობის სამუშაო მაგიდაზე.

რუდუნებით შექმნილი 700-გვერდიანი ნაშრომი სამკილოგრამნახევარს იწონის და მას თამამად უწოდებ კაცი მთელ სპორტს ერთ წიგნში, რამეთუ მოიცავს 2500-მდე სტატიას, 4000-მდე ფოტოს, 500-ზე მეტ ნახატს, ნახაზსა და ცხრილს, სპორტის ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური სახეობის ისტორიას, წესებს, მთავარ შეჯიბრებებს, ფედერაციებსა და სტატისტიკას, მსოფლიოს ხალხთა 150-ზე მეტ ტრადიციულ, აგრეთვე სპორტის ტექნიკურ და ექსტრემალურ სახეობებს, 50-მდე ქართულ ეროვნულ თამაშობებს, ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიადის მიმოხილვას, ჯამურ ცხრილებს, საქართველოს წარმომადგენელთა შედეგებს, 1000-მდე ჩვენი თანამემამულე და უცხოელი სპორტსმენის დოსიესა და ფოტოს, სპორტულ ტერმინთა განმარტებებს, ინფორმაციებს უმთავრეს რეგიონულ და კომპლექსურ საერთაშორისო ასპარეზობებზე, 100-მდე საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციაზე, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჰოკეის უძლიერეს კლუბებზე, ევროპის ქვეყნებზე, სპორტულ ბაზებზე, ზაფხულის ყველა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სრულ სიას, რეკორდებს... მოკლედ, პასუხს ყველა კითხვაზე.

დაგვეთანხმებით, ასეთი ნალვაწი სიტყვიერ აღიარებასთან ერთად შესაბამის სახელმწიფო ჯილდოსაც იმსახურებს და კარგი იქნება, თუ ანალოგიური სახელმძღვანელოს შექმნას სხვა დარგების წარმომადგენლებიც შეეცდებიან.

არანაკლები სამადლობელი ეკუთვნით რვაწლიანი მარათონის სპონსორებსა და პარტნიორებს, რომელთა თანადგომის გარეშეც იდეა ხორცშეუსხმელი დარჩებოდა. ამიტომაც სიამოვნებით დაგისახელებთ საქართველოს ოლიმპიურ ფონდსა და, განსაკუთრებით,



მის თავკაცს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, „ბორჯომს“, „ჯეოსელს“, „ბრიტანეთის ავიახაზებსა“ და „ჯორჯია ონლაინს“.

და ბოლოს, ვფიქრობთ, სამართლიანობა მოითხოვს პროექტის ავტორთან და მთავარ რედაქტორთან – ელგუჯა ბერიშვილთან ერთად გაგაცნოთ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი, ვისმა ძალისხმევამაც მომავალ თაობებს საამაყო სტრიქონები დაუტოვა: ზურაბ მეძველია (რედაქტორი), სარედაქციო-საკონსულტაციო საბჭო: ემზარ ზენაიშვილი (თავმჯდომარე), ნუგზარ შატაიძე, ირაკლი ლომოური, ირაკლი მეძმარიაშვილი, დავით ჭელიძე, გიორგი ქორქია, პაატა ნაცვლიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი.



* * *

„ეს არის ქართული სპორტის წარსულსა და მომავალს შორის გადებული ხიდი, წიგნი – მატიანე“, – აღნიშნავს წინათქმაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი. ჭეშმარიტად! და რადგან ასეა, სავსებით ლოგიკური გახლდათ ის ფაქტი, რომ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ „სპორტის ენციკლოპედიის“ პრეზენტაციაზე არაერთხელ გაისმა ქართული სპორტული ჟურნალისტიკის მესაძირკვლეების – მიხეილ კაკაბაძისა და ოლიმპიური ენციკლოპედიის შემდგენელ-გამომცემლის ნოდარ გუგუშვილის გვარები.

**გია პლატონიშვილი**

სურათებზე: პრეზენტაციის ფრაგმენტები.
რობერტ ბაგოიანის ფოტო

სანთელი

# თენგიზ (მიხო) მიქაძე



კიდევ ერთი ვეტერანი ფეხბურთელი გახდა მარადისობის ბინადარი – 74 წლისა გარდაიცვალა თბილისის პოპულარული გუნდის – ოფიცერთა სახლის („ტოდო“) მარჯვენა გარემარბი, ტყავის ბურთის სახელოვანი ოსტატების – გიგა ნორაკიძის, თენგიზ მელაშვილის, ბორის სიჭინავას და სულიკო თორაძის ღირსეული პარტნიორი თენგიზ (მიხო) მიქაძე.

მწვანე მინდვრის რაინდმა მრავალი, კეთილად მოსაგონარი ეპიზოდი დაუტოვა ძველი თაობის გულშემატკივრებს.

ღმერთმა სასუფეველში დაუმკვიდროს ადგილი.

*სურათზე: გასული საუკუნის 50-იანი წლები. თბილისის „ტოდო“ ირანული ტურნეს ერთ-ერთი მატჩის წინ. მარჯვნიდან მეორე – თენგიზ (მიხო) მიქაძე.*

*ფოტო განსვენებულის არქივიდან.*

ორბიტაზე

## ევროპის სიმბოლური ნაკრები



სპორტულ გამოცემათა ევროპის ასოციაციამ (ESM) გამოაქვეყნა იანვრისათვის ევროპის სიმბოლური ნაკრები ფეხბურთში კონტინენტის ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით.

ტრადიციული ყოველთვიური გამოკითხვის შედეგად ნაკრებმა ასეთი სახე მიიღო: კუპე („ლიონი“ – 4 ხმა), პუიოლი („ბარსელონა“ – 3), კანავარო („იუვენტუსი“ – 7), კარაგერი („ლივერპული“ – 5), მანჩინი („რომა“ – 4), ტოტი („რომა“ – 7), კამბიასო („ინტერი“ – 4), მესი („ბარსელონა“ – 7), ტრეზეგე („იუვენტუსი“ – 6), ტონი („ფიორენტინა“ – 6), რობინიო („რეალი“ – 5).

## სახალისო ონომასტიკა

თუ ინგლისელი ხარ და თანაც ვაჟიშვილი შეგეძინა, ალბათ მასში ფეხბურთის მომავალ ვარსკვლავს დაინახავ და სახელსაც შესაფერისს შეურჩევ, რათა ეს ოცნება აგისრულდეს.

ყოველ შემთხვევაში ასეთ დასკვნამდე მივიდა სააგენტო Littlewoody Football Pools, როდესაც თავისებური „საფეხბურთო“ სახელების რეიტინგი შეადგინა.

გამოკვლევის ავტორებმა გადაქექეს 1872 წლიდან ინგლისის ნაკრებების შემადგენლობა, მასში კი ათასზე მეტი მოთამაშე იყო და წარმოგვიდგინეს „საუკეთესო“ სახელების ასეთი ათეული – ჯონი ერქვა 97 ფეხბურთელს, უილიამი – 66, ჯორჯი – 47, ჯეიმსი და ტომი – 40-40, რობერტი – 29, არტური – 27, დევიდი – 26, ჯოზეფი – 25, ფრედერიკი – 24-ს.

სხვათა შორის, თანამედროვე ინგლისელი გულშემატკივრები ხშირად გაჰყვირიან ტრიბუნებიდან: „ეშლი კოული ერთადერთია!“ თურმე ეს ჭეშმარიტებაა ნაკრების ისტორიაში სხვა ეშლი ვერ აღმოაჩინეს.

## ოლიმპიური დროშა – ციხეზე




გუშინწინ ტურინში – ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში, ოლიმპიური დროშა აღიმართა სკოლებსა და ციხის შენობებზეც. ორგანიზატორების აზრით, ამან უნდა გამოხატოს მთელი ხალხის ერთიანობა გრანდიოზული სპორტული დღესასწაულის წინ.

პატიმრებს დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცეს. მათ კი, თავის მხრივ, საორგანიზაციო კომიტეტს მიართვეს ოლიმპიადისადმი მიძღვნილი საკუთარი ხელნაკეთები.

## არნახული კარნავალი

როგორც თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორები ამბობენ, ასეთი იქნება „სექსუალური კარნავალი“, რომელიც ტურინში თამაშების გახსნის დღეს მოეწყობა.

ქალაქის ცენტრში საგამოფენო კომპლექსი ფართოდ გაუღებს კარს ეროტიკულ გამოფენას. ექსპოზიციის 70 სტენდზე, შეიძლება, იხილოთ სულ ცოტა 50 პორნოვარსკვლავი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცოცხალ სტრიპწარმოდგენაში. [illegible] უამრავი სიურპრიზი ელით, მათ შორის ზეიმში „სექსუალური კარნავალი“.

## პელე ცუდი მამაა?

როგორც ამას წინათ ვწერდით, ბრაზილიაში ერთ-ერთი ციხიდან დეკემბერში გაათავისუფლეს ედისონ ჩოლბი დე ნასიმენტო (ედინიო) – „ფეხბურთის მეფის“ პელეს ვაჟიშვილი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი.

და აი, ცნობილი გახდა, რომ ხუთშაბათს სანტოსის პოლიციამ დააპატიმრა შვიდკაციანი ჯგუფი, მათ შორის პელეს შვილიც.

დეკემბერში თითქმის მთელმა ბრაზილიამ ნახა, თუ როგორ ტიროდა ციხეში მისული მათი კერპი და როგორ იფიცებოდა ედინიო, რომ ნარკოტიკებს აღარ გაეკარებოდა. თუმცა დიდი მამის შვილი ცრუობდა.




პოლიცია განაგრძობდა პელეს გზასაცდენილი შვილის თვალთვალს. სატელეფონო საუბრის მოსმენისას ის დარწმუნდა, რომ ერთ დროს „სანტოსის“ მეკარეს დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი არ გაუწყვეტია. ახლა მას ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მოელის.

## ბოლოს და ბოლოს დაქორწინდი!

მიუხედავად თავისი 55 წლისა, ავტორბოლების „ფორმულა-1“ საჯინიბოს „რენოს“ პატრონი ფლავიო ბრიატორე დიდ მექალთანედაა ცნობილი: ის ისეთ გოგონებზეც არ ამბობს უარს, ასაკით მისი ქალიშვილის ხნისანი რომ არიან. აი, თუნდაც, იტალიაში ცნობილი 26 წლის მოდელი ელისაბედ გრეგორაჩი. სწორედ მან უამბო ჟურნალისტებს მათ ურთიერთობაზე, უკვე ორ თვეს რომ გრძელდება.

ალბათ თავად ბრიატორესაც გაუჭირდება ყველა იმ ქალის ჩამოთვლა, მის „ხელში რომ გაუვლია“. მათ შორის ხომ ბევრი ძალზე ცნობილი პიროვნებაა – თუნდაც სახელგანთქმული მოდელები ნაომი კემპბელი და ჰაიდი კლუმი. ბრიატორეს ახალი გულისვარდი ამბობს, რომ მას სულაც არ აშინებს თავისი შეყვარებულის დიდი „გამოცდილება“. – „რაც იყო, წარსულს ჩაბარდა, – ამბობს ელისაბედი, ჩვენ ძალზე მოგვწონს ერთმანეთი. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ. და ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“.

იქნებ, სწორედ გრეგორაჩიმ აიძულოს 55 წლის ბრიატორე ცოლის შერთვას?



◎ დღევანდელ ტალღაზე

# რეკლამები

**მიშა ანდღულაძეს**

*მიშა თავის კაბინეტში ზის. ჟურნალს ჩაჰკირკიტებს. რეკავს ტელეფონი.*

მიშა: ალო, ალო... რომელი ხარ? რომელი ოფელია, ჩემი ცოლი? არა, არა, სხვა ოფელია როგორ მეყოლება. ჟურნალში შექსპირზე ვკითხულობდი. ჩემს პირველ ცოლს რა ერქვა? ჯულიეტა. რას მეუბნები? შექსპირის პერსონაჟებს რას დაერიე, იძახი. ბოდიში ქალბატონო, ანი ბალზაკის პერსონაჟებზე გადავალ. რა გატირებს, ქალო! რა გაშფოთებს, რა... ბავშვმა ჩაისველაო? რა მოვიტანო? პამპერსიო? რადიოს უსმენო, ამბობ. რა რეკლამებია. ხომ გითხარი, ნუ უსმენ რადიოს-მეთქი. მაგ რეკლამებმა ჯიბე დამიცარიელა. კიდევ რა მოვიტანო, რა მითხარი? სან-ფეიფაო? ეგ რა ჯანდაბაა! ხელსახოციო? კი მაგრამ... სულ კაბაზე არ იწმენდდი ხელებს?! შედეგი ფეხი კულტურაში, არა? და მღუპავ შენი რეკლამებით, არა?! რაო, ახლა რა რკლამა გადისო, რას ამბობ? „ნაბეღლავი" ჯობიაო? მერედა, სვი მაგი, სულ კონიაკით რომ სვდები! ბიჭმაც მაგი სვას, სულ ლუდით რო იბერება და მერე წარამარა ასველებს შარვალს. რა დროს მაგის ლუდია!

კიდევ რა რეკლამა გადისო, რა თქვი? ზეთი „ტექსუნიო?!" ო, მაგი არ გინდა! ერთმა ექიმმა მითხრა, კიბოს აჩენსო. და კიდევ: ჯანმრთელობისთვის საზიანოაო ზუთხი და ხიზილალა. არ მიეკარო მაგათ! რა ფული მოგიტანო, ქალო! პახმელიიდან უნდა გამოვიდეო, იძახი! შენი ამბავი რო ვიცი, გამოხვალ და ისევ შეხვალ მერე. რაო? თავი მიტრიალებსო, იძახი! იტრიალოს, რა გენაღვლება. დედამიწაც ხომ ტრიალებს. პოდა, იტრიალე შენც მასთან ერთად.

ყურმილს დაკიდებს. ჟურნალს ათვალიერებს.

ისევ რეკავს ტელეფონი.

**მიშა:** ალო, ალო... ვინ ბრძანდებით? აგენტი? ბატონს ნუ მეძახი, თორემ ვილაცეეებს მემამულე ვეგონები და ბენდუქიძე ძებნას დამიწყებს. რა ვარო? რეკლამების აგენტიო? ასე გეთქვა, შე კაცო. რას გვთავაზობ? სამი მანქანა „ჟოზეფინა" გაქვთ თუ გყავთ? სამს რა გაუძლებს... ერთიც მეყოფა. რაო, რაო, სამი მანქანა მსხალი ჟოზეფინაო. მე მეგონა... ძლივს არ გავიხარე?! მსხალი თქვენ გქონდეთ. ქალის კალგოტკებიო... არა, არ გვინდა. რაო, ცოლისთვის მაინც ვიყიდო? ცოლს ტიფას ვუყიდი. გველივით ენა აქვს და იმიტომ. ჰო, ჰო... სულ იკბინება. რა თქვი, კიდევ რა გვაქვსო? „გალინა ბლანკა?" „ოო, მაგი მისწრებაა ახლა, ამ ყინვაში. ქერათმიანია? (ხელისგულებს აუსვ-დაუსვამს) როგორი? წითელიო? ოთხკუთხა, აგურისფერიო? აა, კუბიკებიო. ქალი გყავდათ, მე მეგონა...

გაბრაზებული დაახეთქებს ყურმილს. დაჯდომას ვერ ასწრებს, ისევ რეკავს ტელეფონი.

**მიშა:** ალო, ალო... ვანო ხარ? ჰოო? არა მიშავს. ხმა? გრიპი მაქვს — გოჭის გრიპი დამემართა. დედისერთა ქათამი მყავდა. შეუძლოდ გახდა და დავკალი. გადაგდება დამენანა და გოჭს შევაჭამე. მერე გოჭიც დავკალი და... გოჭს ხომ არ გადავაგდებდი. იმ მამაძაღლმა ქათამმა, როგორც ჩანს, გოჭი გამოიარა და მე მეტაკა. არ შეჭამო ქათმის ხორცი! რაო? ინდაური დაკალი? დღეს ვერ მოვალ. ერთი ბარკალი შემინახე. დანარჩენი შენ შეჭამე. დაგაკვირდები. გრიპიანი თუ გამოდგა, ოფელიას წავუღებ ჩემ წილ ბარკალს. დაიხსომე, ქათმის ხორცს არ მიეკარო. რაო? სიდედრმა გაჩუქა ქათამი? ახლა შენ სიდედრის გრიპიც არ გაგვიჩინო, თორემ, მაგათ მერე რა დახოცავს. ქათამი არ იყოლიო. იყოლიე ჩხართვი, სინდიოფალა, ყარყატი. მაგათ გრიპი არ უჩნდებათ, თუ მამალმა ქათამმა არ აკოცა და კუჭის წვენი არ ამოუღო. კარგად ახლა...

**ანზორ გვარამია**



ვ. ჭუმბურიძის ნახატი.

*—გვიშველეთ, ხალხნო, ბამბა და იოდი ხომ არა გაქვთ, ჩვენი აფთიაქის გამგემ ხელი გაიჭრა!*

◎ ანეკდოტები

**მთავრობასაც** უნდა ჰქონდეს შეცდომების დაშვების უფლება, მაგრამ ისინი ასე დადებითად არ უნდა აისახებოდეს მისი წევრების ოჯახთა ბიუჯეტზე.

* * *

**სავაჭრო** ქსელში გამოჩნდა ასფალტი „ლეგო". იგი სწრაფად დაიგება პრეზიდენტის სტუმრობის წინ და ასევე სწრაფად ალაგდება მისი წასვლისთანავე...



* * *

– უკვე ექვსი წელიწადია თქვენს ფირმაში ვმუშაობ და ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ მომითხოვია ხელფასის მომატება, – ამუნათებს თანამშრომელი ფირმის მეპატრონეს.

– დიახ, თქვენ მართლაც ყველაზე დიდი ხანია, ჩვენს ფირმაში მუშაობთ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ხელფასის მომატება არ მოგითხოვიათ.

* * *

**კაიფიდან** ჯერაც გამოუსვლელი ნარკომანი ქუჩაში მამაკაცს მიადგება:

– ძმაკაც, დღეს სამშაბათია?

– არა, ხუთშაბათი.

– ხვალ სამშაბათი იქნება?

– არა, პარასკევი.

– აბა, გუშინ რატომ იყო სამშაბათი?

– გუშინ ოთხშაბათი იყო.

– მოიცა რა, თუ ძმა ხარ, შენი აზრით, სამშაბათი არასოდეს არ იქნება?

◎ დინჯად...

# კახელები ხუმრობენ

– გიო, კაცო, რამდენჯერ უნდა გითხრა, ე ოხერი ნათურები რო გადაიწვა, ყიდვა არ უნდა?

– დედაკაცოო, ვიყავი, მთელი გურჯაანი შამოივიარე, მაგრამ კვირადღეა და მაღაზიები დაკეტილი იყო.

– მერე, თელავში ვერ აირბინე?

– იქ რა, ორშაბათი იქნებოდა?!

* * *

**მიხო** ეზოში ვირს ჭადრაკს ეთამაშება. მეზობელმა გამოიარა და ეუბნება:

– ვა, მიხო, რა ჭკვიანი ვირი გყოლია.

– ჭკვიანი კი არა, დედისამისამა, ორით-ერთი მიმყავს ანგარიში...

* * *

**მოხუცი** ბახჩო თელავის ბაზარში ჩამომჯდარა და საკუთარი ხელით გამოთლილ შიბაქებს ჰყიდის. ვილაც ქალს უნდა იყიდოს, მაგრამ თან გული ეთანაღრება:

– ეს შიბაქი რაღაც პატარა მეჩვენება.

– ქალო, – ეუბნება ბახჩო, – ეგ ბავშვისაა, შენთვის თუ გინდა, აგე ქვემოთ იყიდება.

* * *

**წინანდლელ** გიგუშას ქიზიყიდან მეგობრები ეწვივნენ. გიგუშამ სახელდახელო სუფრა გაშალა და სტუმრებს ჭიქები კახურად (სანახევროდ) შეუვსო.

ქიზიყელებმა მასპინძელს ერთ-ორ სადღეგრძელოზე კი აცალეს, მაგრამ მერე შებედეს: ძმაო, გაავსე სასმისები, თორემ ნაკლულმა ჭიქებმა ჰაერის შეყოლა და მუცლის ბუყბუყი იცის.

**შეკრიბა**
**ოტია ჩართოლანმა**

◎ ლექსად...

## ჰიმნი ლობიოს

ჩვენო მკვლელო,
ჩვენო მხსნელო,
ჩვენი კუჭის გამვსებელო,
შენს იმედზე ცხოვრობს მთელი
ამერ-იმერ საქართველო.
შენ გეკუთვნის მხოლოდ ხოტბა,
გადამრჩენო ჩვენი ერის...
შენს გამოა ქართველი რომ
ყველა მხრიდან კარგად მღერის.

* * *

სოროსისგან მტერ-მოყვარეს
ქრთამები აქვთ მიღებული
და ანგრევენ საქართველოს
ხელებდაკაპიწებული.

## წკიპურტ-პანღურები

* * *

გაყინულია ფანჯრები ლურჯად,
ვსხედვართ და ვუცდით, როდის დათბება,
ისე, იონჯას რომ უცდის ლურჯა,
სანამ შიმშილით
სული გასძვრება.

არადა, არ ჩანს გამონათება,
უკუნი სუფევს გვირაბის ბოლოს,
პოლიტიკაში აღარ დათბება,
სიმართლე თუ
არ იმღერებს სოლოს.

სანამ საქმეში ერევა ეშმა,
ფული და ქონი დაახრჩობს
მდიდრებს,
ქურდი დაატკბო ცხოვრების ეშხმა
და ელიტარის სავარძელს ირგებს.

* * *

იმის ნაცვლად, ვისაც ძალუძს
საქართველოს აღზევებდეს,
სასახლეებს იშენებენ,
ბედრკულ ქვეყნის
ნანგრევებზე.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

◎ ცრუმეცნიერების დემონები




*შესაძლებელი კია, შევაჩეროთ სადღეისოდ ქვეყანაზე თავსდატეხილი ყველა ჯურისა და წოდების მოჩვენებების, ჯადოქრების, წინასწარმეტყველთა, განმკურნებელთა შემოსევა?*

*ტელეპატიას, სულთა იმქვეყნიურმოგზაურობას და სხვა სასწაულებს დღეს ხომ ისევე მშვიდად განიხილავენ, როგორც დოლარის კურსსა და ამინდის პროგნოზს. სამედიცინო უმეცრებაში ბიზნესი ხომ ასეულობით მილიონ დოლარს ატრიალებს.*

*აფერა შეუცნობადი ენერგიის გენერატორების გამოყენებით თითქმის ღიად ხორციელდება „დიდი გზის სწავლულთა" ორგანიზაციების მიერ.*

◎ მიშ(ა)ველეთ!

ვინმე რომ მიშ(ა)უამდგომლებდეს და მიშასთან შემიშ(ა)ვებდეს, სიტუაციას დავამიშავებდი... ვეტყოდი, რომ მე, ჟურნალისტს, არაფერი დამიშავებია და ნუ ჩამიშ(ა)ვებენ, ნუ გამაგდებენ ქუჩაში, ნუ დამტოვებენ უმიშავარს, ნუ დამსვამენ უფლავოდ და უქიშმიშ(ა)ოდ.

ეგებ თავადაც გადამიშალოს პრეზიდენტული გული და ამიხსნას, თუ რატომ მაკარგვინებენ სამიშაოს ...



არადა, გადმოვდგები საკრებულოს რევოლუციური აივნიდან, თავისუფლების მოედნის თავზე, ერთ ხელში ხუთჯვრიან დროშას ავაფრიალებ, მეორეში ვარდებს დავიჭერ და ვიკივლებ:

— მიშ(ა)ველეთ! მიშ(ა)ველეთ! მიშ(ა)ველეთ!!!

**გელა თელია**

◎ ელდა...

# ტკბილი სიზმრების მოსაგვარებლად

**(ნაწყვეტი ღამის საინფორმაციო ტელეგადაცემიდან)**

**ერაყში** მორიგი ტერაქტი მოხდა: კამიკაძე ტერორისტმა მეჩეთთან თავი აიფეთქა. დაიღუპა 25 და დაშავდა 19 ადამიანი.

ინდონეზიის სანაპიროსთან ჩაიძირა ბორანი. 55 მგზავრი დაიხრჩო, 43 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

კალიფორნიის შტატს თავს დაატყდა ქარიშხალი „ხათუნა". დანგრეულია ასობით სახლი, უშუქოდ დარჩა 100 ათასი მცხოვრები. გუბერნატორმა შტატი უბედურების ზონად გამოაცხადა.

დავუბრუნდეთ საქართველოს. მესტიის რაიონში ჩამოწოლილმა ზვავმა 5 სახლი დაიტანა. 17 მძიმედ დაშავებული ბინადარი გადაყვანილია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

გალის რაიონში აფხაზმა ბოევიკებმა ქართული ოჯახი დააყაჩაღეს, მძევლებად აიყვანეს და ოჩამჩირის მიმართულებით გაიტაცეს ოჯახის უფროსი და მისი უმცროსი ვაჟი. მოგვიანებით გამოსასყიდად 100 ათასი დოლარი მოითხოვეს.

ზესტაფონი-ხაშურის გზატკეცილზე, სოფელ ძირულასთან მდინარეში გადაიჩეხა მიკროავტობუსი. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

ღამით თბილისში იქროლებს ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარი. მოსალოდნელია კოკისპირული წვიმა.

მშვიდობიან ღამეს გისურვებთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო!

**ჩაიწერა**
**თამაზ ილმელმა**



გიგლა ფირცხალავას ნახატი.

*—სად მიდის, შვილო, ეს ავტობუსი?*
*— ქელეხში, დედი!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

◉ სულთათანა

# ზურაბ ჟვანია

უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა საქართველოს ნამდვილი ღირსეული შვილის, სამაგალითო მოქალაქის ბატონ ზურაბ ჟვანიასა და მისი უახლოესი მეგობრის რაულ უსუპოვის ტრაგიკული გარდაცვალება. ძნელია ყოველივე ამის გამოხატვა. ეს იყო მოულოდნელი ელდა სრულიად საქართველოსთვის. რაფინირებული ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, უკეთილშობილესი პიროვნება, სპეტაკი ადამიანი, დიდი პროფესიონალი, ამავე დროს საოცრად თავმდაბალი – ასე ვიცნობდი მე და არა მარტო მე ბატონ ზურაბ ჟვანიას. ჩვენს ნაცნობობას საფუძვლად დაედო აბაშის რაიონში მშენებარე მაცხოვრისკარის ეკლესია, რომლის მშენებლობაში ბატონმა ზურაბმა უდიდესი დახმარება აღმომიჩინა. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ბატონი ზურაბი, მიუხედავად მისი სამუშაო რეჟიმის გამო მოუცლელობისა, ყოველთვის მზად იყო ნებისმიერ დროს გვერდში დამდგომოდა. გულდასაწყვეტია, რომ ბატონი ზურაბი სამწუხაროდ ვერ მოესწრო მშენებლობის დამთავრებას, მჯერა, რომ მისი სული ზეციური საქართველოდან ჩვენთან ერთად იზეიმებს ეკლესიის გახსნის დღეს. ძალიან დამამძიმებელია ჩემთვის ამ სტრიქონების წერა, რომელიც მისთვის უნდა მეთქვა



ეკლესიის გახსნის დღეს და რომელიც დღეს მიწევს.

ბატონო ზურაბ! ულრმესი მადლობა იმ უდიდესი დახმარებისთვის და თანადგომისთვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ეკლესიის მშენებლობის დამთავრების დროულად მოგვარებისთვის. დიდი მადლობა, რომ თქვენთან დახმარებისთვის მისულს ყოველთვის დიდი კრძალვითა და პატივისცემით რომ მიმიღებდით. დასანანია, რომ მოულოდნელად დაესვა წერტილი თქვენი ცხოვრების გზასავალს, მაგრამ მე მჯერა, მას თქვენი შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი ნინო და თქვენი საყვარელი შვილები ღირსეულად გააგრძელებენ. დიდი გულისტკივილით თანავუგრძნობ თქვენს უკეთილშობილეს და უაღრესად განათლებულ დედას ქალბატონ რემას, თქვენს ძმას გოგლას, თქვენს მეგობრებს და ახლობლებს.

ბატონო ზურაბ! თქვენ საქართველოს ტკივილი გტკიოდათ და სიხარული გახარებდათ. თქვენი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება განსაკუთრებით სჭირდებოდა დღეს საქართველოს. ნაცნობ-მეგობრები ყოველთვის აგინთებთ მონატრების სანთლებს.

ღმერთმა აცხონოს თქვენი სული, ამინ!

**ნანული (ნანა) გუნია,**
**აბაშის მაცხოვრისკარის ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი და ხელმძღვანელი.**

გახსენება

## ბესიკ ედიშერაშვილი



40 მწარე ცრემლიანი დღე და ღამეა ვეგუებით და მაინც ვერ შევეგუეთ შენს მოულოდნელ, ტრაგიკულ სიკვდილს და იმ აუტანელ სიცარიელეს, რომელიც უშენობით გაჩნდა. არადა, რამდენი მადლი დააკლდა უშენობით შენს ოჯახს, შენს მეგობრებსა და ახლობლებს, სამ დასაკვალიანებელ ვაჟკაცს, შენს მშობლებს, შენს ძმებს. ბესიკ, შენი ხანმოკლე სიცოცხლით ამ წუთისოფელში მხოლოდ სიკეთისა და მადლის გამცემი იყავი... სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ისეთი დიდებული, ბუმბერაზი ხელოვანი ადამიანის გვერდით დაიბადე, გაიზარდე და დავაჟკაცდი. მსოფლიო მოქალაქე, ბატონ ზურაბ წერეთელს საკუთარ მარჯვენად მიაჩნდი და თავის ოჯახს მხოლოდ შენ და შენს ძმებს, მშობლებს ანდობს დღემდე. მას ისევ ბაგეებში ეგულები... ჩვენც ყველას ბაგეებში გვეგულები. გულღია, დაუღალავ, ნამდვილ ქართულ, დარბაისელ მასპინძლად. სწორედ ამიტომაც გაგყვა ესოდენ გულწრფელი ცრემლი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ახალი წელი დგებოდა, სწორედ ამიტომ მოვიდა ზღვა ხალხი შენს გასაცილებლად...

40 დღის შემდეგ შენი ნათელი სული შეუერთდება ზეციურ, მარადიულ საქართველოს... შენი ვაჟკაცური, სიკეთით სავსე სიცოცხლე შენი სამი ვაჟკაცისთვის მაგალითი იქნება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამ წუთისოფელში, რომ სიკვდილმა მისი კვალი არ წაშალოს.

და მაინც არ არსებობს სიტყვები, რითაც შეიძლება, შენს მშობლებს, ქალბატონ ცისანას და ბატონ უშანგის ის მწუხარება შევუმსუბუქოთ და ვანუგეშოთ... სიტყვები უძლურია იმისთვის, რაც მათ ამ სანიმუშო ქართულმა ტრადიციულმა ოჯახმა, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლულმა, შრომითა და პატიოსნებით გამორჩეულმა, სიყრმის შვილის ბესიკის დაკარგვით განიცადეს და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩათ.

იმ დღეს ახალი წელი დგებოდა და მაინც შენს გასაცილებლად მოსულმა უამრავმა ხალხმა და წრფელმა ცრემლმა დაგვარწმუნა, რომ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს ამაოდ არ ჩაუვლია. ყველამ, ვინც იქ ვიყავით, ყველამ ვიცოდით შენი ფასი.

ნათელში იყოს შენი სული ზეციურ საქართველოში.

**მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, ახლობლები.**


გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ცხოველი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში – „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი – მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.



ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით – 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, 6 თვით – 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" – მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.


გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამომცემლობა „სამშობლოს" თანამშრომელი
**გურამ გეგეშიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მედიცინის მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ინსტიტუტის სეროლოგიური განყოფილების გამგე
**ნაირა პეტრეს ასული ხვინგია**
და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

სს „საქცივპროდუქტის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება
**ლაშა ლაგვილავას**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

---

კომპანია „მაქსტოპის" კოლექტივი და მისი დირექტორი მინდია ქაშიბაძე მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ
**ლაშა ლაგვილავას**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი თანაუგრძნობს რუსუდან წერეთელს მეუღლის
**მალხაზ კაციტაძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის მაყვალა აბულაძის მამა
**ვალერიან აბულაძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ღვაწლმოსილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**ირაკლი ივანეს ძე თოფურია**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ ლარის კურსი

**4 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერლ. | 1 | 3,2137 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8080ლარი |
| ევრო | 1 | 2,1833 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0642 ლარი. |
| აზერბაიჯანული მან. | 1 | 1,9760 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4027 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5731 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3671 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1985 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3861 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8708 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6074 ლარი. |
| პოლონური ზლოტი | 1 | 0,5705 ლარი. |
| ბულგარული ლევი | 1 | 1,1168 ლარი. |
| იაპონური იენი | 10 | 0,1526 ლარი. |
| კანადური დოლარი | 1 | 1,5784 ლარი. |
| ჩეხური კრონა | 1 | 0,0768 ლარი. |


2006 წ. 28 თებერვალს, 11 საათზე, ჩატარდება ს/ს „საქელექტრომანქანას" აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის III შეს. №4. ტელ: 77-22-11.

დღის წესრიგი:

1. გასული წლის შედეგების განხილვა.
2. ინვენტარიზაციისა და აუდიტორული შემოწმების შედეგები.
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში.
4. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში.
5. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭო.

სს „ერა" იუწყება, რომ აქციონერთა საერთო კრება გაიმართება 24.02.2006. მისამართი: გ. ტაბიძის №4.
დღის წესრიგი: 2005 წლის ბალანსის განხილვა.


ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.

მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 7 თებერვალს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1" ძიზიძის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.